აფხაზეთის სერია

2

სერიის მთავარი რედაქტორი ბუბა კუდავა

სერიის სარედაქციო საბჭო შალვა გლოველი
დიმიტრი ლეთოდიანი
ნინო მიწიშვილი
თეა ქართველიშვილი
თემო ჯოჯუა

ISSN 1987-8702
ISBN 978-9941-421-26-6

© დიმიტრი ლეთოდიანი, 2012.
© გამომცემლობა „არტანუჯი", 2012.

დიმიტრი ლეთოდიანი

აფხაზეთის ისტორიის საკითხები



გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი

ორ ათეულ წელზე მეტია დიმიტრი ლეთოდიანი ინტენსიურად მუშაობს აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე. მისი კვლევის სფერო მრავალფეროვანია, მოიცავს როგორც წყაროთმცოდნეობითი ხასიათის, ისე ისტორიულ-გეოგრაფიულ, ეთნოკულტურულ, პოლიტიკურ თუ აფხაზეთის ისტორიის სხვა რიგ საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს თერთმეტი გამოკვლევა სტატიების სახით და ერთი მონოგრაფია.

ავტორი ამჟამად მკითხველს აფხაზეთის ისტორიაზე, ახალ მონოგრაფიას სთავაზობს, რომელიც მოიცავს პერიოდს ახ. წ. II ს-დან დაწყებული XVIII საუკუნით დამთავრებული. ნაშრომში, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებებისაგან განსხვავებით, გამოთქმულია ახალი შეხედულებანი აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე: აფხაზ-აბაზგების განსახლება ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე (II-VI სს.); „აფხაზ-აბაზგებისა“ და „აფხაზეთის“ სახელის გავრცელება საქართველოში; აფხაზ-აბაზგების წარმომავლობა-ვინაობა; „აფხაზთა სამეფოს“ წარმოქმნა და სხვ.

სარჩევი

წინათქმა 7

I. აფხაზ-აბაზგების განსახლება, მათი და „აფხაზეთი"-ს სახელის გავრცელება საქართველოში 13

II. აფხაზ-აბაზგების წარმომავლობა-ვინაობა 40

1. წინამდებარე საკითხის ისტორიოგრაფია (მოკლე მიმოხილვა) ... 40
2. „აფხაზთა სამეფოს" წარმოქმნა 55
3. „აფხაზეთი" XI-XV სს-ში 78
4. „აფხაზეთი" XVI-XVIII სს-ში 88
5. დასკვნა 129

QUESTIONS OF THE HISTORY OF ABKHAZIA (Summary) 145

საძიებლები 152

პირთა საძიებელი 152

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 159

ეთნიკურ სახელთა საძიებელი 164

შემოკლებათა განმარტება 167

წინათქმა

ჩვენი ისტორიოგრაფიის განვითარების დღევანდელმა ეტაპმა და წყაროებზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ წინამდებარე ნაშრომში დასმულ არაერთ საკითხზე, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ზოგიერთი მოსაზრება შორსაა რეალობის ადეკვატურობისაგან და საკითხების ერთი წყება კვლავ გადახედვას და სერიოზულ კვლევა-ძიებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება ახ. წ. პირველი საუკუნეების ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე მოსახლე აბაზგ (აბასკ)-აფხაზების კონკრეტულ ადგილსაცხოვრისის განსაზღვრას და აბაზგ-აფხაზის და აფხაზეთის სახელის გავრცელებას საქართველოში. მიჩნეულია, რომ ახ. წ. II საუკუნეში ფლავიუს არიანესთან დასახელებული აბასკ-აფხაზები და აფშილები მოსახლეობდნენ ლაზების შემდეგ, მდ. ეგრისწყალ-ღალიძგასა და მდ. კლისურა-კელასურს შორის ზღვის სანაპიროზე, სანიგების ქალაქ სებასტოპოლ-ცხუმამდე. თითქოს გაძლიერებული ლაზ-ეგრების მიწოლის შედეგად აფშილებმა და აბაზგებმა გადაიწიეს სანიგების საცხოვრისზე, აფშილებმა ნანილობრივ, მდ. გუმისთამდე, ხოლო აბასკ-აფხაზები მთლიანად გადავიდნენ და განსახლდნენ სანიგების მინა-წყალზე მდ. გუმისთიდან მდ. აბასკოს-ფსოუმდე, II საუკუნის, ან IV საუკუნის დასასრულს (კისლინგი, ს. ყაუხჩიშვილი, ზ. ანჩაბაძე, გ. მელიქიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, დ. მუსხელიშვილი, ნ. ლომოური, შ. ინალ-იფა, მ. გუნბა, მ. ინაძე, ზ. პაპასქირი და სხვა). თავის დროზე (1961 წ.) ეს მოსაზრება, სრულიად სამართლიანად, არ გაიზიარა ფლავიუს არიანეს „პერიპლუსის“ ქართულად მთარგმნელმა და გამომცემელმა ნ. კეჭაღმაძემ. მისი აზრით, აბასკ-აფხაზებს შავი ზღვის სანაპიროზე ახ. წ. II საუკუნეში არ უცხოვრიათ, ისინი დღევანდელი აფხაზეთის მთიანეთში ცხოვრობდნენ. ჩვენც ასე ვფიქრობთ. აღნიშნულ საკითხზე ადრეც გვქონდა მსჯელობა (იხ. დ. ლეთრდიანი, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII საუკუნეებში, თბ.

1991). მაშინაც და წინამდებარე ნაშრომშიც სათანადო არგუმენტების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ აბასკ-აფხაზები V საუკუნის დასაწყისამდე ცხოვრობდნენ დღევანდელი აფხაზეთის მთიანეთში, თავიანთი თანამოსახელე მდ. აბასკოს-ფსოუს ზემო ნელზე. მხოლოდ V საუკუნის პირველ ნახევარში დაიჭირეს აბასკებმა შავიზღვისპირა ნაწილიც ბიჭვინთის ჩრდილო-დასავლეთით 240 სტადიონ მანძილზე (დღევანდელი გაგრის რაიონში); თავიანთი ადმინისტრაციული ცენტრიც გაგრაში დააფუძნეს, ძნელად მისადგომ ადგილას ააშენეს ციხე-ქალაქი და მიუდგომლობის გამო ელინურად მას „ტრაქეა“ უწოდეს. ეს ციხე-ქალაქი, როგორც ითქვა, აბაზგების აშენებულია (პროკოპი კესარიელი), განსხვავებით ანაკოფიისაგან (ახალი ათონისაგან), რომელიც ბიზანტიელებმა VII საუკუნის დასაწყისში ააშენეს (ვახუშტი ბაგრატიონი).

აბაზგ-აფხაზების მიერ სანიგების წილი სანაპირო ტერიტორიის მიერთება და, ამდენად, მათი ტერიტორიების გაფართოება, რამდენადმე მაინც დაკავშირებული იყო ეგრისის სამეფოს გაძლიერებასთან. IV საუკუნის დასასრულს გაძლიერებულმა ეგრისის სამეფომ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ჯერ აფშილეთის ტომი შეიერთა (მდ. ეგრისწყალ-ღალიძგასა და მდ. კლისურა-კელასურს შორის მდებარე ტერიტორია), ხოლო შემდეგ ექსპანსიის გზა დაიპყრო და შეიერთა სანიგეთის მიწა-წყლის დიდი ნაწილი სებასტოპოლ-ცხუმიდან დაწყებული, ბიჭვინთის ჩათვლით. ამ პროცესშიც არ გამოვრიცხავთ აბაზგ-აფხაზების მონაწილეობას. V საუკუნის დასაწყისში (405 წ.) ბიჭვინთა წარმოადგენდა ბიზანტიის იმპერიისათვის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე უკანასკნელ სასაზღვრო პუნქტს (თეოდორიტე კვირელი, V საუკუნის ანონიმი). ამ დროს კი მთელ დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის სახელმწიფო პოლიტიკას ეგრისის სამეფო განახორციელებდა. ეგრისის სამეფოს ეთნოკულტურულ და პოლიტიკურ დომინანტობას, აღნიშნულ ტერიტორიაზე IV საუკუნის დასასრულიდან ვიდრე VI საუკუნის ჩათვლით, კარგად ადასტურებს ბიჭვინთაში, სოხუმის რაიონსა და წებელდაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, რომელიც სრულ იდენტურობას ავლენს მხოლოდ დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში აღმოჩენილ ამავე პერიოდის არქეოლოგიურ მონაპოვართან და არ ემსგავსება ბიზანტიურ და ჩრდილოკავკასიურ არქეოლოგიურ მასალას. აღნიშნულ ადგილებში აღმოჩენილი წითელლაკიანი და ტალღური ორნამენტით შემკული კერამიკა, არა

მარტო სამზარეულო, არამედ სამეურნეო დანიშნულების ინვენტარი, მხოლოდ დასავლურქართულია (ბ. კუფტინი).

აბაზგების შავი ზღვის სანაპიროზე გამოჩენა და დამკვიდრება V საუკუნის პირველ ნახევარში (უფრო სავარაუდოა V საუკუნის პირველ მეოთხედში) სანიგების მინა-წყალზე უნდა აიხსნას სანიგების ეგრისის სამეფოსთან წარმოებულ ბრძოლებში დასუსტებით და შედეგად მათ მიერ ბიჭვინთასა და მდ. აბასკოს-ფსოუს შორის სანაპირო ტერიტორიის დაკარგვით. V საუკუნის ანონიმის ცნობით, სანიგებს თავისი ეთნოპოლიტიკური ავტონომია მხოლოდ მდ. აბასკოს-ფსოუდან მდ. აქეუნტა-შახემდე აქვთ შენარჩუნებული. ასეთ ვითარებაში ვფიქრობთ ჩვენ აბაზგ-აფხაზების შავი ზღვის სანაპიროზე გამოჩენა-დამკვიდრებას, კერძოდ დღევანდელი გაგრის რაიონში და არა ისე, რომ თითქოს გაძლიერებული ლაზ-ეგრების მიწოლით აფშილები აბაზგებს მიაწვნენ და აბაზგები განსახლდნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ერთ-ერთი ძლიერი და დიდი ტომის, სანიგების მინა-წყალზე, რომლის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული გადაჭიმული იყო სებასტოპოლ-ცხუმიდან მდ. აქეუნტა-შახემდე, ჯიქების საზღვრებამდე (ფლავიუს არიანე). სხვათა შორის, სხვა არგუმენტებთან ერთად, აბაზგების მთიელობას ისიც კარგად ადასტურებს, მთის ჭანებისა არ იყოს, რომ დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ სხვა ტომებისაგან განსხვავებით, ქრისტიანობა მათ გვიან, მხოლოდ VI საუკუნეში აღიარეს იუსტინიანე I-ის ძალისხმევითა და მეცადინეობით (პროკოპი კესარიელი, იუსტინიანეს ნოველები). თუ აბაზგები (II-V საუკუნეებში) ბიჭვინთის მეპატრონე ტომი იყო, VI საუკუნეში გაქრისტიანდებოდნენ?!

როგორც ითქვა, აბაზგ-აფხაზების სახელი პირველად V საუკუნის პირველ ნახევარში გაფართოვდა და გავრცელდა ზღვისპირეთშიც, დღევანდელი გაგრის რაიონში 240 სტადიონ მანძილზე, სანიგების წილ მინა-წყალზე. VI საუკუნის 50 წლებიდან კი, მას შემდეგ, რაც ბიზანტიამ სისხლის ღვრით ჩაახშო აბაზგების აჯანყება, – ნაწილი აბაზგებისა ამოწყვიტა, მეორე ნაწილი კი ტყვედ აიყვანა და მთელი მათი მიწა-წყალი უდაბნოდ აქცია, – „აფხაზეთი"-ს და „აფხაზის" სახელი მაინც შეინარჩუნა, ალბათ, აღნიშნულის გამო და ბიჭვინთის დასავლეთიდან ვიდრე მდ. აქეუნტა-შახემდე, სანიგების მინა-წყალზე გაავრცელა და დაამკვიდრა (პროკოპი კესარიელი). თუმცა, პროკოპი კესარიელმა კარგად იცის, რომ ჯიქების სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სანიგები ცხოვრობდნენ, მაგრამ ის იძულებული

იყო ანგარიში გაეწია ბიზანტიის ხელისუფლების მიერ შექმნილ კონიუნქტურისათვის და ოფიციოზში მიღებული ამ ტერმინით მოეხსენიებინა სანიგები და მათი საცხოვრისი ადგილები. VII საუკუნის დასაწყისისათვის კი „...შემდგომად სტეფანოზ ბაგრატიანის ჟამსა მიუღო ერეკლეოს კეისარმან კუალად ეგრისის მდინარის იქითი, დასუეს ბერძენთა ერისთავი თუსი ანაკოფიას და უწოდეს აფხაზთა ერისთავად... დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი" (ვახუშტი ბაგრატიონი). აქედან გამომდინარე, VII საუკუნის დასაწყისიდან სრულიად რეალური ჩანს VII საუკუნის სომხური ანონიმური გეოგრაფის და ჯუანშერის ცნობები „აფხაზეთის"-ა და აფშილეთის პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, რომელსაც „აფხაზეთი" ეწოდებოდა ამიერიდან, და მისი საზღვარი ეგრისის სამეფოსთან მდ. ეგრისწყალ-ღალიძგაზე გადიოდა. VII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი, როგორც ეს კარგად ირკვევა თეოდოს განგრელისა და ჯუანშერის მონაცემებიდან, ეგრისის საზღვარმა „აფხაზეთი"-ს საერისთავოსთან მდ. კლისურა-კელასურზე გადაინაცვლა. ვინაიდან ბიზანტიას VII საუკუნის დასაწყისიდან უკვე დაპყრობილი ჰქონდა მდ. ეგრისწყალ-ღალიძგიდან ვიდრე ჯიქებამდე ტერიტორია, მას საბერძნეთსაც (ბიზანტიას) უწოდებდნენ ქართული წყაროები (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ვახუშტი ბაგრატიონი). ე. ი. აღნიშნულის გამო სახელი „აფხაზი" ეწოდა ძირითადად ზან-სანიგებს, ხოლო „აფხაზეთი" ამ ხალხით დასახლებულ ტერიტორიას. ეთნონიმი იქცა პოლიტონიმად, უფრო სწორად, ბიზანტიამ აქცია „აბაზგ-აფხაზი-ს" სახელი პოლიტონიმად, ხოლო „აფხაზეთი"-ს სახელი ამ დროიდან ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინად ჩამოყალიბდა აღნიშნული ტერიტორიისთვის.

VIII საუკუნის 20-იანი წლებიდან ბიზანტიამ ეგრისიც დაიპყრო, იქ ადგილობრივი დინასტიური მმართველობა გააუქმა და პირველად ეგრისის ერისთავობა (პატრიკიოზობა) არაბებისაგან დევნილ ქართლის ერისმთავარს სტეფანოზს მიუერთა. ხოლო მას შემდეგ, რაც სტეფანოზის შვილმა არჩილმა ეგრისი საბოლოოდ დატოვა და სამოღვაწეოდ კახეთში დაიდო ბინა, ეგრისი თავის მოხელე „აფხაზეთის" არქონტს (ერისთავს) ლეონ I-ს (თუ ლეონ II-ს?) გაუერთიანა სამართავად. ფაქტობრივად VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ეგრისი და „აფხაზეთი" გააერთიანა. გაერთიანებულ ეგრის-„აფხაზეთს" „აფხაზეთის" სამთავრო უწოდა, ხოლო მთელ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას „აფხაზი". ასე რომ, ეგრის-„აფხაზეთის" გაერთიანება

ნებაყოფლობითი, დინასტიური ქორწინების გზით, ან „აფხაზეთი"-ს მიერ ეგრისის დაპყრობით კი არ განხორციელებულა, როგორც ამას ფიქრობს მეცნიერების გარკვეული ნაწილი, არამედ ეს აქტი შედგა ბიზანტიის ხელისუფლების პოლიტიკური ნებით. ასე ეტაპობრივად განხორციელდა „აფხაზი"-ს და „აფხაზეთი"-ს სახელის გაფართოება-გავრცელება და მასთან დაკავშირებული პროცესები დასავლეთ საქართველოში. ნიშანდობლივია, რომ გვიან შუასაუკუნეებშიაც აფსუა-„აფხაზების" სახელი ჩრდილო-დასავლეთიდან გავრცელდა, თანდათანობით აღმოსავლეთისაკენ და არა პირიქით.

რაც შეეხება აბაზგ-აფხაზის წარმომავლობა-ვინაობას, – გადაჭრით იმის თქმა, რომ ადრე საუკუნეების აბაზგ-აფხაზი წარმოშობით აბაზურ-ადიღეური ან ქართველური მოდგმის ტომი იყო, ძნელია წყაროების სიმწირის გამო, მაგრამ VI საუკუნის 50-იანი წლებიდან „აბაზგ-აფხაზი" და „აბაზგია-აფხაზეთი", რომ ქართული შინაარსის მქონე ტერმინებია, ეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას. როგორც აღინიშნა, 550 წელს ბიზანტიის დიდმპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული აბაზგების აჯანყება ბიზანტიის ხელისუფლებამ დაუნდობლად ჩაახშო. ამ აჯანყების თანამედროვე ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი დაუფარავად აღნიშნავს ბიზანტიელების სისატიკეს და წერს, რომ აბაზგების დიდი ნაწილი მათ გაულიტეს ამ ბრძოლაში, მეორე ნაწილი ტყვედ აიყვანეს, აბაზგების მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა თავის ხელისუფალ ოფსიტესთან ერთად ჰუნებში თავის შეფარება. პროკოპის გადმოცემითვე აბაზგების მთელი მიწა-წყალი ბიზანტიელებმა უდაბნოდ აქციეს, ალბათ ამიტომ, „აბაზგ-აფხაზი" და „აბაზგია-აფხაზეთი"-ს სახელი შეინარჩუნეს, ზან-სანიგებსა და მათ მიწა-წყალზე გაავრცელეს, ხოლო ეს რეგიონი თავის პროვინციად გამოაცხადეს. თუ V საუკუნის ანონიმის ცნობით V საუკუნეში ჯიქებს მდ. აქეუნტა-შახესთან სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სანიგები ემეზობლებოდნენ, უკვე VI საუკუნის 50-იანი წლებიდან სანიგების ნაცვლად „აბაზგ-აფხაზის" სახელი ფიგურირებს მდ. ქეუნტა-შეხესთან. VII საუკუნის დასაწყისიდან კი მდ. ეგრისწყალ-ღალიძგიდან მდ. აქეუნტა-შახემდე ვრცელდება მათი სახელი, ძირითადად, ზან-სანიგების ქართველურ მოსახლეობაზე, შემდეგ (VIII ს-ის მეორე ნახევრიდან) მთელ დასავლეთ საქართველოზე, ხოლო X-XI საუკუნეებიდან „აფხაზი" ქართველის, ხოლო „აფხაზეთი" საქართველოს იდენტური ხდება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივი ჩანს,

რომ ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების ქართულ საზოგადოებას და მისი მენტალიტეტის შესაბამის ქართულ მწერლობას „აბაზგ-აფხაზი“ ისეთივე ქართველად მიაჩნდათ, როგორც კახელი, ქართლელი, სვანი ან მეგრელი და სხვანი, და „აფახეთი“ ისეთივე ქართულ მხარედ, როგორც კახეთი, ქართლი, სვანეთი, სამეგრელო... ამიტომ რეალურად, დღევანდელი აფსუა-აფხაზი ვერ ჩაითვლება ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების „აბაზგ-აფხაზი“-ს უშუალო მემკვიდრედ. დღევანდელი აფსუა-აფხაზი, როგორც ახალი ეთნოსი, ჩამოყალიბდა აფსუების, აბაზურ-ადიღეური მოდგმის სხვა გვიან ჩამოსახლებული (XVII-XVIII სს-ში) ხალხების ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან შერევა-შერწყმის შედეგად. დღევანდელი აფსუა-აფხაზი ანთროპოლოგიურად ქართულ ანთროპოლოგიურ ტიპს განეკუთვნება და არა მათ ენობრივად უახლოეს მონათესავე აბაზ-ადიღელების ანთროპოლოგიურ ჯგუფს (მ. აბდუშელიშვილი, ი. ლადარია).

შესავალ ნაწილში ჩვენ მხოლოდ იმ საკითხებზე გავამახვილეთ მოკლედ ყურადღება, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში სადავოდ არის მიჩნეული. ასეთი რიგის პრობლემებსა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, რა თქმა უნდა, ვრცლად და არგუმენტირებულად, ნაშრომის ძირითად ნაწილში იქნება შეძლებისდაგვარად საუბარი.

ავტორი

I. აბაზგ-აფხაზების განსახლება, მათი და „აფხაზეთი“-ს სახელის გავრცელება საქართველოში

ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე აფხაზების (აბაზგების) სახელი წერილობით წყაროებში პირველად ახ. წ. II ს-ის 30-იანი წლებიდან ჩნდება. რომის იმპერიის მოხელემ ფლავიუს არიანემ, იმპერატორ ადრიანეს დავალებით, საგანგებოდ იმოგზაურა ახ. წ. 131 წელს შავი ზღვის სანაპიროთი (ტრაპეზუნტიდან სებასტოპოლ-ცხუმამდე) საინსპექციო მიზნით და აღწერა ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების განსახლება და მათი დამოკიდებულება რომთან. ის წერს: „... ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა შენი მამისაგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი, სანიგთა მეფემ სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი“[1]. აფხაზებზე (აბასკებზე) უფრო ადრე, ახ. წ. I ს-ში, აფშილების სახელი გამოჩნდა წერილობით წყაროებში. ახ. წ. პირველი საუკუნის მწერალ პლინიუსის გადმოცემით: „კეგრიტიკის სანახების შემდეგ მდინარეებია: სიგანია, თერესი, ასტელფი, ხრისოროასი, აბსილები (absilae), ციხე სებასტოპოლისი 100000 ნაბიჯზე ფაზისიდან, სანიკების ტომი (sanicarum)“[2].

ქართული წყაროების მონაცემებით, ეგრისის (ლაზიკის) ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ეგრისწყალზე გადის, რო-

---

[1] ფლავიუს არიანე, ქართული თარგმანი, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა, თბ., 1961, გვ. 43.

[2] Плиний Секунд. Вестник Древней Истории, 1949, №2, с. 290-291.

მელიც გაიგივებულია მდ. ღალიძგასთან[1]. ე. ი. ეგრისწყალ-ღალიძგა ახ. წ. I საუკუნეში, ამავე დროს, წარმოადგენდა აფშილების სამხრეთ საზღვარს, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მათ სანიგები ესაზღვრებოდნენ. მაშასადამე (I ს-ში) აფშილები მდ. ეგრისწყალ-ღალიძგასა და მდ. კლისურა-კელასურს, ანუ ლაზებსა და სანიგებს შორის მოსახლობდნენ. გამოდის, რომ თუ ფლავიუს არიანესთან ჩამოთვლილ ტომებს, ზღვის სანაპიროზე, ისეთი თანმიმდევრობით მაცხოვრებლებად წარმოვიდგენდით, რა რიგითაც ეს მას აქვს დასახელებული, მაშინ აფშილების შემდეგ, ახ. წ. II ს-ში აბაზგები ჩამოსახლებულან და ისინი გამეზობლებიან სანიგებს სამხრეთიდან, ამას ასეც ფიქრობს მეცნიერების გარკვეული ნაწილი[2]. მათი აზრით, ორივე ტომი: აბაზგები და აფშილები ახ. წ. II საუკუნეში მოსახლობდნენ სანაპიროზე, – (ახ. წ. I საუკუნეში) აფშილების კუთვნილ სამოსახლოზე – მდ. ეგრისწყალ-ღალიძგიდან ვიდრე მდ. კლისურა-კელასურამდე. II ს-ის, ან IV ს-ის დასასრულიდან კი, გაძლიერებული ლაზებისაგან შევიწროებული აბაზგები და აფშილები გადაინევიან სანიგების ტერიტორიაზე სანაპიროს გაყოლებით, აბაზგები მთლიანად გადაადგილდებიან სანიგების საცხოვრისზე, მდ. გუმისთიდან ვიდრე თავიანთ თანამოსახლე მდინარე აბასკოს – ფსოუმდე,

---

[1] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 128; З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959, გვ. 7; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ. 1977, გვ. 77, 106-112.

Kiessling, Ἡνίοχοι, RE, VIII, გვ. 273-274; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ტფ. 1934, გვ. 106, იხ. შენიშვნა; М. П. Инадзе. К истории Грузии античного периода (Фл. Арриан и его сведения о Грузии), Автореферат... Тб., 1953, с. 18; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, დასახ. გამოცემა, გვ. 126, 140; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 8-11; Г. А. Меликишвили. К истории Древней Грузии, Тб., 1959, с. 371, 372; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 503-504; Ш. Д. Инал-ипа. Вопросы этно-культурной истории Абхазов, Сухуми, 1976, с. 216-217; დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბ., 2003, გვ. 132, იხ. შენიშვნა; Н. Ломоури. Абхазия в античную и раннесредневековую эпоху. Тб., 1997, с. 24-26.

ან ბზიფამდე, აფშილები კი ვიდრე სანიგების კუთვნილ ქალაქ სებასტოპოლ-ცხუმის ჩათვლით და შეინარჩუნებენ, აგრეთვე, თავის ძველ სამოსახლოსაც. სრულიად სამართლიანად, თავის დროისათვის აღნიშნული მოსაზრება არ გაიზიარა ფლავიუს არიანეს ქართულად მთარგმნელმა და გამომცემელმა ნ. კეჭაღმაძემ. მისი აზრით, აბასკები (აფხაზები) ახ. წ. II ს-ში არ მოსახლობდნენ აფშილების გვერდით სანაპიროზე – ისინი დღევანდელი აფხაზეთის მთიანეთში ცხოვრობდნენ[1]. ჩვენ ამ აზრს ვეთანხმებით.

რეალურად მართლაც ძნელია წარმოიდგინო, რომ ისეთ ვიწრო ზოლში სანაპიროზე (მდ. ეგრისწყალსა და კლისურას შორის), აფშილეთის კუთვნილ საცხოვრისზე, – ძირითადად დღევანდელ გულრიფშის რაიონში, – II საუკუნისათვის აბასკებიც (აფხაზები) ჩამოსახლებულიყვნენ და ორივე ტომი დატეულიყო იქ. ეს ერთი. მეორე როგორ შესძლეს ამ პატარა ტომებმა (თუკი ისინი მითითებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ), შავი ზღვის სანაპიროზე ერთ-ერთ ყველაზე ძლიერი ტომის, სანიგების, რომლის მიწა-წყალი კლისურიდან მდ. აქეუნტა-შახემდე იყო გადაჭიმული, – დამარცხება და მათი ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილის (კლისურიდან მდ. აბასკოს-ფსოუმდე) ისე დაპყრობა, რომ თავის საცხოვრისად აქციეს, II ს-ის, ან IV ს-ის დასასრულისათვის; 3. თუკი, აფშილების და აბასკების (აფხაზების) გადაადგილებას სანიგების ტერიტორიაზე, ლაზების გაძლიერებითა და მათი მიწოლით ავხსნიდით, როგორც ამას ფიქრობენ მითითებული მეცნიერები, მაშინ, ამავე ლოგიკით „შემვიწროებელ“ ლაზებს აფშილების საცხოვრისი მაინც უნდა გაეთავისებინათ ისე, როგორც აბასკებმა და აფშილებმა სანიგების მიწა-წყალი. ამას კი ადგილი არ ჰქონია ჯუანშერის ცნობით, ვიდრე V ს-ის მეორე ნახევრამდე. ქართველი მემატიანე, არაერთხელ და დაბეჯითებით აღნიშნავს ეგრისწყალსა და კლისურას შუა მდებარე ქუეყნის (აფშილეთის) არსებობას თავისი საზღვრებით, რომელიც მისი გადმოცემით, V ს-ის მეორე ნახევრიდანაა მოქცეული ქართულ სამყაროში. როგორც ითქვა, ჯუანშერი ეგრისის (ლაზიკის) ჩრდილო-დასავლეთ

[1] ნ. კეჭაღმაძე, ფლავიუს არიანე, დასახ. გამოცემა, იხ. შესავალი, გვ. 6.

ეთნიკურ საზღვარს მდ. ეგრისწყალ-ღალიძგასთან დებს, რომლის შემდეგ სხვა „ქვეყანას" გულისხმობს კლისურამდე (ცხუმ-სებასტოპოლისამდე). მემატიანე ამას ასე გადმოსცემს: „... და დაუწერა ეგრის წყალსა და კლისურასა შუა ქვეყანა"... „და აღიღო მირდატისგან ეგრის – წყალსა და კლისურასა შუა, მირდატის დედული საზღვარი საბერძნეთისა" – და ასე შემდეგ[1]. მართალია, ჯუანშერი აფშილეთის სახელს არ ახსენებს, მაგრამ დასახელებულ „ქვეყანას" იმავე საზღვრებში ათავსებს, რომელშიც თავის დროისათვის აფშილების მოსახლეობას უთითებდა პლინიუსი და ფლ. არიანე. ეგრისის (ლაზიკის) ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს მდ. ეგრისწყალ-ღალიძგაზე აღნიშნავდა მოქცევაჲ ქართლისაჲ[2] და ლეონტი მროველიც[3]. აქვე უნდა ითქვას, რომ პროკოპი კესარიელიც კი, თავისი დროისათვის (VI საუკუნეში) ლაზიკის ჩრდილო დასავლეთ ეთნიკურ საზღვარს აფშილეთთან, ზუსტად თუ არა, მიახლოებით მაინც (ვგონებ ზუსტად), მდ. ეგრისწყალ-ღალიძგასთან დებს. ის წერს: „პონტო რომ თავდება აქ, ქმნის ნახევარმთვარის მსგავს ნაპირს. ამ ნახევარმთვარის გადასავალი უდრის ხუთასორმოცდაათ სტადიონს, ხოლო მის უკან მდებარე მთელი ქვეყანა არის ლაზური და ასეც იწოდება... ნახევარმთვარის იმ ერთ დასაწყისში, რომელიც აზიისა არის, მდებარეობს ქალაქი პეტრა (ციხისძირი – დ. ლ.), ხოლო მის პირისპირ, მეორე ნაპირას, ევროპის ნაწილში აფსილების ქვეყანაა"[4]. პროკოპის მიერ დასახლებული 550 სტადიონი, სტადიონის რომელი სახითაც არ უნდა ვიანგარიშოთ (ოლიმპიურით თუ ანტიკურით, რითაც შეი-

---

[1] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 177, 203, 205, 235, 242.

მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I (V-X სს.) ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ., 1964, გვ. 81.

ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 24.

პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ. 126-128.

ძლება ესარგებლა მას), პეტრა-ციხისძირიდან, ნახევარ მთვარის მსგავსი სანაპირო ტერიტორია, დაახლოებით მაინც მდ. ღალიძგასთან მოდის[1]. ნიშანდობლივია, რომ ღალიძგა მეგრულია და ნიშნავს: ღელე კიდისა, მდინარე საზღვრისა, მიჯნის წყალს[2]. 4. აღსანიშნავია, რომ პროკოპი კესარიელი თავისი დროისათვისაც კი (VI ს.) აბაზგებს, გარდა იმისა, რომ სანაპიროზე მცხოვრებ ტომად თვლის, მათ ამავე დროს მთიანეთში მოსახლე ხალხადაც მიიჩნევს, – ზღვიდან კავკასიონამდე, ჩრდილო კავკასიელი ტომების გვერდით. პროკოპი ამ აზრს ასე გადმოგვცემს: „... პირისპირ კავკასიის მთა თავდება, აქ ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, მათ შორის ალანებიც და აბაზგებიც“... „... ზღვის პირას აბაზგები მოსახლეობენ, რომელთა საბინადრო ადგილები კავკასიონის მთებამდე გრძელდება.“ „... აბაზგების საზღვრების შემდეგ, კავკასიონის მთის გასწვრივ ცხოვრობენ ბრუქები, აბაზგებსა და ალანებს შუა“[3].

ადრე შუა საუკუნეების ბიზანტიელ მწერლებს შორის, პროკოპი კესარიელი პირველი და ერთადერთი მწერალია, რომელიც პირველად და პირდაპირ აღნიშნავს, თავისი დროისათვის, აფხაზების (აბაზგების) შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლეობას, ზღვიდან კავკასიონამდე. თუმცა, პროკოპი და არც სხვა ადრე საუკუნეების მწერლები არ უთითებენ კონკრეტულად სანაპიროს რა ადგილას მოსახლობდნენ ისინი. პროკოპი კესარიელის გადმოცემით: „... აფსილებისა და ნახევარმთვარა ნაპირის შემდეგ მეორე ნაწილში ზღვის პირას მოსახლეობენ აბაზგები, რომელთა საბინადრო ადგილები კავკასიონის მთებამდე გრძელდება“[4]. თუ

---

[1] იხ. დ. ლეთოდიანი, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1991, გვ. 185, იქვე სათანადო ლიტერატურა.

ნ. დადიანი, ქართველთა ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962, გვ. 162; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, დასახ. გამოცემა, გვ. 128; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, დასახ. გამოცემა, გვ. 112.

პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 100, 133, 135. იქვე, გვ. 133.

ამ ცნობას პირდაპირ გავიაზრებთ (ან სხვა რა გზაა), მაშინ, აფშილების შემდეგ, პროკოპი კიდევ გულისხმობს ნახევარმთვარის მსგავს სანაპიროს, რომლის შემდეგ, ზღვის მეორე ნაწილში ყოფილან განსახლებულნი აბაზგები. სებასტოპოლ-ცხუმიდან ბიჭვინთის ჩათვლით მართლაც არსებობს ნახევარმთვარის მსგავსი სანაპირო. მოხმობილი ცნობის ასეთი გაგების შემთხვევაში, აბაზგები ბიჭვინთის დასავლეთით (დღევანდელი გაგრის რაიონში) უნდა ყოფილიყვნენ მაშინ დამკვიდრებულნი. ამ კონტექსტის ასეთ გააზრებას პროკოპის მეორე ცნობაც უწყობს ხელს, სადაც აბაზგების ადმინისტრაციული ცენტრის, ციხესიმაგრე „ტრაქეა"-ს მიუვალ ადგილმდებარეობასა და სიმტკიცეზეა საუბარი. პროკოპი წერს: „აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში ასეთი ადგილია: მაღალი მთაა გადაჭიმული, რომელიც კავკასიის მთებიდან იწყება და თანდათან ეშვება, როგორც კიბე, და ევქსინის პონტოსთან თავდება. ამ მთის ძირში აბაზგებს ძველადვე აუშენებიათ უმტკიცესი სიმაგრე ღირსშესანიშნავი სიდიდისა, აქ შეხიზნულები მუდამ იგერიებენ შემოტევას მტრისა, რომელსაც არსად არ შეუძლია ამ ძნელი ადგილის გადალახვა. ერთი შესავალი გზა მიდიოდა ამ ციხეშიც და აბაზგების დანარჩენ მიწა-წყალზეც და იგი წყვილ-წყვილად მიმავალთათვის ძნელად გასასვლელი იყო. არავითარი შესაძლებლობა არ არის იქ გასვლისა, თუ არა კაცად – კაცად და ისიც ფეხით. ამ გზას ზედ ადგას ნაპრალი მეტად საზარი, რომელიც ციხიდან ზღვამდეა გადაჭიმული. თვით ადგილიც ამ ნაპრალის შესაფერ სახელწოდებას ატარებს: იქაური მცხოვრებლები ელინურად მას „ტრაქეა"-ს უწოდებენ"[1].

ს. ჯანაშია პროკოპის ამ მონაცემების საფუძველზე წერდა: „ტრაქეა" გაგრის იგივეობას თვალსაჩინოდ ამტკიცებს, ჩვენი აზრით, პროკოპის ტოპოგრაფიული აღწერილობა, ვინც აფხაზეთის ზღვის სანაპიროს იცნობს, ის დაგვეთანხმება, რომ მოცემული აღწერილობა მხოლოდ გაგრას გვაგულისხმებინებს – სხვაგან არსად ასეთი ადგილი არ მოიპოვება. გაგრის გასავლის ხასიათი ასევე აქვთ აღწერილი XIX ს-ის (ვიდრე აქ გზატკეცილს გაა-

[1] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 158-159.

კეთებდნენ) წყაროებს"[1]. ს. ჯანაშიას ეს აზრი გაზიარებული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში[2], თუმცა მეცნიერების გარკვეული ნაწილი „ტრაქეა"-ს ინდეფიკაციას ანაკოფიასთან (ახალ ათონთან) ახდენს[3], არცთუ ისე მყარი საფუძვლიანობით.

სანაპიროზე აფხაზთა ადგილსაცხოვრისის განსაზღვრისათვის, მაშინ, როცა ადრე შუასაუკუნეების მწერლობას არ მოეპოვება პირდაპირი და კონკრეტული მითითება მათი განსახლების ადგილმდებარეობაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროკოპისეულ ტოპოგრაფიულ აღწერლობას. მართალია, VII ს-ის სომხური ანონიმური გეოგრაფის გადმოცემით, აფხაზეთის (ავაზოვ ქვეყნის) სახელი სანაპიროზე ვრცელდება პიტიუნტ-ბიჭვინტასა და სებასტოპოლ-ცხუმზე[4], რაც VII საუკუნის დასაწყისიდან მართლაც მოსალოდნელია, მაგრამ ვერც სომეხი ანონიმი ვერ ასახელებს კონკრეტულად აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს სანიგებთან (ის, რომ სვანებს უწოდებს) და ვერც სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარს აფშილეთთან. რადგან სომეხ გეოგრაფთან დასახელებული აფხაზეთის ჩრდილო დასავლეთი მოსაზღვრე სვანები იგივე სანიგებია[5], ამ შემთხვევაში,

---

[1] ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 73-74.

М. Д. Лорткипанидзе. Абхазия и период раннего феодализма, Очерки истории Абхазской АССР, часть I, Сухуми, 1960, с. 51; ა. ბოგვერაძე, ბრძოლა ირანელი და ბიზანტიელი დამპყრობლების წინააღმდეგ ეგრისში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 258; В. А. Лекваиадзе. О перестройках Юстиниана в Западной Грузии. ВВР, №34, 1973, с. 180-185 და სხვა.

[3] З. А. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, დასახ. გამოცემა, გვ. 9. 27; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 503-504. М. М. Гунба. К вопросу о локализации крепости Трахей, ТЯИЯЛИ, т. XXXIII-XXXIV, Сухуми, 1963, с. 159, 167; თ. ბერაძე, „გაგარი" და „უღაღის" განმარტებისათვის, მაცნე, I, ისტორიის... სერია, თბ., 1973, გვ. 123 და სხვა.

Géographie de Moise de coren d'aprés Ptolémée/ Texte arménien traduit en francais par le p-Arséne Scukry Mekhitariste, 1881, გვ. 25-26.

З. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, დასახ. გამოცემა, გვ. 65; დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, გვ. 104.

V ს-ის ანონიმის (ფლავიუს არიანეს კომენტატორის) მონაცემების საფუძველზე, უშეცდომოდ შეგვიძლია სანაპიროზე გავავლოთ სასაზღვრო ხაზი აფხაზებსა და სანიგებს შორის. V ს-ის ანონიმის გადმოცემით, ალბათ, V ს-ის დასაწყისიდან: „აქეუნტის წყლიდან ვიდრე აბასკის წყლამდე ცხოვრობენ სანიგები"[1]. გამოდის, რომ სანიგების სამხრეთ აღმოსავლეთი საზღვარი სანაპიროზე მდ. აბასკოს-ფსოუზე გადის, ხოლო, რადგან VII ს-ის სომეხი ანონიმის ცნობით, აფხაზებს (ავაზოვ ქვეყანას) ჩრდილო დასავლეთიდან სანიგები (მისი სიტყვით სვანები) ემეზობლებიან, მაშინ, მათ შორის სასაზღვრო ხაზი მდ. აბასკოს-ფსოუზე ყოფილა დადებული. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს სასაზღვრო მდინარე აბასკოს (ფსოუს) და ტომი აბასკების (აფხაზების) თანამოსახლეობა, მაშინ, უეჭველად შეიძლება ითქვას, რომ ზღვის სანაპიროზე აფხაზების (აბასკების) სამოსახლო მდ. აბასკოს-ფსოუმდე ვრცელდებოდა[2] და იქ ემიჯნებოდა სანიგებს, აგრეთვე, მათი სამოსახლო სავარაუდოა მდ. აბასკოს-ფსოუს შესართავიდან მის ჩრდილო აღმოსავლეთ მთიანეთში, რასაც ცხადყოფს პროკოპი კესარიელის ზემოთ მითითებული ცნობები. ასე რომ, აფხაზეთის ჩრდილო დასავლეთი საზღვარი სანაპიროზე V-VI, საუკუნეებისათვის შეიძლება გამორკვეულად ჩაითვალოს. რაც შეეხება აფხაზეთის (აბაზგეთის) სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარს, აღნიშნული დროისათვის, ამის შესახებ სხვა მონაცემებთან შეჯერებით, V ს-ის ანონიმის ცნობებიც იძლევა გარკვეულ საფუძვლებს. მანამდე კი გარკვევით შეიძლება ითქვას, V ს-ის ანონიმი უკომენტაროდ იმეორებს ფლავიუს არიანეს ცნობებს სანაპიროზე ტომთა განლაგება-განსახლების შესახებ, დაწყებული ლაზებიდან (ეგრებიდან) დამთავრებული პიტიუნტის ჩათვლით. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ, სებასტოპოლ-ცხუმიდან არსებულ ტერიტორიას პიტიუნტის ჩათ-

---

[1] V საუკუნის ანონიმი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 10.
ამას თავის დროზე ასე ფიქრობდა კისლინგი, იხ. Kiessling, RE, VIII, გვ. 274-275.

ვლით, ის მხოლოდ სანიგების საკუთრებად აღიქვამს[1]. ხოლო ბიჭვინთიდან 240 სტადიონ მანძილზე სანაპიროს გაყოლებით, მდ. აბასკოს-ფსოუმდე დაუსახლებელ ადგილად მიუთითებს[2]. სანიგების ავტონომიურ ეთნო-პოლიტიკურ გაერთიანებას კი, როგორც ითქვა, მდ. აბასკოს-ფსოუდან ჩრდილო-დასავლეთით ასახელებს[3]. მაშასადამე, სანიგების ეთნო-პოლიტიკურ ერთეულში წყვეტილი გაჩენილა, თუ II საუკუნისათვის, ფლავიუს არიანეს ცნობით, სანიგები ერთ ეთნო-პოლიტიკურ ერთეულს, ერთი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებულ მონოლითურ ტომს წარმოადგენდა, სებასტოპოლ-ცხუმიდან მდ. აქეუნტა-შახემდე, – ჯიქების მისაზღვრებამდე, IV ს-ის დასასრულიდან, V ს-ის ანონიმის გადმოცემით, პიტიუნტის დასავლეთიდან მდ. აბასკოს-ფსოუმდე, 240 სტადიონის მანძილზე სანიგები უკვე აღარ მოსახლობენ. მათი ეთნო-პოლიტიკური ერთეული მხოლოდ მდ. აბასკოს-ფსოუსა და მდ. აქეუნტა-შახეს შორის, ჯიქებამდე დომინირებს. ეს არის რეალობა.

აღსანიშნავია, რომ სანიგების ასეთ მდგომარეობაში მოქცევა და ეგრისის სამეფოს გაძლიერება, – მის სახელმწიფოებრიობაში მეზობელი და თანამეტომეების გაერთიანება, – დროში ერთმანეთს ემთხვევა და ეს მოვლენა სხვა არგუმენტებთან ერთად ქმნის შესაძლებლობას მითითებული რეალობის ახსნისათვის.

ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში გამორკვეულია, რომ ეგრისის (ლაზიკის) სამეფომ თავისი სახელმწიფოებრიობის არსებობის მანძილზე, პოლიტიკური ძლიერების ზენიტს IV ს-ის დასასრულსა და V ს-ის პირველ ნახევარში მიაღწია[4]. გარდა იმისა,

---

[1] V ს-ის ანონიმი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 8-9. რომ ასე არ ყოფილიყო, ანონიმი ამას აღნიშნავდა, როგორც აკეთებს კიდევაც სხვაგან სხვაობის შემჩნევისთანავე. იხ. თ. გვანცელაძე, აფხაზეთთან დაკავშირებული ჩანართები ჯუანშერის მატიანის ტექსტში, თბ., 1997, გვ. 22.

[2] იქვე, გვ. 10.

[3] იქვე.

[4] ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 214-217; ნ. ლომოური, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989, გვ. 67; დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, გვ. 105.

რომ ეგრისის სამეფოს გაძლიერება აღმავლობას ხელი შეუწყო მთელმა რიგმა ფაქტორებმა: მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, მასზე გამავალმა სავაჭრო-სამიმოსავლო გზების არსებობამ, მისი ტერიტორიის ბარიანობამ, სამეურნეო საქმიანობისათვის ხელსაყრელმა პირობებმა[1] და სხვ., რომელიც ეგრისს პრივილეგირებულს ხდიდა ირგვლივ მყოფ გაერთიანებებს შორის. ეგრისის სამეფოს გაძლიერებას ხელი შეუწყო აგრეთვე რომის (ბიზანტიის) იმპერიის დახმარება-მხარდაჭერმაც. რომის იმპერიას IV ს-ის მეორე ნახევარში ძალზე გაურთულდა საგარეო ურთიერთობები, რომსა და სპარსეთს შორის საომარი მოქმედებების გამწვავებამ[2], ამ ომში რომის მარცხმა (რაც 365 და 387 წლის ზავებში აისახა)[3], რამაც მისი პოზიციები შეარყია ამიერკავკასიაში, ჰუნების და სხვა ჩრდილო კავკასიელი ტომების მოძალებამ, მათი კავკასიონის ზეკარებით გადმოსვლის საშიშროებამ, აიძულა რომის იმპერია ხელი შეეწყო ეგრისის გაძლიერებისათვის, მთელი ისტორიული კოლხეთის მისი სამეფო ხელისუფლების ქვეშ მოქცევისათვის. რომის ხელისუფლება ეგრისის სამეფოს გაძლიერებაში, საიმედო გარანტს ხედავდა იმპერიის სახელმწიფო საზღვრების უშიშროების უზრუნველსაყოფად, არა მარტო ჩრდილოელი მომთაბარე ტომების თავდასხმებისაგან, არამედ სპარსელების მოსალოდნელი შემოსევებისაგანაც. ეგრისის სამეფოს, IV ს-ის დამლევიდან მთელი მეხუთე საუკუნის განმავლობაში, სხვა ვალდებულება არც გააჩნდა რომისადმი, იცავდა რა თავის სახელმწიფო საზღვრებს ამით უზრუნველყოფდა იმპერიის საზღვრების უშიშროებას ჩრდილოეთიდან[4]. ასეთ ვითარებაში, ეგრისის სამეფომ IV ს-ის დამლევს და V ს-ის 20-იან წლებში, მთელი ისტორიული

---

[1] მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, 1895, გვ. 87; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, 1930, 366-368; ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 262; პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 194.

ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 28.

ს. ჯანაშია, შრომები, II, დასახ. გამოცემა, გვ. 314-317; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 72.

პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 72-73.

კოლხეთის ტერიტორია გააერთიანა თავისი ძალაუფლების ქვეშ, მდ. აქეუნტა-შახედან (ჯიქების საზღვრიდან) ტრაპეზუნტამდე, აღმოსავლეთით ლიხის მთამდე, ხოლო ჩრდილოეთით კავკასიონამდე. აღნიშნულ პერიოდში ეგრისის მეფის ხელისუფლებას ემორჩილებოდა: აფშილეთი, სანიგეთი, აფხაზეთი (აბაზგია), სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, არგვეთი და ჭანეთი[1].

მოსალოდნელია, რომ ეგრისის სამეფოს ყველაზე მეტი ძალისხმევა სანიგების შემოერთებისათვის ბრძოლაში დაჭირვებოდა, რადგან, როგორც ითქვა, სანიგების ეთნო-პოლიტიკური ერთეული ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ტომი იყო ზემოთ დასახელებულ გაერთიანებებს შორის. შესაძლოა, ერთი მთავარი ფაქტორი, – ბიჭვინთის დაცემისა, – რომელიც ასე გარკვევით წარმოაჩინა არქეოლოგიურმა გათხრებმა და თარიღდება IV ს-ის დასასრულით[2], ეგრისსა და სანიგებს შორის გამართული ცხარე ბრძოლების შედეგი ყოფილიყო[3]. მეხუთე საუკუნის ბიზანტიური წყაროების (თეოდორიტე კვირელის და V ს-ის ანონიმის) მონაცემებით, V ს-ის დასაწყისისათვის, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ბიზანტიის იმპერიის უკანასკნელ სასაზღვრო პუნქტს ბიჭვინთა წარმოადგენდა[4]. იმპერიის პოლიტიკას კი მთელ ის-

---

[1] ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, II, დასახ. გამოცემა, გვ. 314-317; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია დასახ. გამოცემა, გვ. 72; დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII სს-ში, დასახ. გამოცემა, გვ. 100-103.

ოთ. ლორთქიფანიძე, ინიკიტის ტბის მიდამოებში ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური მუშაობის წინასწარი ანგარიში, მსკა, III, 1963, გვ. 106, რ. რამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, მსკა, IV, თბ., 1967, გვ. 120-121; გ. ლორთქიფანიძე, ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., 1991, გვ. 70-73.

შეად. გ. დუნდუა, სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, დიდი პიტიუნტი, I, 1975, გვ. 410-412; ი. ცუხიშვილი, ბიჭვინთის ბიზანტიური მონეტები, დიდი პიტიუნტი, II, 1977, გვ. 306; გ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 70-73.

თეოდორიტე კვირელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ა. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 224; ანონიმი V საუკუნისა, გეორგიკა, II, გვ. 9-10.

ტორიულ კოლხეთში, მაშინ, მისი ვასალი ეგრისის სამეფო განახორციელებდა.

ბიჭვინტის არქეოლოგიურმა მონაპოვარმა ნათელყო, რომ ამ ქალაქს IV ს-ის დამლევიდან, მთელი მეხუთე საუკუნე, ვიდრე VI ს-ის 20-იან წლებამდე, ნაკლები კონტაქტები ჰქონდა გარე სამყაროსთან, განსაკუთრებით ეს ბიზანტიის პროვინციებთან შეიმჩნევა[1]. მაშინ, როცა IV ს-ის დასასრულამდე ბიჭვინთას მჭიდრო კულტურულ-რელიგიური, სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობები ჰქონდა დამყარებული აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიის მნიშვნელოვან პუნქტებთან. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ეგრისის სამეფოს წილ ტერიტორიაზე, ცხოვრება ჩვეულებრივი რიტმით მიმდინარეობდა. როგორც აქ მოპოვებული არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ფიქრობენ, სოხუმში (ძველი ციხის ტერიტორიაზე) მიკვლეული მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი მასალა, რომლიდანაც წითელლაკიანი კერამიკა სრულ იდენტურობას ავლენს ბიჭვინთის წითელლაკიან ჭურჭელთან და თარიღდება IV-V საუკუნეებით, გვიჩვენებს თუ როგორი ინტენსიური სამეურნეო ცხოვრება მიმდინარეობს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირო ქალაქებში, ეგრისის სამეფოს გაძლიერების ხანაში[2]. ზოგიერთი კერამიკული ნაწარმი დამახასიათებელია მხოლოდ სებასტოპოლისსა[3] და პიტიუნტისათვის[4], იშვიათად გვხვდება სხვა ქვეყნებში, მათ შორის ჩრდილო შავიზღვისპირეთში[5]. წითელ-

---

[1] ა. აფაქიძე, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, დიდი პიტიუნტი, I, დასახ. გამოცემა, გვ. 27.

ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, მასალები დიოსკურია – სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის, „მაცნე" (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო), №3, თბ., 1965, გვ. 117, 118; მათივე, Новые материали к археологии Диоскурии-Себастополиса, ТАИЯЛИ, XXXIII-XXXIV, 1963, с. 222.

[3] ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 116.

ო. ლორთქიფანიძე, ბიჭვინთის წითელლაკიანი კერამიკა (ძირითადი ტიპები და მათი დათარიღება, სმგმ, №1, 1962, გვ. 247).

ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 116.

ლაკიანი კერამიკა დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილებიდანაც: პეტრა-ციხისძირიდან, ვარდციხის ნაქალაქარიდან და სხვა პუნქტებიდან[1]. ყოველივე ეს იძლევა იმის საფუძველს, ვივარაუდოთ ნითელლაკიანი კერამიკის ერთი და იგივე საწარმოო ცენტრიდან წარმომავლობა და ამ საწარმოს ცენტრის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებობის შესაძლებლობაც[2]. აღსანიშნავია, ისიც, რომ ბიჭვინტაში მოპოვებულ ტალღისებრი სახეებით შემკული კერამიკა (ჯამის ძირები, თეფშები) IV-V საუკუნეებით თარიღდება[3] და ასეთივე შემკულობის მასალა მიკვლეულია სოხუმშიც[4]. ამავე რაიონის სოფ. ოლგინსკოეს სამაროვანზე კი, ასეთი სახის არა მარტო სამზარეულო, არამედ სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელიცაა (ქვევრები, დერგი, ამფორა და სხვა) აღმოჩენილი[5], ფიქრობენ რომ ეს მასალაც შეიძლება IV-V საუკუნებით დათარიღდეს[6]. ბ. კუფტინი ტალღურ ორნამენტს დასავლურ ქართულად მიიჩნევდა[7]. ბიჭვინტის ნაქალაქარზე ბოლოდროინდელმა ჩატარებულმა

---

[1] ნ. ინაიშვილი, ადრე შუა საუკუნეების კერამიკა პეტრა-ციხისძირიდან, სდსძ, 1981, X, გვ. 135; ვ. ჯაფარიძე, გზებისა და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა საკითხებისათვის ეგრისში (ვარდციხის არქეოლოგიური მასალების მიხედვით), ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, IV, 1982, გვ. 33-36.

[2] ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 117; ქ. ბერძენიშვილი, ბიჭვინტის ნითელლაკიანი თიხის ჭურჭლის შესწავლისათვის (1952-1953 წწ.) განათხარის მიხედვით), მსკა, III, 1963, გვ. 113, 117; რ. ფუთურიძე, ნითელლაკიანი კერამიკა სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიიდან, მსკა, ტ. IV, 1975, გვ. 138.

ლ. ასათიანი, ბიჭვინტის ნითელლიაკიანი კერამიკა, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 199.

ო. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის ნითელლაკიანი კერამიკა, დასახ. გამოცემა, გვ. 245.

ქ. ბერძენიშვილი, წებელდის გვიანანტიკური ხანის კერამიკა, მსკა, II, 1959, გვ. 105.

[6] ლ. ასათიანი, ბიჭვინტის ნითელლაკიანი კერამიკა, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 201.

Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, I, Тб., 1949, с. 33-34, рис. 12.

არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ბიჭვინთას IV ს-ის დასასრულიდან, მთელი მეხუთე საუკუნის განმავლობაში არ აქვს კავშირ-ურთიერთობები ბიზანტიის პროვინციებთან[1] და ამ დროს, აქ აღარ დასტურდება ბიზანტიის ჯარის ნაწილის დგომაც[2].

ნიშანდობლივია, რომ პროკოპი კესარიელს თავისი დროისათვის (VI ს.), სებასტოპოლისი-ცხუმი და ბიჭვინტა ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ისეთივე საკუთარ ციხე-ქალაქებად აქვს აღქმული, როგორც არქეოპოლისი (ციხე-გოჯი), როდოპოლისი (ვარდციხე), სკანდა და შორაპანი და სხვ. ის, როცა მდინარე ფაზისის (რიონის) მარცხენა და მარჯვენა მხარის დასახლებებზე ლაპარაკობს, აღნიშნავს: „...მარჯვნივ მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე ვიდრე იბერიის საზღვრებამდე დასახლებულია ადგილობრივი მაცხოვრებლებით, ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სებასტოპოლისიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანისი იბერიის საზღვრებისაკენ. ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხრისი"[3]. რა თქმა უნდა, ეს ლაზიკის ძლიერებისა და მისი სანიგებზე პოლიტიკური ზეგავლენის შედეგი შეიძლება ყოფილიყო, თორემ პროკოპისათვის ისიც კარგად არის ცნობილი, რომ სებასტოპოლი და პიტიუნტი სანიგების საცხოვრისზე დაარსებული სიმაგრეებია, თუმცა აშკარად შეიმჩნევა, რომ მათ მიმართ ეგრისის სამეფოს განსხვავებული დამოკიდებულება უჩანს, ვიდრე ეგრისის სამეფოში შემავალი აფშილეთის, აბაზგეთის და მისიმიანეთის სიმაგრეებზე: წიბილეზე (წებელდაზე), ტრაქეა-გაგრაზე, ძახარსა (რკინის ციხე) და სხვაზე. ისე კი, იმ მოტივით, რა მოტივითაც პროკოპი აღნიშნულ ქალაქებსა და სიმაგრეების სახელს ახსენებს (ფაზის-რიონის მარჯვენა მხარეზე მდებარეობის ნიშნით), ამავე

---

[1] გ. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის ნაქალაქარი, დასახ. გამოცემა, გვ. 56-59, 172.

იქვე.

[2] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 101.

მოტივით (თუ კი მარტო პოლიტიკური ზეგავლენით ავხსნიდით ყოველივე ამას) შეეძლო დაესახელებინა მისთვის კარგად ცნობილი მნიშვნელოვანი სიმაგრეები: გაგრა-ტრაქეა, წებელდა და ძახარი, ისინიც ხომ რიონის მარჯვნივ იყვნენ განლაგებულნი?!... მაგრამ, როგორც ითქვა, სანიგების ტერიტორიის ნაწილი (სებასტოპოლისიდან პიტიუნტის ჩათვლით) თავისი მოსახლეობით, ისე გაითავისა ეგრისის სამეფომ, როგორც თავისი ხალხი და თავისი მიწა-წყალი. შესაძლოა ამ საქმეში გარკვეული როლი შეესრულებინა იმას, რომ VI საუკუნისათვის სანიგების ეს ნაწილი კარგა ხნის შეერთებული ჰქონდა ეგრისის სამეფოს, და იმასაც, რომ ლაზები და სანიგები ერთი წარმომავლობისანი იყვნენ. სხვათაშორის, IV ს-ის მწერალი ამიანე მარცელინე (330-393 წწ.) ალბათ, IV ს-ის 70-იანი წლებიდან, დიოსკურია – სებასტოპოლისს კოლხიდის (ლაზიკის) ისეთივე საკუთარ ქალაქად მიიჩნევს, როგორც ფაზისს (ფოთს), ის წერს: კოლხიდაში „... სხვა ქალაქებს შორის არის მდინარის მიხედვით სახელშერქმეული (ქალაქი) ფაზისი და ახლაც კი კარგად ცნობილი დიოსკურია“[1]. წერილობითი წყაროების ამ მონაცემებს შესანიშნავად ადასტურებს, როგორც ითქვა ბიჭვინთაში, სოხუმსა და წებელდაში მიკვლეული არქეოლოგიური მონაპოვრის ანლიზი[2] და დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე დაცული ქართული ტოპონიმიკა[3].

ყოველივე ეს იძლევა საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ეგრისის სამეფომ IV ს-ის დამლევს დაიპყრო სანიგების საცხოვრისის ნაწილი მდ. კლისურა-კელასურიდან ბიჭვინთამდე და გაითავისა როგორც საკუთარი პროვინცია. რადგან ეს ასეა, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, V ს-ის დასაწყისში უკვე, ბი-

---

[1] ამიანე მარცელინე, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 112.

დ. ლეთოდიანი, აფხაზეთის,აფშილეთის და სანიგეთის..., გვ. 88-91. ვ. ჯაფარიძე, ნებელდური კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბ., 1979, გვ. 82, 87, 88, ...; ნ. აფხაზავა, ადრეული ეპოქის აფხაზეთის ეთნიკური სიტუაცია, თბ., 2010, გვ. 42-72; იქვე სათანადო ლიტერატურა;

Г. Цулая, Афхазия и афхазы в контексте истории Грузии, М., 1995, გვ. 19-20, 22 და სხვაგან.

ჭვინთა ეგრისის სამეფოს უკანასკნელი სასაზღვრო პუნქტია, ხოლო ამავე საუკუნის 20-30-იანი წლებიდან მაინც, აბაზგების ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი სანიგებთან მდ. აბასკო-ფსოუზე გადის, მაშინ, აბაზგ-აფხაზები, ზღვისპირეთში 240 სტადიონ მანძილზე (დღევანდელი გაგრის რაიონში) ჩამოსახლებულან მთიდან და დამკვიდრებულან აქ. მანამდე ეს ტერიტორია როგორც ითქვა, სანიგების კუთვნილებას წარმოადგენდა, მაგრამ IV ს-ის დასასრულიდან ეგრისის ექსპანსიის შედეგად დამარცხებულ და დასუსტებულ სანიგებს შესაძლოა დაეკარგათ და დაეცალათ კიდეც მათი საცხოვრისის ეს ნაწილი. აფხაზებს კი, აღნიშნული რეგიონი V ს-ის 20-30-იან წლებში მაინც, მხოლოდ ბიზანტიის და ეგრისის ხელისუფლების დახმარებითა და მხარდაჭერით შეიძლება აეთვისებინათ. ამავე პერიოდშია მოსალოდნელი ეგრისის სამეფოს მიერ სანიგების ეთნო-პოლიტიკური ერთეულის (აბასკოს-ფსოუდან აქეუნტა-შახემდე, – ჯიქებამდე) დაპყრობა-შეერთება. ხოლო VI ს-ის 30-40-იან წლებში, ბიზანტიის ზეწოლითა და ძალისხმევით, ეს ეთნო-პოლიტიკური ერთეული და აფხაზეთი ერთ ადმინისტრაციულ გაერთიანებაში მოექცა, ერთი ხელისუფალის ქვეშ და აფხაზეთის სახელით[1]. ასეთ რეალურ ვითარებაში გვესახება ჩვენ აფხაზების (აბაზგების) შავი ზღვის სანაპიროზე დამკვიდრება და მასთან დაკავშირებული საკითხები, და არა ისე როგორც ფიქრობენ: თითქოს გაძლიერებული ლაზები აფშილებს, აფშილები აბაზგებს, ხოლო აბაზგები სანიგებს მიაწვნენ და აფშილებმა და აბაზგებმა სანიგების საცხოვრისი II ს-ის, ან IV ს-ის დამლევს დაიჭირეს და გაითავისეს მდ. აბასკოს-ფსოუმდე, ან ბზიფამდე. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად II-V საუკუნეებისათვის, არა მარტო არ მოიპოვება რაიმე წყარო, არამედ პირიქით, საპირისპირო მტკიცებულებები არსებობს, როგორც მივუთითეთ ზემოთ. ამის შესახებ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, უფრო ვრცლად სხვაგან გაქვს საუბარი[2], აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „აფხაზი"-ს

---

[1] ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. დ. ლეთოდიანი აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში, გვ. 141-166. იქვე სათანადო ლიტერატურა. იქვე, გვ. 75-88, 140-179 და სხვაგან, იქვე საჭირო ლიტერატურა.

და „აფხაზეთი"-ს სახელის გავრცელება, ჯერ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე და შემდეგ, მთელ დასავლეთ საქართველოზე, სხვა მიზეზებითა და სხვანაირად შეიძლება აიხსნას.

VI ს-ის 20-იანი წლებიდან ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება აშკარად იჩენდა უნდობლობას ეგრისის (ლაზიკის) სამეფოსადმი, მათ საგანგებოდ, კიდევ უფრო დაამძიმეს თავისი დიდმპყრობელური პოლიტიკა იქ. საპასუხოდ ეგრისის მეეფებიც: ჯერ ნათე I-ლი, შემდეგ კი გუბაზ II-ე, საკმაო გაბედულებით უპირისპირდებოდნენ ბიზანტიელთა აგრესიას. ირანის ძალებსაც იყენებდნენ მათ წინააღმდეგ. აკი, გუბაზ II-ემ 542 წელს ეგრისში შემოიყვანა ირანის შაჰი ხოსრო ანუშირვან I თავისი ჯარებით და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაუმართა ბიზანტიელებს. მართალია, გუბაზ მეფემ 7 წლის შემდეგ ზურგი შეაქცია ირანელებს და იუსტინიანე კეისარს შეურიგდა, ახლა მასთან ერთად შეუტია ირანელებს, მაგრამ ბიზანტიის ხელისუფლებამ კარგად უწყოდა, რომ ეს გუბაზს მათი ერთგულებისათვის არ გაუკეთებია (ირანელებს მისი მოკვლა და ლაზების თავისი საცხოვრისიდან აყრა ჰქონდათ განზრახული). VI ს-ის 30-40-იან წლებიდან ბიზანტიის ხელისუფლება ღიად იწყებს ეგრისის სამეფოსადმი საწინააღმდეგო მოქმედებას შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ეს იმაში გამოიხატა, რომ საკეისრომ ეგრისისაგან დამოუკიდებლად მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა ამ რეგიონში. კონსტანტინოპოლმა თავისი პოლიტიკის იქ განხორციელებისათვის საიმედო საყრდენად, როგორც ეს პროკოპის მონაცემებიდან ჩანს, აბაზგები (აფხაზები) მიიჩნია[1]. ნიშანდობლივია, რომ იუსტინიანემ თავისი სახელმწიფო საქმეების მოსაგვარებლად იქ, საგანგებოდ მიავლინა იმპერატორის კარზე გაზრდილი აფხაზი ევნუქი ევფრატა, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითა და აფხაზთა (აბაზგთა) გარკვეული წრეების აქტიური მხარდაჭერით, გატარდა ბიზანტიის მთავრობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები: აიკრძალა აფხაზი ბავშვების დასაჭურისება და ტყვედ გაყიდვა, რასაც დიდი სიხარულით შეხვდნენ დაბალი სოციალური წრის აფხაზები, გავრცელდა და განამტკიცა ქრისტიანული რწმენა, იუსტინიანემ მათ

[1] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 134-135.

ეკლესიაც აუშენა. კეისრის ნებითა და ევფრატას მეცადინეობით მოისპო ადგილობრივი თვითმმართველობა აბაზგებსა და სანიგებში, შეიქმნა მათი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული გაერთიანება „აფხაზეთი“-ს სახელით და ევფრატას ხელისუფლებით. ბიზანტიის ხელისუფალთა მითითებითა და მათივე ხელმძღვანელობით, აღნიშნულ გაერთიანებაში, დაიწყო ბიზანტიის საიმპერიო კარის უმეშვეო მმართველობის დამყარება[1]. „როდესაც მათ თავიანთი მეფეები მოსპეს, როგორც ეს ჩემ მიერ ახლახან იყო მოთხრობილი, – გადმოგვცემს პროკოპი კესარიელი, – რომაელთა ჯარისკაცები, კეისრის მიერ წარგზავნილები, მათ ქვეყანაში იდგნენ ხოლმე ძალიან ხშირად და მათ უნდოდათ ეს ქვეყანა დაემორჩილებინათ რომაელთა ძალაუფლებისათვის, და მათ ახალ-ახალ რაღაც წესებს უმყარებდნენ. ამ ძალადობის გამო აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ“[2]. ბუნებრივია, ასეთ გაერთიანებას (სანიგებისა და აბაზგების), რომელშიც გარკვეული ინიციატივები აბაზგების ზოგიერთ სოციალურ წრეებს ეპყრათ (რომელთა ინტერესებსაც პირველ ხანებში ბიზანტიის ხელისუფლება გარკვეული მიზნით ითვალისწინებდა), რომლის პირველი ხელისუფალიც, ბიზანტიის ძალისხმევით, ტომით აბაზგი ევფრატა იყო, შერქმეოდა „აბაზგია“ („აფხაზეთი“). დამპყრობლებმა, როგორც უკვე ითქვა, უმეშვეო მმართველობის დამყარება მოინდომეს აფხაზთა (აბაზგიის) სახელით შექმნილ გაერთიანებაში, ამას კი აბაზგების აჯანყება მოყვა. „...იმის შიშით, რომ ამიერიდან რომაელთა მონებად არ გამხდარიყვნენ, მათ კვლავ დაიყენეს თავისთვის მთავრები, აღმოსავლეთის ნაწილისათვის ოფსიტე სახელად, ხოლო დასავლეთისათვის სკეპარნა“[3]. ე. ი. ბიზანტიელების მიერ, იმდენად ძალდატანებით იქნა შექმნილი აბაზგთა და სანიგთა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული გაერთიანება, იმის მაგივრად, რომ ისინი მტკიცედ გაერთიანებულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, – ორად გაიყვნენ და პირველი პროტესტიც ამით გამოხატეს. ამ აჯანყებაში, რომელიც 550

---

[1] იქვე.

პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 157.

[2] იქვე.

წელს გაიმართა, უფრო მეტად აბაზგები აქტიურობდნენ, ვიდრე სანიგები, მათი მთავარი სკეპრნა ხოსრო ანუშირვანთან იყო მიხმობილი ირანში და იქ გაემგზავრა[1]. აბაზგთა მთავარმა ოფსიტემ ყველა აბაზგი შეკრიბა და მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ბიზანტიელებს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა. დამპყრობლებმა აფხაზეთის ადმინისტრაციული ცენტრის გაგრა – „ტრაქეას“ „...ციხის გალავანი მიწასთან გაასწორეს და მთელი მიწაწყალი უდაბნოდ აქციეს“[2]. აბაზგთა მთავარმა ოფსიტემ რამდენიმე კაცით მოახერხა ჰუნებში გაქცევა, „ხოლო დანარჩენები ან ფერფლად იქცნენ გადამწვარ სახლებთან ერთად, ან მტრის ხელში ჩავარდნენ“[3]. აბაზგთა (აფხაზთა) ტომი თითქმის გაანადგურეს ბიზანტიელებმა.

ბიზანტიელების მიერ აფხაზებისადმი ჩადენილ ასეთ სისასტიკეს, ვერ მალავს იმპერიის ოფიციალური პირი და ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი. მაშინ როცა, სხვა შემთხვევაში ის ბიზანტიის მიერ გატარებულ ყოველგვარ პოლიტიკის აპოლოგეტად გვევლინება. ყოველ შემთხვევაში ეს ასე იკითხება მის ოფიციალურ თხზულებებში. ეტყობა, ბიზანტიელების მიერ აფხაზებზე მიყენებული დარტყმა იმდენად გამანადგურებელი და მასშტაბური იყო, რომ პროკოპი იძულებული შეიქმნა ეს რეალობა ელიარებინა. ყოველივე ამის შემდეგ, ბიზანტიის ხელისუფლებას თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის წინ რაღა დაუდგებოდა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ, რეგიონი ბიჭვინთის დასავლეთიდან, ვიდრე მდ. აქეუნტა – შახემდე, – ჯიქების საზღრებამდე, ბიზანტიამ თავის პროვინციად გამოაცხადა და უწოდა „აბაზგია“ (აფხაზეთი). როგორც ვახუშტი ბატონიშვილი იტყოდა „გარნა უმეტეს საგონებელი არს,... ეწოდა სახელი ესე (აფხაზეთი დ. ლ.)“[4]. შესაძლოა, ეს სახელი იმიტომაც ეწოდა აღნიშნულ

---

[1] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 158.

პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 161.

იქვე.

ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 784.

რეგიონს, რომ აჯანყების ჩახშობის შემდეგ სახელ „აფხაზეთი"-ს ქვეშ აღარ იგულისხმებოდა რაიმე კონკრეტული ძალა, რომელიც წინ აღუდგებოდა იმპერიის დამპყრობლურ ნებას. ასე რომ აფხაზეთი (აბაზგია) და სანიგეთი, რომელნიც პროკოპის გადმოცემით „ძველიდანვე" ეგრისის სამეფოს ქვეშევრდომნი იყვნენ[1], ბიზანტიამ შეიერთა. XI ს-ის დამლევის ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე ზონარას ცნობით: იუსტინიანე 1-დან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც მან აღნიშნული რეფორმები ჩაატარა „აფხაზეთის" (აბაზგთა) სახელით შექმნილ (სანიგთა და აფხაზთა) გაერთიანებაში, „აბაზგებს არც ერთი მმართველი ადგილობრივად არ ენიშნებოდა, იქ რომაელთა მეფეები გზავნიდნენ არქონტებს და უკანასკნელნიც მეფეთა კარნახით მართავდნენ [სახელმწიფო] საქმეებს"[2]. ამას ქართული წყაროებიც ადასტურებენ, რომელზედაც ქვემოთ იქნება საუბარი.

სახელმა „აფხაზმა" (აბაზგმა) უკვე დაკარგა ტომის აღმნიშვნელი ფუნქცია. 1. რადგან ტომი თითქმის განადგურებული იყო აჯანყების ჩახშობის შემდეგ, როგორც ეს პროკოპის ზემოთ მითითებული ცნობიდან ჩანს, 2. აბაზგი (აფხაზი) კონკრეტული ტომის სახელიდან იქცა, უფრო სწორად, ბიზანტიის ხელისუფლებამ აქცია ზოგად პოლიტიკურ ტერმინად, რომელიც პირველად ბიჭვინთის დასავლეთით, ჯიქების საზღვრებამდე გაავრცელა, მთელ ამ რეგიონს კი უწოდა „აფხაზეთი" სახელად. V ს-ის ანონიმის მონაცემებიდან კარგად არის ცნობილი, როგორც ითქვა, რომ, მდ. აბასკოს – ფსოუდან, ვიდრე მდ. აქეუნტა – შახემდე, ჯიქების საზღვრებამდე, მხოლოდ სანიგების ეთნოპოლიტიკური ერთეული დომინირებდა[3]. ეს პროკოპისათვისაც შესანიშნავად იყო ცნობილი[4]. თუმცა VI ს-ის 50-იანი წლებიდან აღნიშნულ რეგიონს უკვე აბაზგიას უწოდებს. ის ერთგან ასე წერს: „...პირისპ-

---

[1] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 133.
იოანე ზონარა, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 6. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1966, გვ. 130.
ანონიმი V საუკუნისა, გეორგიკა, ტ. II, დასახ. გამოცემა, გვ. 10.
პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ. II, გვ. 136-137.

ირ კავკასიის მთა მთავრდება. იქ ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს. მათ შორის ალანებიც და აბაზგებიც... აგრეთვე ზიქნიც და მათ შემდეგ ჰუნებიც"[1]. მეორეგან პროკოპი უფრო აზუსტებს აბაზგების და ჯიქების მეზობლობას... „კავკასიონის მთის გასწვრივ ცხოვრობენ ბრუქები, აბაზგებსა და ალანებს შუა. ხოლო ევქსინის პონტოს ნაპირას ზიქები არიან დამკვიდრებული"[2]. ასე გაფართოვდა პირველად სახელი „აფხაზეთი"-ს არეალი, რომლის ძირითად მოსახლეობას სანიგები წარმოადგენდნენ. ჩვენი აზრით, მეორედ, „აფხაზეთი"-ს სახელი „ტრაქეა" – გაგრიდან გაფართოვდა და გავრცელდა აღმოსავლეთით, ვიდრე მდ. კლისურამდე, VII ს-ის დასაწყისში, რასაც შესანიშნავად ადასტურებს ზემოთ მითითებული VII ს-ის სომხური ანონიმური გეოგრაფის მონაცემები. თუმცა ვახუშტი ბატონიშვილს, თუ მის წყაროს მიაჩნია, რომ მისმა საზღვარმა მდ. ეგრისწყალ-ღალიძგამდეც კი მიაღწია, ვახუშტის წყარომ ისიც კარგად იცის, რომ მანამდე აფხაზეთის სახელი მხოლოდ ანაკოფიის დასავლეთით მდებარე მცირე მთის დასავლეთით ფიგურირებდა. „...დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლეთით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიდან ჩამოსული ზღუამდე"[3]. ვახუშტის აზრით, მხოლოდ VII ს-ის დასაწყისში ჰერაკლე კეისრის (610-641 წწ.) ძალისხმევით მოხდა აფხაზეთის სახელის გავრცელება აღმოსავლეთით. „ხოლო შემდგომად სტეფანოზ ბაგრატიონის ჟამსა მიუღო ერეკლეოს კეისარმან კუალად ეგრისის მდინარის იქითი. დასუეს ბერძენთა ერისთავი თჳსი ანაკოფიას და უწოდეს აფხაზთა ერისთავად, იყვნენ აქა ერისთავნი ცვლილებითა"[4]. თუკი VII ს-ის დასაწყისში „აფხაზეთი"-ს სახელი, მართლაც გავრცელდა მდ. ეგრისწყალ-ღალიძგამდე, ეს მხოლოდ VII ს-ის 50-იან წლებამდეა სავარაუდო, რადგან ჩვენ VII ს-ის მეორე ნახევრის სანდო ბერძნულენოვანი წყაროდან (თეოდოს გან-

---

[1] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ. II, გვ. 100.

იქვე, გვ. 135.

ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, დასახ. გამოცემა, გვ. 783-784.

იქვე, გვ. 795.

გრელიდან) დანამდვილებით ვიცით, რომ, ეგრისწყალ-ღალიძგას ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო ადგილები, ამ დროიდან ეგრისის გავლენის ქვეშაა მოქცეული და არა ბიზანტია – „აფხაზეთი"-ს[1], ხოლო ჯუანშერი დაბეჯითებით და არა ერთხელ აღნიშნავს, რომ საბერძნეთსა (ბიზანტიასა) და საქართველოს (ეგრისს) შორის სასაზღვრო ხაზი კლისურაზე (მდ. კლისურა, ან კლისურის ზღუდე) გადის V ს-დან და არა მდ. ეგრისწყალ-ღალიძგაზე[2]. მაშასადამე, აფხაზი ტომის განადგურებისა და მისი ადმინისტრაციული ცენტრის „ტრაქეა" – გაგრის დანგრევის შემდეგ (550 წ.), VII ს-ის დასაწყისში ჰერაკლე I-მა თავისი დაპყრობილი სამფლობელოს ადმინისტრაციულ ცენტრად ააშენა ანაკოფიის ციხე-სიმაგრე (ახალი ათონი), იქ დასვა თავისი მოხელე (არქონტი) და მთელ ამ ტერიტორიას, როგორც ვახუშტი იტყოდა, უწოდა აბასა, ხოლო ქართველებმა აფხაზეთი. აღსანიშნავია, რომ ქართული წყაროები კლისურის დასავლეთს, ვიდრე ჯიქებამდე, რეალობის ადეკვატურად, საბერძნეთს (ბიზანტიას), ანუ „აფხაზეთ"-ს, ბიზანტიის მიერვე შერქმეულ სახელს უწოდებენ, ხოლო მათ მმართველებს „ბერძენთა ერისთავს", „კეისრის ერისთავს"[3]. სხვათა შორის, აქვე შეიძლება ისიც ითქვას, რომ ეგრისის მეფე-მთავრები ბიზანტიის საიმპერიო კარის ვასალები იყვნენ, მაგრამ არც ერთ წყაროს, არც ერთი მათგანი არ მოუხსენებია კეისრის, ან ბერძენ ერისთავად, არქონტად, პატრიკიოზად, ან ბიზანტიის სახელისუფლო კარის რომელიმე სხვა რანგის მოხელედ, ისინი იწოდებოდნენ მხოლოდ ლაზიკის მეფეებად, ან ლაზიკის პატრიკიოზებად და სხვა (ახ. წ. II ს-დან მოკიდებული VIII ს-ის 70-იან წლებამდე). ასევე, ჯერ ქართლის, შემდეგ კი საქართველოს მეფე-მთავრები VI ს-დან ვიდრე დავით აღმაშენებლამდე, ბიზანტიურ ტიტულებს

---

[1] თეოდოს განგრელი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, ტექსტი ბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1941, გვ. 50.

ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 177, 203, 205, 235, 242.

ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 235; ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, დასახ. გამოცემა, გვ. 795.

ატარებდნენ, მაგრამ ისინი ქართული წყაროებისათვის (და არა მარტო ქართული წყაროებისათვის), ყოველთვის, ქართლის, შემდეგ კი გაერთიანებული საქართველოს დამოუკიდებელი ხელისუფალნი იყვნენ, უპირველეს ყოვლისა. მაგრამ, ამ შემთხვევაში სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე, როგორც ითქვა, VII ს-ის 10-იანი წლებიდან კლისურის დასავლეთი, ვიდრე ჯიქებამდე (მდ. აქეუნტა-შახემდე) ბიზანტიამ წაართვა ეგრისის სამეფოს, თავის უშუალო პროვინციად გამოაცხადა, იქ საკუთარი ადმინისტრაცია დაამყარა არქონტის ხელისუფლებით და „აფხაზეთი", ხოლო მოსახლეობას „აბასკები" („აფხაზები") უწოდა. სახელი, რომლის ქვეშ აღარ იგრძნობოდა საკუთრივ აფხაზური ტომის არავითარი ძალა 550 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, რაც როგორც აღინიშნა, უნდა გამხდარიყო ბიზანტიის ხელისუფლებისათვის საფუძველი, „აფხაზეთის" სახელის წინ წამოწევისათვის.

ბიზანტია ამ მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული რეგიონის ხელში ჩაგდებით, დაეპატრონა ჩრდილო კავკასიიდან გადმოსავლელ ზეკარებს, და უკვე ამიერიდან, ეგრისისაგან დამოუკიდებლად, შეეძლებოდა დაეცვა თავისი სახელმწიფოს საზღვრების უშიშროება, ხაზარების და ჩრდილო კავკასიური ზოგიერთი ტომის შემოსევებისაგან, იმპერიის ხელისუფლება მიღწეულზე არ შეჩერებულა, ის კვლავ დაჟინებით აგრძელებდა აგრესიას ეგრისისადმი. კონსტანტინოპოლის ზეწოლის შედეგი უნდა ყოფილიყო ის, რომ ეგრისის მეფის სტატუსი VII ს-ის 60-იანი წლებისათვის პატრიკიოზის ტიტულებამდეა დამცრობილი[1]. ხოლო 697 წელს, ბიზანტიის საკეისროსაგან შევიწროებული ეგრისის (ლაზიკის) პატრიკიოზი სერგი ბარნუკის ძე აუჯანყდა ბიზანტიელებს და მათ საპირისპიროდ არაბთა ჯარები შემოიყვანა ეგრისში და ჩააყანა თავის ციხე-სიმაგრეებში[2].

---

[1] თეოდოს განგრელი, დასახ. გამოცემა გვ. 47-50 და სხვაგან, ეგრისის მმართველი (მთავარი) პატრიკიოზად იხსენიება.

[2] თეოფანე უამთააღმწერელი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ბერნულიდან ქართულად თარგმნა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1941, გვ. 105; ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, შრომები, II, 1952, გვ. 368.

ასე რომ, ეგრისის სამეფოში, მის საწინააღმდეგოდ გატარებული ბიზანტიის ხელისუფლების დამპყრობლური პოლიტიკის შედეგი იყო აფხაზეთის (აბაზგიის) სახელის გავრცელება-გაფართოება. ეს ფაქტია, და ეს აზრი შესანიშნავად აქვს გამოხატული ვახუშტი ბაგრატიონს, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ. „დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი"[1]. VIII ს-ის 30-იანი წლების მიწურულს, ბიზანტიის კეისარმა, მაშინდელი აფხაზეთის არქონტს (ერისთავს) ლეონ I-ს, ჯუანშერის ცნობით, მოხელეობა (არქონტობა) სამემკვდრეოდ მისცა[2]. ალბათ, ამიტომ, როცა „აფხაზეთი"-ს სახელი დავიწროვდა მოგვიანებით, მხოლოდ ამ რეგიონს (კლისურის დასავლეთს) შერჩა ეს სახელი და არა მარტო, როგორც პოლიტიკური, არამედ როგორც გეოგრაფიული. თუმცა, ჩვენ უფრო იმას ვფიქრობთ, რომ ამ მხარის მანამდელი (VII ს-ის დასაწყისიდან) პოლიტიკური და გეოგრაფიული სახელი „აფხაზეთი" შეიძლება ყოფილიყო.

მესამედ, „აფხაზეთი"-ის სახელის არეალი საქართველოში VIII ს-ის მეორე ნახევარში, კერძოდ 70-იან წლებში[3] ფართოვდება, როცა ბიზანტიის იმპერია თავის მიზანს აღწევს და იმპყრობს ეგრისს (ლაზიკას), იქ ადგილობრივ ადმინისტრაციას აუქმებს და თავის მოხელეს აფხაზეთის არქონტს (ერისთავს), უკვე მთავრად აღიარებულ ლეონ I-ს, თუ ლეონ II-ს აძლევს სამართავად. ამიერიდან, მთელ დასავლეთ საქართველოს, დაწყებულს ნიკოფსიიდან ქალდიის ჩათვლით სამხრეთით, აღმოსავლეთით ლიხის მთამდე, „აფხაზეთი" ეწოდა[4]. იოანე საბანისძის აბო ტფილელის წამები-

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, დასახ. გამოცემა, გვ. 784.

ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 240.

პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, დასახ. გამოცემა, გვ. 201.

პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 210-213; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, მეორე გამოცემა, გვ. 563, 564-566; კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ლიტერატურა, ტფ., 1935, გვ. 28, მითითებული მეცნიერები თვლიდნენ, რომ ქალდეა აფხაზთა სამთავროში შედიოდა, მეცნიერების მეორე ნაწილი ფიქრობდა, რომ მასში აფსაროსიც კი არ შედიოდა – ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 335-339; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანე-

დან ვგებულობთ, რომ გარდა იმისა, რომ ამ დროიდან ეგრისის სამეფოს ყოფილ სახელმწიფო ტერიტორიას „აფხაზეთი“ ჰქვია, ამავე დროს, ის იონიის (ბიზანტიის) მეფის საბრძანებელია[1]. რასაც კარგად ადასტურებს, როგორც ეს შემჩნეული ჰქონდა ნ. ბერძენიშვილს[2], არჩილის წამებაში დაცული ერთი საყურადღებო ადგილი, სადაც არჩილი ეუბნება ამირა ასიმს „... ხოლო მამამან ჩემმან და ძმამან დასხნეს ყოველნი საგანძურნი ციხესა მას, სადათ – იგი შეიქცა ყრუ ამირა და აწ აქუს იგი ბერძენთა“[3]. ეს ციხე (უფრო სწორად ციხენი) კი, როგორც ეს მითითებული აქვს ჯუანშერს, არის ქუთაისი და ციხე-გოჯი[4].

ასე რომ, როგორც მითითებული სანდო წყაროებიდან (განსაკუთრებით, იოანე საბანისძის აბო ტფილელის და არჩილის წამებიდან) ჩანს, ბიზანტიამ ჯერ დაიპყრო ეგრისი და შემდეგ გააერთიანა „აფხაზეთი“ და ეგრისი თავისი ძალაუფლების ქვეშ, „აფხაზეთის“ ერისთავის, – შემდეგ კი მთავრის ხელისუფლებით და უწოდა „აფხაზეთი“ („აბაზგია“). როგორც ითქვა, ეს სულაც არ ნიშნავს აფხაზი ტომის რაიმე უპირატესობას დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ რომელიმე ტომზე. ჯერ ერთი, აფხაზები (აბაზგები), აფშილებისა არ იყოს, დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ტომებთან შედარებით: სანიგებზე, ლაზებზე, სვანებზე, ქართებზე, გაცილებით პატარა ტომი იყო რიცხობრივად, – ფლავიუს არიანედან (ახ. წ. II ს-დან) დაწყებული. მეორე, არც ეთნო–კულტურულად და პოლიტიკურად შესწევდა იმისი უნარი, თავისი განვითარების მაშინდელი დონით, რაიმე ზეგავლენა მოეხდინა ჩამოთვლილ ტომებზე. მესამე, რაც მთავარია, 550 წლის აჯა-

---

ბა (IX-X სს.) თბ., 1963, გვ. 181-185; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, 1980, გვ. 140-142; ნ. ლომოური, ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის, ჟურნ. მაცნე, №5, თბ., 1968, გვ. 85 და სხვ.

იოანე საბანისძე, აბო თბილელის მარტვილობა, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I თბ., 1964, გვ. 59.

ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 582.

ლეონტი მროველი, მეფე ქართლისა არჩილი, ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 247.

ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 236.

ნყების ჩაქრობის შემდეგ, აღარც არსებობდა საკუთრივ აფხაზეთის (აბაზგიის) ერთეული. ჩვენი აზრით, სწორედ აფხაზების (აბაზგების) ასეთი მდგომარეობა აძლევდა ხელს ბიზანტიის ხელისუფლებას, წამოეწია და გაევრცელებინა ეს სახელი, ჯერ კლისურის დასავლეთით, ხოლო შემდეგ მთელ დასავლეთ საქართველოზე, სანიგების და ეგრების საპირისპიროდ. ასე დაკარგა „აფხაზმა" ტომის აღმნიშვნელი სახელის ფუნქცია, ბიზანტიის ხელისუფლების ნებით.

„აფხაზეთი"-ს და „აფხაზი"-ს სახელი VIII ს-ის 90-იანი წლებიდან განმტკიცდა და ხარისხობრივად უფრო ამაღლდა, როცა გაძლიერებული „აფხაზეთი", ბიზანტიის იმპერიისათვის ცენტრიდანულ ძალად იქცა და მისმა მთავარმა ლეონ II-ემ, ხაზართა (დედულეთის) ძალების დახმარებით, შეძლო გადაეგდო ბიზანტიის უღელი, დასავლეთ საქართველო სუვენერულ სახელმწიფოდ გამოეცხადებინა, სატახტო ქალაქი ქუთაისში გადმოეტანა და თავისი თავისთვის „აფხაზთა" მეფე ეწოდებინა. „... დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ იდვა მეფე აფხაზთა"[1]. უკვე დამოუკიდებელი „აფხაზეთი"-ს მთავარმა ლეონ II-ემ, თავის თავს რომ „აფხაზეთი"-ს მეფე უწოდა, ამაში უჩვეულო არაფერი ჩანს, ის ხომ მთელი დასავლეთ საქართველოს, ანუ „აფხაზეთი"-ს დამოუკიდებელი მთავარი იყო. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მხოლოდ ხელისუფლების სტატუსი აიმაღლა, სახელმწიფოს სახელი კი იგივე („აფხაზეთი") დატოვა. ამ საქმეში, ალბათ, გარკვეული როლი, გარდა აღნიშნულისა, იმანაც შეასრულა, რომ ლეონ II „აფხაზთა" სახელისუფლო დინასტიის უშუალო მემკვიდრე იყო. რაც შეეხება მატიანე ქართლისაიში ნახსენებ სიტყვა „დაიპყრა"-ს, როგორც გამორკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა, – ბიზანტიისაგან დამოუკიდებელი, – სუვერენული ხელისუფლების მოპოვებას, მის პყრობას[2].

---

[1] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 251.

[2] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, დასახ. გამოცემა, გვ. 216; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 563-565; მ. ლორთქიფანიძე ეგრის-აფხაზეთი, საქართველოს ისტორია, (სახელმძღვანელო), I, 2006, გვ. 208-209.

მეოთხედ „აფხაზის“ და „აფხაზეთის“ სახელი კიდევ უფრო გაიზარდა ხარისხობრივად, (X ს-ის დასასრული XI ს-ის დასაწყისი), „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ ქართველი-ს და საქართველო-ს თანაბარი, მისი იდენტური გახდა. გარკვეული მიზეზების გამო, უცხოურ მწერლობაში „აფხაზეთი“ და „აფხაზი“[1] საკმაოდ დიდხანს დარჩა საქართველოს და ქართველის აღმნიშვნელ ტერმინებად, ხოლო ქართულში მალე დაიკავა „ქართველმა“ და „საქართველო“-მ „აფხაზი“-ს და „აფხაზეთი“-ს ადგილი. XI-XVII სს-ში „აფხაზეთის“ და „აფხაზი“-ს სახელი დავიწროვდა და საერისთავოს და მის მკვიდრ მოსახლეობას შერჩა მხოლოდ[2].

„აფხაზი“-ს და „აფხაზეთი“-ს სახელის გაფართოება-გავრცელებას საქართველოში ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე იმითაც ხსნიან, რომ „აფხაზ“-ს იმთავითვე არ გააჩნდა კონკრეტულად შემოსაზღვრული ეთნიკური ტერიტორია, ისე როგორც ეს ჰქონდა მაგ., ეგრ-მეგრელს[3]. ჩვენი აზრით, შესაძლოა ეს მართლაც ყოფილიყო ხელშემწყობი ფაქტორი, მაგრამ მხოლოდ VI ს-ის 50-იანი წლებიდან, როცა ეთნონიმმა „აფხაზ“-მა დაკარგა ტომობრიობის აღმნიშვნელი სახელის გამომხატველობა და იქცა პოლიტიკურ ტერმინად, რაც, როგორც აღინიშნა, იყო ბიზანტიის ხელისუფლების პოლიტიკური ნება.

---

[1] მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, გვ. 18.
ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 586-587.

[2] ო. კახაძე, აფხაზ/აფხაზა... ფუძის თაობაზე, კრებული საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, გვ. 562-563.

II. აფხაზ-აბაზგების წარმომავლობა-ვინაობა

1. წინამდებარე საკითხის ისტორიოგრაფია

(მოკლე მიმოხილვა)

სამეცნიერო ლიტერატურაში აფხაზთა ვინაობა-წარმომავლობის შესახებ გარკვეული დროის მანძილზე არაერთი განსხვავებული შეხედულება ჩამოყალიბდა. მეცნიერთა ერთი ნაწილი, ძირითადად აფხაზი მკვლევრები (ზ. ანჩაბაძე, დ. გულია, კ. შაკრილი, შ. ინალ-იფა, მ. გუნბა და სხვა) ფიქრობენ, რომ ახ. წ. პირველი საუკუნეების წყაროებში დასახელებული, ისტორიულ კოლხეთში მცხოვრები აბასკ||აბაზგები (აფხაზები) და აფსილ||აფშილები, აბაზურ-ადიღეური მოდგმის თანამოძმე ტომები, მათი საცხოვრისის ავტოქტონები და დღევანდელი აფხაზების (აფსუების) წინაპრები იყვნენ.

მეცნიერების მეორე ნაწილს (გ. მელიქიშვილი, მ. ინაძე, ნ. ლომოური, ედ. ხოშტარია-ბროსე, ოტ. კახაძე, ზ. პაპასკირი, გ. ხორავა და სხვებს) მიაჩნიათ, რომ აფხაზ-აბაზგები და აფშილ-აფსილები დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ძირითადად იმ დროიდან მოსახლეობენ, რა დროიდანაც გამოჩნდა (ახ. წ. I-II საუკუნეებიდან) მათი სახელები წერილობით წყაროებში, ისინი აბაზურ-ადიღეური ჩამომავლობის და დღევანდელი აფხაზების (აფსუების) წინაპარი ტომებია, რომელთა ნაწილობრივი ინტეგრაცია-ასიმილაცია მოხდა ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების ქართველობასთან.

მეცნიერთა ნაწილი (პ. ინგოროყვა, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ჩიტაია, თ. გამყრელიძე, დ. მუსხელიშვილი, დ. გოგოლაძე, გ. გასვიანი,

ზ. რატიანი, თ. მიბჩუანი, ჯ. გამახარია, გ. გოგია, გ. გაბუნია და სხვა) თვლის, რომ ახ. წ. I-II საუკუნეებიდან ისტორიულ კოლხეთში მცხოვრები აფხაზ-აბასკები და აფშილ (აფსილები) ისეთივე ქართველი ტომები იყვნენ, როგორიც ეგრები, მესხები, სვანები და სხვა, ისინი არ არიან დღევანდელი აფსუა-აფხაზების წინაპრები, რომლებიც საქართველოში ჩამოსახლებას მხოლოდ მე-16 ს-დან იწყებენ. მეცნიერთა ამ ჯგუფში, ისე როგორც სხვა ერთიანი კონცეფციის ავტორებს შორისაც შეიმჩნევა განსხვავებული დამოკიდებულებანი აღნიშნული საკითხისადმი. მაგ., თუ პ. ინგოროყვა ფიქრობდა აფხაზების მესხურ წარმომავლობას,[1] გ. ჩიტაია, თ. გამყრელიძე და სხვა აფხაზებს (აბაზგებს) კოლხურ,[2] ხოლო თ. მიბჩუანი სვანური ჩამომავლობისად მიიჩნევდა.[3] თუ დ. მუსხელიშვილის აზრით, აფშილ-აფსილები ერთ-ერთ დასავლურქართულ ტომად შეიძლება ჩაითვალოს,[4] თ. გამყრელიძის შეხედულებით აფშილები (აფსილები) თანამედროვე აფხაზთა თვითსახელ „აფსუა"-სთან შეიძლება დავაკავშიროთ და გავაიგივოთ[5] და სხვა.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი (ნ. ბერძენიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, თ. გვანცელაძე და სხვა) არ გამორიცხავს ახ. წ. პირველი საუკუნეების აფხაზების (აბასკ||აბაზგების) და აფსილ (აფშილების) აბაზურ-ადიღეურ წარმომავლობას, მაგრამ

---

[1] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 137-138.

გ. ჩიტაია, ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და კულტურულ-ისტორიული პრობლემები, შრომები, II, თბ., 2000, გვ. 119. თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან („აფხაზ", „აბაზგ" და „აბაზა", „აფსუა" ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ურთიერთობისათვის), კრებული, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, გვ. 582-583.

თ. მიბჩუანი, ჯვარცმული ერის ჯვარცმული ისტორია, აფხაზეთის მოამბე, I, 1998, გვ. 11-13.

დ. მუსხელიშვილი, აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, საისტორიო ჟურნალი „არტანუჯი", 10, თბ., 2000, გვ. 20.

[5] თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან („აფხაზ", „აბაზგ" და „აბაზა", „აფსუა" ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ურთიერთობისათვის), დასახ. კრებული, გვ. 582-583.

მათი აზრით: მოხდა ამ ტომების კულტურულ-ეთნიკური გაქართველება, ისინი გახდნენ ქართული სოციალურ-ეკონომიკური წესის, ქართული სულიერი და ყოფიერი კულტურის და განათლების, ხელოვნების, ენისა და ეკლესიის, ქართული სახელმწიფოებრიობის ისეთივე თანაზიარი წევრები, როგორებიც იყვნენ: ქართლელები, მეგრელები, სვანები და საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობა. ამიტომ, ისინი ვერ ხედავენ ძველ და ახალ (ნ. ბერძენიშვილის ტერმინია) აფხაზებს შორის გენეტიკურ კავშირს, ისინი ანსხვავებენ მათ ერთმანეთისაგან სწორედ იმ ნიშნებით, რაც ძველ აფხაზებს ჩამოუყალიბდათ, ადრე და განვითარებულ შუასაუკუნეების საქართველოში, და რა მახასიათებელი ნიშნებიც ჩამოყვათ „ახალ აფხაზებს" საქართველოში პირიქითა კავკასიიდან.[1]

არაერთი და საინტერესო მოსაზრებები გამოითქვა ეთნონიმ „აფხაზი"-ს (აბაზგის) და „აფშილი"-ს (აფსილის) შესახებ. მეცნიერების ნაწილი ფიქრობს, რომ აფხაზები და აფშილები უახლოესი მონათესავე ტომებია და მათი საერთო ქართული სახელი „აფხაზი" წარმოშობილია ბერძნული „აბაზგ" სახელისაგან. აფხაზების (აბაზგების) და აფშილების (აფსილების) კონსოლიდაციის შემდეგ-კი მათ გაერთიანებას „აბაზგია" („აფხაზეთი") ეწოდა, აფხაზთა პოლიტიკური სიძლიერის გამო, ხოლო კულტურულად უფრო მონინავე და განვითარებული „აფსილია" სახელი აფხაზების თვითსახელწოდებად „აფსუა"-დ იქცა.[2]

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII (მეორე გამოცემა), თბ., 1990, გვ. 607-615 და სხვაგან; მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990, გვ. 25, 34-35 და სხვა; თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები, ავტორეფერატი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1997, გვ. 40-43.

З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI-XVIII в.в.), Сухуми, 1959, გვ. 66, 69; მისივე, Очерк, этнической истории Абхазского народа, Сухуми, 1976, გვ. 36; З. В. Анчабадзе, Г. А. Дзидзария, А. Э. Куправа, История Абхазии, Сухуми, 1986, გვ. 28; Д. Гулия, История Абхазии, 1986, გვ. 68; Ш. Д. Инал-Ипа, Вопросы этно-культурной истории абхазов, Сухуми, 1976, გვ. 252 და სხვა.

თ. გამყრელიძემ უარყო ბერძნული „აბაზგი“-დან ქართული ეთნონიმ „აფხაზი“-ს წარმოშობა, მისი აზრით: „ქართულსა და აღმოსავლურ წყაროებში დადასტურებული „აფხაზ“||„აბხაზ“ ეთნონიმი პირველადი ფორმაა და თავდაპირველად დასავლურ-ქართული წარმომავლობის სატომო სახელწოდება უნდა ყოფილიყო... ბერძნულში მის ეკვივალენტად დადასტურებული Αβασγ-/აბაზგ ფორმა პირველადი „აფხაზ“ ფორმის ფონეტიკური გარდაქმნის შედეგს წარმოადგენს, ბერძნული ფონეტიკური ნორმებისდა შესაბამისად და არავითარ კავშირში არ არის ერთი შეხედვით მის მსგავს „აბაზა“ სახელთან, რომელიც თანამედროვე აფხაზ-აბაზების საერთო სახელწოდებას წარმოადგენს. თვით ეს უძველესი „აბაზა“ ფორმა დასაბამს აძლევს თანამედროვე აფხაზთა თვით სახელს „აფსუა“-ს.[1] „აფსილები“ და „აფსილთა“ (ქართ. „აფშილეთი“) შესაძლოა ჩვენ თანამედროვე აფხაზთა თვითსახელ „აფსუა“-ს დავუკავშიროთ და ისინი ისტორიულად გავაიგივოთ.[2] „აბაზგ“/„აფხაზი“-ის ქართველური წარმოშობა იმითაც უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ისინი ხდებიან ძველ კოლხეთში მოსახლე სხვა მრავალრიცხოვან ქართველურ ტომთა გამაერთიანებელნი საერთო სახელმწიფოდ. კოლხეთი, შემდეგ ლაზიკა, მერე „აბაზგია“, რომელიც აერთიანებს: სანიგეთს, მისიმიანებს, აფსილიას, შემდეგ VIII ს-ის დამლევს უფრო ფართოვდება და მთელ დასავლეთ საქართველოს... როცა უკვე აბაზგ-აფხაზი ქართველის პარალელური ხდება.[3]

ნ. მარისა და ს. ყაუხჩიშვილის შეხედულებით „აბაზხ“ ამოსავალია, როგორც ქართული აბხაზ-ფუძისათვის, ისე ბერძნული Αβασγ-ისათვის, ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „აბაზგები“-ს სახელწოდებას ბერძნები გადმოგვცემენ ფორმით – „აბაზგი“-ს, მრავლ. „აბაზგოი“. ის გარემოება, რომ „აბასგის“ პარალელური ფორ-

---

[1] თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან („აფხაზ“, „აბაზგ“ და „აბაზა“, „აფსუა“ ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ურთიერთობისათვის), დასახ. კრებული, გვ. 589.

[2] იქვე, გვ. 582.

[3] იქვე, გვ. 583-589.

მაა „აფხაზი", გვაფიქრებინებს, რომ „გ" ყოფილა „ხ"-ს მაგიერი: აბასგი-აბაზგი-აბაზხი-აბხაზი.[1]

ნ. მარი ამოდიოდა იქიდან, რომ „ხ" იაფეტურ ენებში ეთნიკური მრავლობითობის სუფიქსია, რომ ის წარმოდგენილია უცვლელი სახით ქართული აბხაზ-ფუძეშიც. ქართული ენისათვის დამახასიათებელი კანონზომიერების გამო აბაზ-ს ფორმისაგან მივიღეთ ქართული აბხაზი. მისი მტკიცებით აბას-ხ-ის ფონეტიკური ნაირსახეობაა ბერძნული აბასგოი, „გ" „ხ"-საგან მომდინარეობს. ნ. მარი შესაძლებლად თვლის აბაზ-ხ დაუკავშიროს არა მარტო ჩერქეზთა ერთ-ერთ ტომის სახელ „აბაძე"-ხს, არამედ პირიქითა აფხაზური ტომის სახელწოდება ა-ბაზ-ა-საც.[2]

ოტ. კახაძის აზრით, ქართველებს ეთნონიმი აბხაზი|←აბხაზა(←აბზახა←აბაზახა) ადიღეელთაგან (ჩერქეზთაგან) უსესხიათ, რასაც ხ ელემენტი მოწმობს, და მის მნიშვნელობაში იმთავითვე იგულისხმებოდა ადიღეელები, კერძოდ აბაძეხები, და შესაძლებელია, მათი მეზობელი აბაზა ტომიც, ხოლო ბერძნებს Αβασγ-κ – სწორედ ამ აბაზთაგან (და არა აფსართაგან) უნდა შეეთვისებინათ, რასაც, გარდა K(→ქ) ელემენტისა, ფუძე-ძირი Αβασ- (←აბაზ) მოწმობს, და მისი მნიშვნელობა, უნდა ვიფიქროთ, იმთავითვე გულისხმობდა არა მარტო აფხაზურ ტომს, კერძოდ, აბაზა-ს, არამედ მათ უშუალო მეზობელ და ახლო მონათესავე ადიღე ტომს, სახელდობრ აბაძეხებსაც.[3]

ეს მოსაზრება შემდეგში კიდევ უფრო დაზუსტდა: ... „აბაზახა შეიძლება ითარგმნოს როგორც „ქვემოური აბაზა", „აბაზას ქვემოთ", მდინარის ქვემო წელში მცხოვრები აბაზა", ანდა „დასავლელი აბაზა". ეს იმას ნიშნავს, რომ აბაზახა სახელის ჩერქეზულიდან ჯერ მეგრულში (აფხაზა), შემდგომ კი ქართულში (აფხაზი) დამკვიდრების დრომდეც არსებობდა ორი შტო – ზემოური (მთაში, მდინარის ზემო წელში, ანდა აღმოსავლეთით მცხოვრები)

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, „გიორგი მერჩულეს" გარშემო, ნერილი მეორე, „მნათობი", 1957, თებერვალი, №2, გვ. 122-124.

Н. Марр, История термина «Абхаза». ИИАН, №11, 1912, გვ. 557.

ოტ. კახაძე, აფხაზ-|აფხაზა... ფუძის თაობაზე, კრებული, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, დასახ. გამოცემა, გვ. 562.

აბაზა და ქვემოური (ბარში, მდინარის ქვემო წელში, ანდა დასავლეთით მცხოვრები) აბაზა, იგივე აბაზახა, ანუ აფსუა.[1] მიაჩნიათ, აგრეთვე რომ აფს´გ´უა ფუძე შეიძლება იყოს საფუძველი ეთნონიმებისათვის, „აფხაზი“ და „აფშილი“.[2]

ფიქრობენ, რომ ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობის ფორმულებისა და სვანურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების გათვალისწინებით, შესაძლებელია ძველ ბერძნულ წყაროებში დადასტურებული აბასკ||აბაზგ ფორმა ამოსავალი იყოს, აფხაზთა აღმნიშვნელი აბას||აბაზ ფუძე-ძირის, ან ქართული აფშილ ფორმა სვანურ შესატყვისად მივიჩნიოთ.[3] „აფშილი“, დ. მუსხელიშვილის აზრით, ქართველური ტომია, და ამდენად ეთნონიმიც „აფშილ“ შედგენილი ტერმინი არ არის, არამედ მთლიანი ფუძეა და არაფერი საერთო აქვს „აფსუასთან“.[4] პ. ინგოროყვას აზრით, აფხაზთა ტომის სახელი იგივე „მესხი“ იყო, ძვ. წ. I საუკუნემდე. ახალი წელთაღრიცხვის აფხაზებსაც მხოლოდ ეს სახელი „მოსხი“ ეწოდებოდა, რაც შეეხება ტერმინებს აბასხი, აფხაზი, ეს დიალექტური სახესხვაობაა იმავე ძველი სატომო სახელწოდებისა „მოსხი“.[5] ტერმინი აბაზგი-აფხაზი სვანური წარმომავლობისად მიაჩნია თ. მიბჩუანს.[6]

---

[1] თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები, დასახ. ავტორეფერატი, გვ. 24.

თ. გვანცელაძე, კვლავ ეთნონიმ „აფხაზისა და მასთან დაკავშირებულ ფუძეთა შესახებ, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი... დასახ. კრებული, გვ. 576, შეად. ტ. ფუტკარაძე, ქართველები, 2005, გვ. 132-134.

ეკ. ოსაძე, აბასკ||აბასგ ეთნონიმის წარმომავლობისათვის, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი... დასახ. კრებული, გვ. 569.

დ. მუსხელიშვილი, აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, ჟურნალი „არტანუჯი“, №10, დასახ. გამოცემა, გვ. 19-23; შეად. ქ. ლომთათიძე, ეთნონიმების აფშილ||აფშილისა და აფსარის შესახებ, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 50-ე სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1992.

პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, დასახ. გამოცემა, გვ. 137-138.

თ. მიბჩუანი, ჯვარცმული ერის ჯვარცმული ისტორია, აფხაზეთის მოამბე, №1, 1988, გვ. 11.

სომხურ,[1] ბიზანტიურ[2] და აღმოსავლურ წყაროებში[3] აღნიშნული „აფხაზი“ („აბაზგი“) და „აფხაზეთი“ („აბაზგია“) სახელი უფრო მეტად XI ს-ში და შემდეგაც, ქართველისა და საქართველოს იდენტურია. ფიქრობენ, აგრეთვე, რომ ტერმინი „ობეზ“ „ეტიმოლოგიურად უკავშირდება „აბაზგ“, „აფხაზ“ სახელწოდებას, სავსებით შესაძლებელია, რომ იგი „აბაზა“-საგან ან „აბაზინი“-საგან წარმოიშვა, მაგრამ შინაარსობრივად საქართველოსა და ქართველებს ნიშნავს“.[4]

ძირითადად, ასეთი მოსაზრებები ჩამოყალიბდა ეთნონიმების: „აფხაზ“ („აბასკ“||„აბაზგის“), „აფსილ“ („აფშილი“-ს) და სახელ „აფხაზეთი“-ს შესახებ. ცხადია, ამ საკითხების საბოლოო გადაჭრა დიდად შეუწყობდა ხელს აფხაზთა ვინაობის გარკვევას, მაგრამ, მიუხედავად ჩატარებული ღრმა კვლევა-ძიებისა ეს ვერ მოხერხდა და აღნიშნული მოსაზრებანი, წყაროების სიმწირის გამო, კვლავ ვარაუდის დონეზე დარჩა.[5]

მეცნიერებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ დღევანდელი აფხაზები (აფსუები), ძველი (ახ. წ. I-II სს-ის) აფხაზების (აბასკ||აბაზგების) და აფსილ (აფშილების) პირდაპირი შთამომავ-

---

[1] ელ. ცაგარეიშვილი, „ქართველისა“ და „საქართველოს“ აღმნიშვნელი ტერმინები სომხურ წერილობით წყაროებში, კრებული საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი... დასახ. გამოცემა, გვ. 172-173.

[2] ნ. ლომოური, საქართველოს სახელწოდებანი ბიზანტიურ წყაროებში, კრებული, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი... დასახ. გამოცემა, გვ. 81-83.

გ. ჯაფარიძე, ქართველების და საქართველოს არაბული სახელწოდებები, დასახ. კრებული, საქართველოსა... გვ. 172; კ. ტაბატაძე, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XV სს-ის სპარსული წყაროების მიხედვით, დასახ. კრებული, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი... გვ. 213, 220, 222; დ. კობიძე, ტერმინი „აბხაზი“-ს მნიშვნელობა სპარსული წყაროების მიხედვით, ჟურნალი „მნათობი“, №2, 1957, გვ. 125-128.

Г. Г. Паичадзе, Название Грузии в русских письменных исторических источниках, Тб., 1989, გვ. 11-60.

თ. გვანცელაძე, ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის, ჟურნალი „არტანუჯი“, №10, თბ., 2000, გვ. 54-55.

ლები, დღევანდელი მათი საცხოვრისის ავტოქტონები და აბაზურ-ადიღეური ტომების უახლოესი ნათესავები არიან, – საკმაო საბუთიანობა გააჩნიათ. სხვა არგუმენტებს შორის, მთავარს მაინც, პირიქითა კავკასიის ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები: აბაზ-აფსუების და აბაძეხების, პირაქეთა ძველი აფხაზების (აბასკ||აბაზგების) და აფსილ (აფშილების) სახელთა ურთიერთმსგავსება და დღევანდელი აფხაზების (აფსუების) პირიქითა აბაზ-ადიღეელებთან რეალური უახლოესი ნათესაობა წარმოადგენს. თუმცა, დასახელებული მეცნიერები (ზ. ანჩაბაძე, მ. ივაშჩენკო, შ. ინალ-იფა და სხვა) თუ ამ არგუმენტებს წარმატებით იყენებენ თავიანთი კონცეფციის განსამტკიცებლად, სამაგიეროდ სრულიად დაუსაბუთებლად უარყოფენ „სანი“-ს („ჭანი“-ს, „ზანი“-ს) და „სანი-გის“ ერთი ძირიდან წარმომავლობას და სანიგებს საძებად აცხადებენ.[1] მიუხედავად იმისა, რომ წყაროების პირდაპირი ჩვენებით სანიგები იგივე სანებია,[2] ხოლო VI ს-ის[3] ბიზანტიელი მწერალი სტეფანე ბიზანტიელი (რომელიც პირველი წყარო უნდა იყოს საძების სახელს რომ ახსენებს) სანიგებს და საძებს (ჯიქებს) აბსოლუტურად განსხვავებულ, სანაპიროზე ცალ-ცალკე მოსახლე და ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულ

---

[1] В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI-XVIII в.в.) გვ. 16; მისივე, История и культура древней Абхазии, М., 1964, გვ. 173-175; М. Иващенко, Великая Абхазская стена, Изв. Абно, 1926, вып. IV, გვ. 84; Ш. Д. Инал-ипа, Вопросы этно-культурной истории Абхазов, გვ. 260-278; მ. გუნბა, დასავლეთ საქართველო და ბიზანტია VI-VIII სს-ში, სოხუმი, 1962, გვ. 47-48.

იპოლიტე რომაელი, ევსევი კესარიელი, გეორგიკა, I, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 20, 31-32; Chronicon Paschale, გეორგიკა, IV, ნაკვ. I, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ და განმარტებები ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1941, გვ. 10.

სტეფანე ბიზანტიელი, გეორგიკა, III, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანით და განმარტებებით ს. ყაუხჩიშვილისა, ტფ., 1936, გვ. 273.

ტომებად ასახელებს.[1] როგორც არაერთხელ ვუთითებდით, XIII ს-ის ქართველი ისტორიკოსი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი) XII ს-ის 80-იანი წლებისათვისაც-კი, სანიგებს თვითმყოფად და საძ-ჯიქებისაგან სრულიად განცალკევებულ ტომად მიიჩნევს.[2] გარდა აღნიშნულისა, სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ სანდოდ აღიარებულ ახ. წ. II საუკუნის რომაელი მოღვაწის ფლავიუს არიანეს თხზულება და მისი V ს-ის ანონიმი კომენტატორი, სანიგების ეთნო-პოლიტიკურ ერთეულს, თავისი საკუთარი ხელისუფლებითა და თავის საკუთარ საზღვრებში (სებასტოპოლ-ცხუმიდან მდ. აქეუნტა-შახემდე) ასახელებს და მკვეთრად მიჯნავს საძ-ჯიქებისაგან.[3]

მყარი მტკიცებულებები გააჩნიათ მეცნიერებს, რომლებიც ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების აფხაზ-აფშილებს ქართული წარმომავლობისად ან გაქართველებულ ხალხად მიიჩნევს. თავიანთი შეხედულებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ისინი უარყოფენ ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების აფხაზების გენეტიკურ კავშირს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ძირითადად XVII-XVIII სს-ში ჩამოსახლებულ აბაზურ-ადიღეურ ტომებთან (ჯიქებთან, უბიხებთან, აბაძეხებთან, აბაზ-აფსუებთან და სხვა), რომელთაც „აფხაზეთ“-ის სახელით ცნობილ ისტორიულ ტერიტორიაზე დასახლების გამო ეწოდათ აფხაზები. როგორც ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებში ასევე გვიან შუასაუკუნეებშიც „აფხაზი“, აფხაზეთის მკვიდრს ეწოდა. სწორედ აფხაზეთის მხარის მკვიდრ მოსახლეს ნიშნავს „აფხაზი“, ყველა ენაზე, გარდა დღევანდელი აფხაზურისა, რომელიც თავის

---

[1] სტეფანე ბიზანტიელი, გეორგიკა, III, დასახ. გამოცემა, გვ. 283-284. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 49.

ფლავიუს არიანე, ქართული თარგმანი, რუკა და კომენტარი, ნ. კეჭაყმაძისა, თბ., 1961, გვ. 41-43; V ს-ის ანონიმი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარებით ს. ყაუხჩიშვილის, თბ., 1965, გვ. 8-9.

თავს „აფსუა“-ს უწოდებს.[1] ბუნებრივი ჩანს, როცა პირიქითა კავკასიიდან ჩამოსახლებულ ტომებს, რომელთაც საკუთარი მახასიათებელი ნიშნები, სახელი და სამოსახლო ჰქონდათ იქ, – აფხაზეთში ერთად დასახლება-დამკვიდრების შემდეგ, ადგილობრივ მოსახლე „აფხაზ“ ქართველებთან ერთად, „აფხაზები“ უწოდეს ქართველებმა და სხვებმაც. ყველას თავ-თავის სახელით ხომ არ მოიხსენიებდნენ? – მით უფრო მაშინ, როცა ისინი ერთი მოდგმისანი და ახლო მონათესავე ტომები იყვნენ, შესაძლოა მკვეთრად ვერც არჩევდნენ ერთმანეთისაგან. მაგ., აფსუები და აბაზები ერთი ენის სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე ტომებია[2] და შესაძლოა ამიტომ თურქული წყაროები აფსუა-აფხაზებსაც აბაზინებს ეძახდნენ და სხვა...

როგორც ითქვა, ქართველი მეცნიერების გარკვეული ნაწილის აზრით, ადრე საუკუნეების (VIII-XVI) აფხაზები იყვნენ ქართველები, ან ეთნო-კულტურულად ქართველები „... როგორც ფეოდალური ქვეყანა, აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი“.[3] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერების მეორე ნაწილს, აფხაზი არა მარტო ეთნო-კულტურულად მიაჩნია ქართველად, და აფხაზეთი არა მარტო ფეოდალური საქართველოს შემადგენლობაში მყოფ ქართულ ფეოდალურ ქვეყნად, არამედ მათი წარმოდგენით აფხაზი ისეთივე ქართველია წარმომავლობით, როგორც მეგრელი და ქართლელი, და აფხაზეთი ისეთივე ქართული მხარეა, როგორიც ეგრისი და ქართლი და სხვა.

თ. გამყრელიძის აზრით: „აბაზგ“||„აფხაზთა“ ქართველური წარმომავლობა იმის მიხედვითაც უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ისინი ხდებიან ძველ კოლხეთში მობინადრე სხვა მრა-

---

[1] თ. გვანცელაძე, კვლავ ეთნონიმ „აფხაზი“-სა და მასთან დაკავშირებულ ფუძეთა შესახებ, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი..., დასახ. კრებული, გვ. 571.

ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, თბ., 1976, გვ. 7.

ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, მეორე. გამოცემა, გვ. 608.

ვალრიცხოვან ქართველურ ტომთა გამაერთიანებელნი საერთო დასავლურ ქართულ სახელმწიფოდ".[1] კოლხეთის მემკვიდრედ ბერძნული საისტორიო წყაროები ლაზიკეს (ეგრისს) მიიჩნევენ, ხოლო შემდეგ „აბაზგია"-ს, რომელიც აერთიანებს: სანიგეთს, მისიმიანეთს, აფსილიას, VIII ს-ის დამლევს კი უფრო ფართოვდება მისი არეალი და მთელ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდება მისი სახელი, ითვისებს რა ეგრისის სამეფოს მემკვიდრეობას.[2]

შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ „აბაზგ"|„აფხაზები" იხსენიებიან ანტიკურ წყაროებში, როგორც წესი, სწორედ ამ ქართველური ტომების აღმნიშვნელ ეთნონიმთა კონტექსტში, ე. ი. ძველ კოლხეთში მობინადრე ისეთი ტომების გვერდით, როგორიცაა ლაზები, სანები, სანიგები, მაკრონები, და სხვა.[3]

მართლაც, ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების ქართული წერილობითი წყაროები, ვერ ანსხვავებენ „აფხაზ"|„აბაზგებს" დანარჩენი ქართველური ტომებისაგან. უფრო ხშირად, „აფხაზი" ისეთივე ქართველი ტომი იყო მათთვის, როგორც კახელი, მეგრელი, სვანი და სხვა, ხოლო „აფხაზეთი" ისეთივე ქართული მხარე, როგორც კახეთი, ეგრისი, სვანეთი და სხვა. მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში (XVII-XVIII სს-ში), როცა შესამჩნევი გახდა განსხვავებულობა „აფხაზებსა" და ქართველებს შორის, ეს ვითარება ადეკვატურად აისახა კიდეც, არა მარტო ქართულ, არამედ უცხოენოვან წყაროებშიც. ქართულმა წყაროებმა ამის გამომწვევი მიზეზებიც კარგად ახსნა, მაგ., ვახუშტი ბაგრატიონმა.

„აფხაზი" რომ უცხო, არაქართული წარმომაელობის ტომად მიეჩნია მაშინდელ ქართულ საზოგადოებას და მისი მენტალიტეტის გამომხატველ ქართულ წყაროებს, და „აფხაზეთი" არაქართულ მხარედ, მაშინ, ცხადია, ქართული წყაროები როგორმე გამოხატავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი. მოსალოდნელია ვერ შეგუებოდნენ „აფხაზეთი"-ს სახელის ჯერ მდ. კლისურა (კელასურის) დასავლეთით ჯიქებამდე გაბატონე-

---

[1] თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან... დასახელებული კრებული, გვ. 588-589.

[2] იქვე, გვ. 588.

[3] იქვე.

ბას, ხოლო შემდეგ (VIII ს-ის ბოლოდან) მთელ დასავლეთ საქართველოზე მისი სახელის გავრცელებას „ეგრისი"-ს ნაცვლად. თუ პროტესტის ფორმით არა, ჩვეულებრივად მაინც აღნიშნავდნენ ამას, ისე, როგორც ეს გააკეთა „მატიანე ქართლისას" ავტორმა, როცა არამართლზომიერ ქმედებად ჩათვალა აფხაზთა მთავრის ლეონ II-ის გამეფება დასავლეთ საქართველოში „... დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებული იყო იოვანე და დაბერებული იყო ჯუანშერ და შემდგომად ამისსა ჯუანშერიცა მიიცვალა".[1] რომ ასეთი ვითარება არა (გარდაცვლილი რომ არ ყოფილიყვნენ მეფე არჩილის ძეები), „მატიანე ქართლისას" აზრით, „კეისრის ერისთავის" („აფხაზთა ერისთავი") ლეონ I-ის მემკვიდრე ლეონ II-ს ვერ უნდა დაეჭირა დასავლეთ საქართველოს სამეფოს ტახტი, რადგან ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართლის სამეფო სახლის, – ამ შემთხვევაში არჩილ II-ის ძეების იოანეს და ჯუანშერის პრეროგატივა. მიუხედავად იმისა, რომ ჯუანშერის მონაცემებით, ლეონ I ქართლის სამეფო სახლის სიძე იყო, მას ხომ ქართლის მეფე არჩილ II-ის ძმისწული, მირის ასული ყავდა ცოლად და ამავე დროს, არჩილისაგან მიღებული ჰქონდა ბიზანტიის კეისრისაგან მირისათვის გამოგზავნილი სამეფო გვირგვინი,[2] – ალბათ ეგრისში გასახელისუფლებლად, რომელსაც, ბუნებრივია, თავის უშუალო მემკვიდრე ლეონ II-ს გადასცემდა. მაგრამ, როგორც ითქვა, ისინი მაინც ბიზანტიის ხელისუფლებისაგან დანიშნული არქონტები იყვნენ („კეისრის ერისთავები"), და არა ქართული სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლები.

ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, ტერმინი „აფხაზი" რომ არაქართულშინაარსიანი ყოფილიყო, საუკუნეების განმავლობაში მის პრესტიჟულობას მთელ საქართველოში, როგორი განწყობილებით შეხვდებოდა ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების ქართული საზოგადოება და მისი ხასიათის გამომხატველი ქარ-

---

[1] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა. ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 242-251.

ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 242-243.

თული მწერლობა. აღნიშნული ეპოქის ქართული მწერლობისათვის-კი, როგორც არაერთხელ ითქვა, „აფხაზეთი" და „აფხაზი" ისეთივე „საქართველო" და ისეთივე „ქართველი" იყო, როგორც დანარჩენი „საქართველოები" და „ქართველი". წყაროები ხშირად „აფხაზეთს" და „ეგრისს" („სამეგრელოს") ერთი და იგივე შინაარსის და ერთმანეთის შემცვლელ ტერმინებად იყენებენ. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს დანიელ მესვეტის ცხოვრების X ს-ის ქართულ მეტაფრასში დაცული ცნობები, რომლებიც V ს-ის მეორე ნახევრის რეალიებს შეეხება, კერძოდ, ეგრისის მეფე გუბაზ I-ის ურთიერთობას ასახავს ბიზანტიის კეისარ ლეონ I-თან და ბიზანტიელ საეკლესიო მოღვაწე დანიელ მესვეტესთან. მეტაფრასის ავტორისათვის „ეგრისი" და „აფხაზეთი" ერთმანეთის შესატყვისი და ერთნაირად მისაღები ტერმინებია დასავლეთ საქართველოს სახელის აღსანიშნავად, რაც მთავარია ორივე ქართულშინაარსოვანია. მას არ ეუხერხულება, რომ თავისი დროის ტერმინი (X ს.) „აფხაზეთი" გამოიყენოს დასავლეთ საქართველოს აღსანიშნავად, V ს-ის მეორე ნახევარში მიმდინარე პროცესების გადმოცემისას, თუმცა მისთვის ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველო „ეგრისად" („მეგრელთა"-ად) იწოდება მაშინ. ის წერს: „მათ დღეთა შინა მოვიდა ღობაზიანოს. მეფე აფხაზთაჲ ხილვად ნეტარისა ლეონ მეფისა ბერძენთაჲსა... ხოლო აქუნდა ორთავე მათ მეფეთა საურავი რაჲმე ქუეყანათა დაწყნარებისათჳს და ზღვართა განყოფისაჲ: სადამდის არს საბერძნეთისაჲ ანუ მეგრელთაჲ. აფხაზეთის სამეფოისაჲ: და უთხრეს წმიდასა და მონასა ღმრთისასა დანიელს, და იგი იქმნა შუამდგომელ მათდა... შემდგომად უკვე მცირედისა იქმნა მეფისა მეგრელთაჲსა თჳთმპყრობელისა მიმართ ბერძენთაჲ[სა] მოწევნაჲ დაზავებათა რათჳსმე... ხოლო სახიდ რაჲ თჳსად მიიქცა კ˜დ ღუვაზიოსი-მეფე მეგრელთაჲ. ჴელის-ქუეშეთა მიუთხრობდა საკვრველებასა მას".[1]

VIII ს-ის ქართველი მწერალი იოვანე საბანისძის მონაცემებით, დასავლეთ საქართველო დაწყებული ნიკოფსიიდან ტრაპეზუნტამდე, შავი ზღვიდან ლიხის ქედამდე, VIII ს-ის 80-იანი წლების

[1] კ. კეკელიძე, Житие Даниила Столпника, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, 1961, გვ. 5-6.

დასაწყისიდან „აფხაზეთ"-ად იწოდება. მართალია, დასავლეთ საქართველო მაშინ, იონთა (ბიზანტიის) მეფის საბრძანებელია, მაგრამ ის ქართული სამყაროა და საიმედო თავშესაფარია არაბებისაგან შევიწროებული მოძმე აღმოსავლელი ქართველებისათვის. ამ დროისათვის იქ გადასული აბო ტფილელი ღმერთს მადლობას წირავდა „რამეთუ იხილა მან ქუეყანაჲ იგი სავსეჲ ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღვართა მათთა".[1] ასევე, XI ს-ის ქართველი მოღვაწე გიორგი მთაწმიდელისათვის „აფხაზეთი" (დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია იგულისხმება უფრო ფართო მოცულობით) ისეთივე ქართული მხარეა, როგორც საქართველოს დანარჩენი მხარეები. მას, როცა დასჭირდა ანტიოქიის პატრიარქის წინაშე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების დაცვა, – აღნიშნა: „... და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი – სიმონს ვიტყვი კანანელსა – ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების".[2] ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ მეზობელი სომეხი X ს-ის ისტორიკოსი, იოანე დრასხანაკერტელი თავის დროისათვის დასავლურ-ქართულ სახელმწიფოს („აფხაზთა სამეფოს") „ეგრისს" უწოდებს, ხოლო იქაურ მოსახლეობას „ეგრისელებს", ე. ი. ტერმინები: „ეგრისი" და „აფხაზეთი" მისთვის იდენტური და ქართული შინაარსის მქონე ტერმინებია.[3]

როგორც მართებულად არის აღნიშნული, „აფხაზეთი"და „აფხაზი", რომ ქართული შინაარსის მქონე ტერმინებად არ ჰქონოდათ მიჩნეული ქართველ მეფეებს, ისინი ვერ შეეგუებოდნენ თავიანთ სამეფო ტიტულატურაში „აფხაზთა" სახელის პირველ ადგილზე მოხსენიებას და შეეცდებოდნენ ცვლილებები შეეტანათ სამეფო ტიტულატურაში. საქართველოს მეფეთა ტიტუ-

---

[1] იოვანე საბანისძე, ჰაბოს ნამება, ქართული მწერლობა, ტ. I, თბ., 1987, გვ. 454.

გიორგი მცირე, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, ქართული პროზა, II, თბ., 1982, გვ. 465.

იოვანე დრასხანაკერტცი, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარებით ე. ცაგარეიშვილის, თბ., 1965, გვ. 64, 109, 111, 119, 257 და სხვა.

ლატურაში მკვიდრად იყო ბიზანტიის უმაღლესი საკარისკაცო ტიტულები: კურაპალატი, კესაროსი და სხვა, მაგრამ დავით IV აღმაშენებელს (1089-1125), რომელსაც ჯერ კიდევ უფლისწულობაში ჰქონდა მინიჭებული „სევასტოსისა“ და „პანიპერსევასტოსის“ ტიტულები, საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ გაჭირვებია, ბიზანტიის იმპერიის საპირისპიროდ, უარი ეთქვა ბიზანტიურ უმაღლეს საკარისკაცო ტიტულზე, თუმცა ამ ტიტულებს მისი წინაპარი საქართველოს მეფეები საგანგებოდ ეძიებდნენ ბიზანტიაში და სიამაყითაც ატარებდნენ. მაგრამ, არასდროს დამდგარა „მეფე აფხაზთა“-ს ქართულ სამეფო ტიტულატურაში პირველი ადგილიდან მოხსნისა, რადგან „მეფე აფხაზთა“ დასავლეთ საქართველოს მეფობას ნიშნავდა.[1]

ანდა, XVI ს-ის შუახანებიდან, როცა აფხაზეთში თურქებისა და ჯიქების მოსალოდნელი ექსპანსიის საშიშროების გამო, „აფხაზთა“ საკათალიკოსო ცენტრი ბიჭვინთიდან გელათში იქნა გადატანილი[2] და იქ დარჩა აფხაზეთში გართულებული მდგომარეობის გამო, ხელს რა შეუშლიდა მაშინდელი იმერეთის საეკლესიო და საერო საზოგადოებას და მის ხელისუფლებას, თუკი „აფხაზეთი“ ქართული შინაარსის მქონე ტერმინი არ იყო, შეეცვალათ „იმერეთი“-ს სახელით, განა მთელ დასავლეთ საქართველოს მაშინ და უფრო ადრიდანაც იმერეთი არ ეწოდებოდა?! განა თვით აფხაზეთი იმერეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი არ იყო? ხოლო აფხაზეთის საკათალიკოსო ინსტიტუტი ყოველმხრივ ქართული არ იყო? – დაწყებული საეკლესიო ქართული ენით, დამთავრებული უკლებლივ, – ყველა აფხაზთა კათალიკოსის ქართველობით (ისინი ხომ ქართველთა წარჩინებული გვარებიდან

---

[1] მ. ლორთქიფანიძე, საქართველო XI ს-ის ბოლოსა და XII ს-ის პირველ მეოთხედში. დავით აღმაშენებელი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 254; მისივე, აფხაზები და აფხაზეთი, გვ. 28.
ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1966, გვ. 180; მისივე, აფხაზთა საკათალიკოსო, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II, თბ., 1977, გვ. 31; შეად. З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, დასახ. გამოცემა, გვ. 278.

ირჩეოდნენ ძირითადად?![1]), მაგრამ არ დამდგარა ამის საჭიროება, რადგანაც მაშინაც „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ ჯერ კიდევ ქართული შინაარსის მქონე სახელები იყო...

მრავალი ასეთი ფაქტის და მაგალითის მოხმობა შეიძლება, მაგრამ ამ არგუმენტების ნაწილი და სხვა არაერთი ასეთი სახის ფაქტი განხილული და სათანადოდ შეფასებულია ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელზედაც ნაწილობრივ ზემოთაც იყო საუბარი.

2. „აფხაზთა სამეფოს“ წარმოქმნა

მეცნიერების უმრავლესობა, ვინც კი აღნიშნულ საკითხს შეხებია, მყარ არგუმენტებზე დაფუძნებით ფიქრობს, რომ VIII ს-ის ბოლოს (70-იანი წლებიდან მაინც) „აფხაზეთის“ სახელით შექმნილი მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფო იყო ქართული (ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა, ზ. ანჩაბაძე, ნ. ბერძენიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, ნ. ლომოური, თ. გამყრელიძე, თ. გვანცელაძე, გ. გასვიანი, ზ. რატიანი, დ. გოგოლაძე, ედ. ხოშტარია-ბროსე, ზ. პაპასქირი, თ. მიბჩუანი, მ. ხორავა, ჯ. გამახარია, გ. გოგია და სხვა). „აფხაზთა“ სახელმწიფო ქართული იყო, არა მარტო იმიტომ, რომ ეთნიკური შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი იყო, რაც ძირითადი საფუძველი უნდა ყოფილიყო მტკიცე სახელმწიფოებრივი გაერთიანებისათვის, არამედ ეს სახელმწიფო იყო ქართული: სულიერი და ყოფიერი ქართული კულტურით, საეკლესიო, სახელმწიფო, ტომთა შორის საურთიერთო ქართული ენითა და ქართული დამწერლობით; ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობით, კონსტანტინოპოლიდან გამოყოფილი

[1] Tamar Koridze, Die Titulatur der Katholikos Abchasiens, Jur. Georgica, №28, Aachen, 2005, გვ. 45-60.

ქართული ეკლესიით[1] და ეროვნული მენტალიტეტით, შემდგომ კი დასავლურ-ქართული ეკლესიის აღმოსავლურ-ქართულ ეკლესი-

---

[1] მეცნიერები დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან გამოყოფას სხვადასხვა დროით ათარიღებენ:

ივ. ჯავახიშვილი დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას VIII-IX სს-ით ათარიღებდა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თხზულებანი 12 ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 122); პ. ინგოროყვა – IX ს-ის პირველი ნახევრით, – პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, დასახ. გამოცემა, გვ. 244; ბ. დიასამიძე – IX ს-ის 40-იანი წლებიდან, – ბ. დიასამიძე, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X საუკუნეები, ბათუმი, 2001, გვ. 219); ნ. ბერძენიშვილი – IX ს-ის მეორე ნახევრით, – ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1960, გვ. 95; მ. ლორთქიფანიძის აზრით, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოყოფა მიმდინარეობდა IX ს-ის განმავლობაში და სრულდება X ს-ის დასაწყისით, – მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 124-127; მისივე, Возникновение новых феодальных государств, – Очерки истории Грузии, т. II, Тб., 1988, გვ. 289; მისივე, Абхазское царство, – Разыскания по истории Абхазии/Грузия, Тб., 1999, გვ. 169; X ს-ის დასაწყისით ათარიღებენ: ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და კომენტარები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, გვ. 193-201; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 146; მიტროპოლიტი ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ისტორია, ტ. II, თბ., 1998, გვ. 96; ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991, გვ. 178.

X ს-ის მეორე ნახევრით: კ. კეკელიძე, იხ. მისი კანონიკური წყობილება, ძველ საქართველოში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957, გვ. 354-357; IX ს-ის 80-90-იანი წლებით: ბ. კუდავა, ზ. პაპასქირი, თ. ქორიძე, – იხ. ბ. კუდავა, აფხაზთა საკათალიკოსოს ისტორიიდან (IX-XIII სს.), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 9, თბ., 2002, გვ. 574; მისივე, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები (IX ს.), ისტორიანი, სამეცნიერო კრებული, მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 60 წლისთავისადმი, თბ., 2000, გვ. 473; ზ. პაპასქირი, „აფხაზთა" საკათალიკოსოს დაწესების ქრონოლოგიისათვის, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი, თბ., 2005, გვ. 208-210; თ. ქორიძე, აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია (IX-XVI სს.) – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2003.

ასთან გაერთიანება-შერწყმით, მცხეთის საპატრიარქოს მეთაურობით (X ს-ის მეორე ნახევრიდან),[1] რაც წინ უსწრებდა მათ პოლიტიკურ გაერთიანებას.

მეცნიერების გარკვეული ნაწილის (კ. კუდრიავცევი, ა. ფადაევი, ი. ვორონოვი, ო. ბღაჟბა, ს. ლაკობა, შ. ინალ-იფა, მ. გუნბა და სხვა),[2] რადგან დასავლეთ საქართველოს ამ გაერთიანებულ სახელმწიფოს (VIII-X სს-ში) ეწოდებოდა „აფხაზეთი", ეს სახელმწიფო ეთნო-პოლიტიკურად იყო „აფხაზური" (აფსუური). „აფხაზეთი", მათი აზრით, იპყრობდა ქართველთა მიწა-წყალს და უერთებდა თავის სახელმწიფოს, ვიდრე ქართველებმა ბაგრატიონთა მეთაურობით არ დაიპყრეს იგი, არ მიუერთეს დანარჩენ საქართველოს და არ მიისაკუთრეს „აფხაზთა მეფის" სახელიც.[3]

წერილობითი წყაროებიდან, მხოლოდ ძველი ქართული მწერლობა (იოანე საბანისძე, ჯუანშერი, „მატიანე ქართლისა" და სხვა) გვაწვდის გარკვეული სახის ინფორმაციას „აფხაზეთის" და „ეგრისის" პოლიტიკურ გაერთიანებაზე, მათ-კი გადაკვრითაც არაფერი აქვთ ნათქვამი „აფხაზეთი"-ს მიერ ეგრისის, ან რომელიმე ქართული მხარის დაპყრობაზე. თუ „მატიანე ქართლის" ავტორს, როცა ის ეგრის-აფხაზეთის ბიზანტიის ბატონობისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებაზე საუბრობს, გამოყენებული აქვს სიტყვა „დაიპყრა", ან „იპყრა" (ერთი და იმავე შინაარსის შემცველი სიტყვებია), ის სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით აქვს გამოყენებული და არა იმ აზრით, რომ თითქოს „აფხაზეთმა" დაიპყრო ეგრისი. მითითებული წყაროს ცნობა ასეთი სახითაა დაცული: „... რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერი-

---

[1] თ. ქორიძე, საქართველოს ეკლესიური გაერთიანების ისტორიიდან (X ს.), კრებული, მარიამ ლორთქიფანიძე, 85, თბ., 2007, გვ. 188.

Кудрявцев К. Сборник материалов по истории Абхазии, Сухуми, 1926, გვ. 120-121; Фадаев А. Краткий очерк истории Абхазии, т. I, Сухуми, 1934, გვ. 84-86; Воронов Ю. Абхазы – кто они, Гагра, 1993, გვ. 23; Бгажба О. Х., Лакоба С. З. История Абхазии (10-11 классы), Сухуми, 2000, გვ. 130, 127, 164; Ш. Д. Инал-Ипа, Вопросы этно-культурной истории Абхазии, Сухуми, 1976, გვ. 408-411.

М. М. Гунба, დასახ. ნაშრ. გვ. 243; Ш. Д. Инал-ипа, დასახ. ნაშრ., გვ. 401-403.

სთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელიდვა მეფე აფხაზთა".[1] როგორც ეს გამორკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში, „მატიანე ქართლისა"-ს ამ ცნობაში ლაპარაკი იმაზე კი არ არის, რომ აფხაზეთის ერისთავმა დაიპყრო ეგრისი, არამედ იმაზე, რომ „აფხაზთა ერისთავმა" ლეონ II-ემ ხაზართა ძალების დახმარებით შეძლო ეგრის-აფხაზეთის ბიზანტიის უღლისაგან განთავისუფლება და მისგან დამოუკიდებლად იპყრა, თუ დაიპყრა ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლება, მოიპოვა სუვერენული უფლება (პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, მ. ლორთქიფანიძე[2] და სხვა.).

ან სხვანაირად როგორ შეიძლება გაგებული იქნას „დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი", თუ არა ასე?! ... აბა, ლეონ II-ეს, რომელსაც მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული „აფხაზეთის ერისთავობა," – როგორც ეს ნაჩვენებია მოხმობილ წყაროში, მისი იარაღით დაპყრობა მაინც რაში დასჭირდებოდა?! – რაც მთავარია, ეგრისი და აფხაზეთი პოლიტიკურად გაცილებით ადრე იყო გაერთიანებული (ლეონ I-ის დროს), ვიდრე ლეონ II-ე მოიპოვებდა ბიზანტიისაგან დამოუკიდებლობას და თავის თავს დასავლეთ საქართველოს („აფხაზთა") მეფედ გამოაცხადებდა. იოვანე საბანისძის უტყუარი ცნობით, 781-782 წელს (თუ უფრო ადრე არა), მთელი დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალი ნიკოფსიიდან ტრაპეზუნტამდე და ზღვიდან ლიხის ქედამდე, ლეონ I „აფხაზთა მთავრის" ხელისუფლებაში იყო მოქცეული.[3] ხოლო ლეონ II-ის „აფხაზთა" მეფედ გამოცხადება და ამ სამეფოს დამოუკიდებლად პყრობა,

---

[1] „მატიანე ქართლისა", ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 251. პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 200-203; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, მეორე. გამოცემა, გვ. 563-567; მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, დასახ. გამოცემა, გვ. 10-11. იოვანე საბანისძე, ჰაბოს წამება, ქართული მწერლობა, დასახ. გამოცემა, გვ. 454.

მხოლოდ VIII ს-ის 90-იანი წლების ბოლოდან არის მოსალოდნელი (ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა, ზ. ანჩაბაძე და სხვა[1]).

ასე რომ, აბსურდია იმის მტკიცება, თითქოს „აფხაზთა მთავარმა" დაიპყრო ეგრისი და გაუერთიანა ის თავის სამთავროს. მით უფრო იმის ფიქრი, რომ ლეონ II-ემ, თითქოს ხაზართა ძალები ბიზანტიის ბატონობისაგან გასათავისუფლებლად კი არ დაიხმარა, როგორც ეს აღნიშნული აქვს „მატიანე ქართლისას", არამედ ის ლეონმა ეგრისის დასაპყრობად გამოიყენა.[2]

ჩვენი შეხედულებიდან გამომდინარე,[3] ვერც იმ აზრს ვეთანხმებით ეგრის-„აფხაზეთის" გაერთიანებაზე, რომელიც ჯუანშერის მონაცემებს ემყარება და მიიჩნევს, რომ ეგრისის და „აფხაზეთის" პოლიტიკური გაერთიანება მოხდა ბუნებრივი გზით, ნებაყოფლობით, რომ ჯუანშერის მონაცემების თანახმად, „აფხაზთა მთავრის" ლეგიტიმური უფლება დასავლეთ საქართველოზე, განხორციელდა მისი დანათესავებით ქართლის ერისმთავართა სახლთან. რომ ქართლისა და ეგრისის ერისთავთა უფლის სტეფანოზის ძე არჩილმა „აფხაზთა ერისთავ" ლეონ I-ს ცოლად მისცა (VIII ს-ის 40-იანი წლის დასაწყისში) თავისი ძმისწული, მირის ასული გურანდუხტი, შეიწყალა თავის ვასალად და გადასცა ბიზანტიის კეისრისაგან მირისათვის გამოგზავნილი სამეფო გვირგვინი. ამდენად ლეონ I-ს და მის მემკვიდრე ლეონ II-ს ქართველი მემატიანე ქართლის ხელისუფალთა კანონიერ მემკვიდრედ სახავს.[4] ასე რომ, ეგრის-აფხაზეთის პოლიტიკური გაერთიანება და

---

[1] ს. ჯანაშია, О времени и условиях возникновения Абхазского царства, შრომები, II, გვ. 333-341; პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ. გვ. 216; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, დასახ. გამოცემა, გვ. 116-121; მისივე, „აფხაზთა სამეფო", ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 32.

მ. გუნბა, დასავლეთ საქართველო და ბიზანტია, VI-VIII სს. სოხუმი, 1962, გვ. 204, 218-220.

დ. ლეთოდიანი, აფხაზ-აბაზგების განსახლება, მათი სახელის და ტოპონიმ „აფხაზეთი"-ს გავრცელება საქართველოში, მარიამ ლორთქიფანიძის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, დასახ. გამოცემა, გვ. 230.

ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება I, დასახ. გამოცემა, გვ. 239-241.

მასზე „აფხაზ“ ხელისუფალთა ლეგიტიმური უფლება იყო ბუნებრივი, დინასტიური უნიის შედეგი.[1] ნ. ბერძენიშვილის აზრით: ჯუანშერთან დაცულ ცნობაში, სადაც საუბარია, რომ „აფხაზეთის ერისთავი“, ბერძენთა მეფის მოხელე ეყმო ქართლის მეფეს, ან ის, რომ ეგრისს ბერძენთა კეისარი ქართლის მეფის სახელმწიფოდ თვლის (და ეს იმ დროს, როცა ქართლის მეფენი თვით არიან არაბთა მიერ უკიდურესად შევიწროვებული), – ვერ ქმნის რეალურ შთაბეჭდილებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ის ნაწილობრივ შეთხზულია.[2] თუმცა, ჯუანშერის მონათხრობი სტეფანოზის და მისი შვილების (მირის და არჩილის) დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობაზე და მათი სახელის მურვან ყრუს შემოსევასთან დაკავშირება არ არის უარსაყოფი.[3] ნ. ბერძენიშვილის აზრით, ჯუანშერის ეს მონაცემები წარმოადგენს თვალსაზრისს, რომელიც საქართველოს გაერთიანების იდეას ემსახურება,[4] მაგრამ ეს იდეა ეფუძნება VII-VIII სს-ში არსებულ მყარ რეალურ-ისტორიულ საფუძვლებს. ამ დროისათვის მთელ საქართველოში საკმაოდ ღრმადაა ქართიზაციის პროცესი გავრცელებული, როგორც აღმოსავლეთ, ისე სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში. ადრე დასრულდა კახ-ჰერების და მესხებ-ჯავახების შერწყმა იბერ-ქართებთან, – მოხდა მათი სრული ქართიზაცია. ეს პროცესი ადრიდანვე მიმდინარეობდა ასევე დასავლეთ საქართველოში.[5] VII-VIII სს-ში აღმოსავლურ-ქართული მოსახლეობა თავისი ეთნო-კულტურით, აქტიურად იკაფავდა გზას დასავლეთ საქართველოში.

---

[1] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, დასახ. გამოცემა, გვ. 200-201, 216-217; მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, დასახ. გამოცემა, გვ. 10-11; მისივე, ეგრის-აფხაზეთი, საქართველოს ისტორია, I, დასახ. გამოცემა, გვ. 212-215; გ. გასვიანი, აფხაზეთი (ძველი და ახალი აფხაზები), თბ., 1998, გვ. 33-34; ზ. პაპასქირი, აფხაზეთი საქართველოა, თბ., 1998, გვ. 114-120; მისივე, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, I, თბ., 2004, გვ. 44-47.

ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, მეორე. გამოცემა, გვ. 578.

იქვე.

იქვე, გვ. 578-579.

იქვე, გვ. 539.

ჯერ კიდევ VI ს-ში რიონის მარცხენა სანაპიროს დაუსახლებელი (პროკოპი კესარიელი) მიწა-წყლის ინტენსიური ათვისება დაიწყო აღმოსავლელ ქართველებმა, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა მათთან არაბების შემოსევებისა და იქ მათი გაბატონების შემდეგ. VII-VIII სს-ში აჭარა-ქობულეთი, გურია, მოხირისი (სამოქალაქო, ანუ ქუთაისის საერისთავო), არგვეთი, რაჭა-ლეჩხუმი ქართიზებულია.[1] აღმოსავლელი და დასავლელი ქართველების ერთმანეთთან შეკავშირება-გაერთიანებისაკენ სწრაფვას, ღრმა ფესვები გააჩნდა საუკუნეების სიღრმეში, მაგრამ ამ მისწრაფების რეალიზაციას ხელს უშლიდა, ძირითადად, საგარეო ფაქტორები: მაგ., თუ დასავლეთ საქართველო მოქცეული იყო აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) გავლენის სფეროში, აღმოსავლეთ საქართველო ჯერ ირანის, ხოლო შემდეგ არაბების სახელმწიფოზე იყო დაქვემდებარებული. რა თქმა უნდა, ასეთი ხელოვნურად შექმნილი ფაქტორები აფერხებდა და ზღუდავდა გაერთიანების ბუნებრივ პროცესს.

VII ს-ის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოში ბერძნულ-ბიზანტიურ ენას და კულტურას შეუტია ქართულმა ენამ და კულტურამ, საგრძნობლადაც შეავიწროვა და შეუზღუდა მათ სამოქმედო არეალი. ეს კი მნიშვნელოვანწილად გაპირობებული იყო აღმოსავლურ ქართული ელემენტის ძალუმი შეღწევით დასავლეთ საქართველოში.[2] თუკი VII ს-ის ბიზანტიური ნოტაციების მონაცემებს გავითვალისწინებთ, რომლითაც ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოზე დამოკიდებული ფაზისის სამიტროპოლიტოს 4 საეპისკოპოსო კათედრიდან სამი ზღვისპირასაა, ფასიდის სამიტროპოლიტოსთან ერთად და მხოლოდ ერთი როდოპოლისის (ვარდციხის) საეპისკოპოსო კათედრაა ლაზიკის ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე;[3] მაშინ სავარაუდოა, რომ ვაკე-იმერეთი არგვეთიანად და რაჭა-ლეჩხუმიანად,

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 428; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 539, 579 და სხვაგან.

[2] დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, გვ. 253.

[3] ბასილი სოფონელი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1952, გვ. 139-140.

მდ. რიონის მარჯვენა სანაპირო მდ. ტეხურის ხეობის ჩათვლით, VII ს-ში მოქცეული იყო მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში, ქართული ენითა და მწიგნობრობით და აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.[1]

როგორც ფიქრობენ (დ. მუსხელიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური და სხვა[2]) ზოგადი ქართული კულტურის ნაკადი ამ დროისათვის, ისე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, დასავლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით „აფხაზეთში"-ც აღწევდა. ამის უტყუარ დასაბუთებადაა მიჩნეული VI-VIII სს-ში ქართული საეკლესიო არქიტექტურული ძეგლების ინტენსიური მშენებლობა „აფხაზეთში":[3] სამეკლესიანი ბაზილიკები: ძველი გაგრა, აბაათა VI ს., ამბარა – VIII-IX სს. „მცხეთის ჯვრის" ტიპის – დრანდა VIII ს. და სხვა.[4] ლოკალური თავისებურებანი, ისე როგორც ტაო-კლარჯეთის, ეგრისის, კახეთ-ჰერეთის, ქართლის, ხუროთმოძღვრულ ძეგლებს ახასიათებთ, ასევე შეიმჩნევა ეს თავისებურება „აფხაზეთის არქიტექტურულ" ძეგლებშიც, მაგრამ არა ისეთი ხარისხითაც-კი, როგორც ეს ჩანს კახეთის, ეგრისის, თუ საქართველოს სხვა შიდა რეგიონების საეკლესიო არქიტექტურაში. ის ლოკალური თავისე-

---

[1] დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII სს-ში, გვ. 381.

იქვე; მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, დასახ. გამოცემა, გვ. 16; ნ. ლომოური, ძირძველი ქართული მხარის – აფხაზეთის ისტორიისათვის, 2008, გვ. 75-76.

[2] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 381.

Рчеулишвили Л. Д. Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии, Тб., 1988, გვ. 16; მისივე, Ещё раз об интерпретации архитектурных памятников как исторических документов, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის... სერია №2, თბ., 1977, გვ. 205-211; მისივე, По поводу интерпретации архитектурных памятников как исторических документов, მაცნე, ისტორიის... სერია, №4, თბ., 1975, გვ. 181-189; В. Беридзе, Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб., 1981, გვ. 132; მ. დიდებულიძე, ეკლესია ძველ გაგრაში, ძეგლის მეგობარი №45, თბ., 1977, გვ. 16-26, 67.

ბურება, რაც „აფხაზურ არქიტექტურას" ახასიათებდა სხვა ქართული რეგიონების არქიტექტურისაგან განსხვავებით ის იყო, რომ მათთან შედარებით ის უფრო ემსგავსებოდა ბიზანტიურ საეკლესიო არქიტექტურას. ეგრეთწოდებული „აფხაზური არქიტექტურული სკოლა" წარმოადგენს ზოგადი ქართული არქიტექტურის ორგანულ ნაწილს, მის ერთ-ერთ განშტოებას. ასეთივე სურათი ისახება II-VII სს-ის დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე (სოხუმში, ბიჭვინთაში, წებელდაში და სხვა), მოპოვებული არქეოლოგიური მასალების ანალიზიდან.[1] IX ს-ის დამლევიდან დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე (გუდაუთის რ-ნი მსიგხუას ეკლესიიდან) ჩნდება ეკლესიებზე ქართული ასომთავრული წარწერები.[2] მომდევნო ხანებში უფრო და უფრო მატულობს ქართული ეპიგრაფიკული წარწერები არქიტექტურულ ძეგლებზე დასავლეთ საქართველოში, – კონკრეტულად მის ჩრდილო-დასავლეთით. „აფხაზეთის ეკლესიებში" IX ს-ის დამლევიდან ბერძნულის ნაცვლად ქრისტიანული ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდება.[3]

VIII ს-დან დასავლეთ საქართველოს მთელ სივრცეში ქართული ქრისტიანული კულტურის და ენის გავრცელება-დამკვიდრება, ბერძნული ენისა და ბიზანტიური კულტურის საპირისპიროდ, დასავლელმა ქართველებმა: ლაზ-ეგერებმა, სვან-მისიმიანებმა, ზან-სანიგებმა (იგივე „აფხაზებმა"), ისე მიიღეს, როგორც საკუთარი, ღვიძლი, არა მარტო იმიტომ, რომ ისინი ერთნაირად

---

[1] ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ. გვ. 75-76 (იქვე, იხ. სათანადო ლიტერატურა). იხ. აგრეთვე, დ. ლეთოდიანი, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის ... დასახ. გამოცემა, გვ. 112-115, იქვე სათანადო ლიტერატურა.

[2] Бгажба Х. С., Из истории письменности в Абхазии, Тб., 1967, გვ. 13; ქართული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980, გვ. 30-31; ლ. ახალაძე, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები აფხაზეთში IX-XVII სს-ში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1998, გვ. 95; მისივე, Эпиграфические памятники Абхазии, в кн. Разыскания по истории Абхазии|Грузия, Тб., 1999, გვ. 364.

[3] Бгажба Х. С., დასახ. ნაშრ., გვ. 5.

თანაზიარი შემოქმედნი იყვნენ ზოგადი ქართული კულტურისა და სხვა ფასეულობებისა, არა მარტო იმიტომ, რომ ერთი დედის ღვიძლი შვილნი იყვნენ, არამედ იმიტომაც, რომ „საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით ისინი ერთ საფეხურზე იდგნენ, – აღმავალი ფეოდალური ურთიერთობის საფუძველზე“.[1] ყოველივე ეს სულაც არ იყო იბერია-ქართლის პოლიტიკური ექსპანსიის შედეგი, ამ პერიოდში ამაზე ფიქრი ზედმეტია, ეს იყო ბუნებრივი პროცესი, რომელსაც ხელი გარკვეულმა ისტორიულმა რეალიებმაც შეუწყო.[2] VIII ს-ის დასაწყისიდან ბიზანტია უცილობელი მფლობელი იყო დასავლეთ საქართველოში. იქ, არაბების დრო და დრო შემოტევები, ვერ ცვლიდა რეალური ვითარების არსს, არაბები ძირითადად, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში ბატონობდნენ.[3] ბიზანტიის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესებისათვის ხელი შეეშალა და გაეთიშა ტომები ერთმანეთისაგან, მაგრამ მათი ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.[4] როგორც ითქვა, VIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი (აჭარა, საჯავახო – გურია, ვაკე-იმერეთი (იმერეთის საერისთავო), არგვეთი, რაჭა, ლეჩხუმი (რომელიც უკვე თაკვერად იწოდებოდა VII ს-ის დასწყისიდან), ქართიზებულია. ამ მხრივ ქართული წყაროები, თუნდაც ნაგვიანევი ხანის (X-XVIII ს-ის), სარწმუნოდ გამოიყურებიან. აღნიშნულმა პროცესებმა უდიდესი როლი შეასრულა აღმოსავლელი და დასავლელი ქართველების (და არა მარტო ქართველების, არამედ სხვებისაც კი, თუკი ისინი არსებობდნენ იქ იმ დროს) შერწყმაში და ერთ ქართველ ეროვნებად ჩამოყალიბებაში. ამ პროცესმა, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან მომდინარეობდა, VIII ს-ში იმდენად მაღალ ხარისხს მიაღწია, რომ იქ

---

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, მეორე. გამოცემა, გვ. 598-599.

ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 600; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 578-579.

დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 578-579.

ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 600.

იმ დროს შეიქმნა რეალური პირობები, მხოლოდ და მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება-არსებობისათვის.[1]

ასეთ ვითარებაში განხორციელდა ეგრის-„აფხაზეთის" გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნა „აფხაზეთის" სახელით. ნიშანდობლივია, რომ „აფხაზეთის მთავარმა" ლეონ II-მ, როცა ბიზანტიისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა და თავის თავს „აფხაზთა მეფე" უწოდა, „აფხაზეთის საერისთავოს" ცენტრი ანაკოფია (ახალი ათონი), ან ეგრისის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი არქეოპოლისი (ციხე-გოჯი), კი არ გამოაცხადა „აფხაზთა სამეფოს" (მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანების) სატახტო ქალაქად, არამედ იმერეთის საერისთავოს ადმინისტრაციული ცენტრი, უძველესი ქართული ქალაქი ქუთაისი აქცია დედაქალაქად.

როგორც ზემოთ მითითებული, „მატიანე ქართლის" ცნობიდან ჩანს,[2] მას ძალზე ლაკონურად აქვს გადმოცემული დასავლეთ საქართველოს ბიზანტიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ქართულ მატიანეში ვერ აისახა ის მთავარი ფაქტორები, რომელზედაც ნაწილობრივ იყო ზემოთაც საუბარი და რომლის საფუძველზე მოხდა ბიზანტიისაგან დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება. ვფიქრობთ, „აფხაზთა სამეფოს" შექმნის, მისი დამოუკიდებლობის იდეის ჩამოყალიბების და განხორციელების საქმეში დიდი როლი შეასრულა დასავლეთ საქართველოს ფეოდალურმა არისტოკრატიამ (დიდებულობამ), რომელიც დასაყრდენი ძალა უნდა ყოფილიყო ლეონ II-ისათვის. რაც მთავარია, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას, რომელსაც სამ-საუკუნოვანი ტრადიცია-გამოცდილება მაინც გააჩნდა ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა ამ საქმეში. მატიანის გადმოცემა, თითქოს ლეონ II-მ, მხოლოდ ხაზართა სამხედრო დახმარებით შეძლო დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება, სრულ სიმართლეს ვერ ასახავს. ხაზართა სამხედრო დახმარება შეიძლე-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 604-605.

[2] „მატიანე ქართლისა", ქართლის ცხოვრება, ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 251.

ბა ერთჯერადი ყოფილიყო, შესაძლოა ლეონ II-სათვის ხაზარებს რამდენიმე ბრძოლაშიც გაეწიათ დახმარება, მაგრამ ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებისა და მისი შენარჩუნებისათვის მუდმივი ძალები იყო საჭირო, და ეს ძალა ვინ უნდა ყოფილიყო იმ დროს, თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა და მისი წარმმართველი ფეოდალური არისტოკრატია?! – ნიშანდობლივია, რომ X ს-ის 70-იან წლებში, როცა დასავლეთ საქართველში თეოდოს უსინათლოს მეფობის (975-978 წწ.) ჟამს პოლიტიკური კრიზისი შეიქმნა, „იხილეს რა წარჩინებულთა მის ქვეყნისათა იყვნეს ყოველნი ერთობით მწუხარებასა შინა დიდსა“.[1] „აფხაზეთის სამეფოში“ გაერთიანებული ქართლის საერისთავოს ერისთავი იოანე მარუშის ძის მეთაურობით, „ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კუროპალატისაგან“,[2] და ამით, სხვა ღონისძიებებთან ერთად, დააღწიეს თავი დასავლეთ საქართველოში შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებას.

ზოგადი ქართული კულტურისა და სხვა ფასეულობების ხანგრძლივი და სიღრმისეული შეღწევის ბუნებრივი შედეგი უნდა ყოფილიყო ის, რომ ბიზანტიის დიდმოხელე არქონტები („აფხაზთა ერისთავები“), ბიზანტიიდან რადიკალურად იცვლიან კულტურულ და პოლიტიკურ ორიენტაციას ზოგადქართული პოლიტიკისა და კულტურისაკენ.[3] სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ერთერთი მთავარი დამსახურება, შექმნილ ვითარებაში, დასავლურ ქართული ფეოდალური არისტოკრატიისა და „აფხაზთა ერისთავების“, ბიზანტიისაგან დამოუკიდებლობის იდეის მომზადებასა და განხორციელებაში[4]. ასეთ ვითარებაში იშვა ლიხს იქით

---

[1] მატიანე ქართლისა, გვ. 275.

იქვე.

დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, დასახ. გამოცემა, გვ. 381.

შეად. შ. გლოველი, „აფხაზთა სამეფო“ და სენიორალური სისტემა, კრ. საისტორიო შტუდიები, IV, თბ., 2003, გვ. 3-10; აგრეთვე, შ. გლოველი, ნ. გურგენიძე, ქართველი პოლიტიკოსთა ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის და „აფხაზთა სამეფო“, იქვე, გვ. 19-48.

ქართული ფეოდალური სახელმწიფო „აფხაზთა დინასტიის“ მეთაურობით, ქართლის სამხედრო-პოლიტიკური დახმარების გარეშე.

რაც შეეხება ეგრისის და აფხაზეთის პოლიტიკური გაერთიანების საკითხს, ჩვენი აზრით, ეგრისის და „აფხაზეთის“ საერისთავოების პოლიტიკური გაერთიანება მოხდა მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიის ხელისუფლების ნებით.[1] საქმე ისაა, როგორც ზემოთ ითქვა, რომ ბიზანტიის იმპერია, თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, VI ს-ის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდა ეგრისის სამეფოს მიმართ, მისი საბოლოო დაპყრობის მიზნით. აღნიშნული დროიდან ბიზანტიის ხელისუფლებამ ეგრისში თავისი ჯარები შემოიყვანა და ეგრისის სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრეებში ჩააყენა. პეტრა-ციხისძირში თავისი მოხელე – სტრატეგოსი დასვა, რომელიც კონტროლს ანხორციელებდა მთელ ეგრისზე, ერეოდა მეფის საქმიანობაში, დაამყარა მონოპოლია ეგრისის საგარეო ვაჭრობაზე და სხვა. ბიზანტიის პოლიტიკით შეწუხებული და შეურაცხყოფილი ეგრისელები ბიზანტიელებს გადაუდგნენ, მათმა მეფემ გუბაზ II-მ 542 წელს ირანელთა ჯარები შემოიყვანა ბიზანტიელების წინააღმდეგ. ასე დაიწყო ეგრისში ბიზანტია-ირანს შორის 20-წლიანი ომი („დიდომიანობა“), რომელმაც დამანგრეველი შედეგები მოუტანა ეგრისელ მოსახლეობას.[2] ბიზანტიამ ჯერ VI ს-ის 50-იანი წლებიდან, ეგრისის სამეფოს საბოლოოდ ჩამოართვა ბიჭვინთის ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია (ძირითადად სანიგებით დასახლებული) მდ. აქეუნტა-შახემდე და ის თვითონ შეიერთა, ხოლო VII ს-ის დასაწყისში, ბიზანტიის ხელისუფლებამ წაართვა ეგრისის სამეფოს მდ. კლისურა-კელასურის ჩრდილო- დასავლეთი, ვიდრე მდ. აქეუნტა-შახემდე, თავის სამფლობელოდ გამოაცხადა და უწოდა

---

[1] დ. ლეთოდიანი, აფხაზ-აბაზგების განსახლება, მათი სახელის და ტოპონიმ „აფხაზეთის“ გავრცელება საქართველოში, დასახ. კრებული, გვ. 228-231.

დ. ლეთოდიანი, აფხაზ-აბაზგების განსახლება, ..., გვ. 224-225.

„აფხაზეთი“.[1] VII ს-ის მეორე ნახევარში,[2] ზოგი მეცნიერის აზრით, VII ს-ის დასაწყისში,[3] ბიზანტიამ ეგრისის მეფის სტატუსი პატრიკიოსის ტიტულამდე დაამცრო. ამას იმით ხსნიან, რომ ჰერაკლე კეისრის დროს მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ სამყაროში, ერთადერთ უზენაეს ხელისუფლად კეისარი მიაჩნდათ, ხოლო მასზე დამოკიდებული სახელმწიფოები მისი ვასალი და ქვეშევრდომი იყო.[4] ასეა თუ ისე, ის ფაქტი, რომ ეგრისის მმართველი პატრიკიოსია და არა მეფე, უტყუარი წყაროთი დასტურდება VII ს-ის 60-იანი წლებისათვის.[5] VII ს-ის ბოლოს (697 წ.) ბიზანტიის დიდმპყრობელური პოლიტიკისაგან შევიწროებული ეგრისის პატრიკიოსი სერგი ბარნუკის ძე აუჯანყდა ბიზანტიელებს და მათ წინააღმდეგ არაბები შემოიყვანა ეგრისში და ზოგიერთ ციხე-სიმაგრეში ჩააყენა კიდეც მათი ჯარები.[6] მართალია ეგრისში არაბებმა ფეხი ვერ მოიკიდეს ისე, როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველში მოახერხეს; ვერც მისი გეოპოლიტიკა გამოიყენეს ბიზანტიელების წინააღმდეგ, მაგრამ, აღნიშნული აქტი საკმარისი აღმოჩნდა ბიზანტიის ხელისუფლებისათვის, რომ ეგრისში ადგილობრივი მმართველობა გაეუქმებინა და ეგრისი მათი უმეშველო მმართველობისათვის დაექვემდებარებინა. მართლაც, სერგი ბარნუკის ძის შემდეგ ეგრისს მმართველად ადგილობრივი დი-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, მეორე გამოცემა, გვ. 577.

ნ. ასათიანი, საქართველოს ისტორია (სახელმძღვანელო) უძველესი დროიდან XIX ს-მდე, თბ., 1999, გვ. 105; დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII სს-ში, დასახ. გამოცემა, გვ. 307; ნ. ლომოური, ძირძველი ქართული მხარის – აფხაზეთის ისტორიისათვის, დასახ. გამოცემა, გვ. 68.

ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, გვ. 88-89; ნ. შოშიაშვილი საქართველო VI ს-ის ბოლოს – VII ს-ის დასაწყისში, საქართველოს ისტორია, I (სახელმძღვანელო), თბ., 2006, გვ. 164-165.

ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 164-165.

თეოდოს განგრელი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 47-50.

თეოფანე უამთააღმწერელი, გეორგიკა, IV, ნაკვ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 105.

ნასტი აღარ ჰყოლია.[1] გამოდის, რომ ბიზანტიამ თავის საწადელს მიაღწია და ეგრისი ისე დაიპყრო, როგორც VII ს-ის დასაწყისში ტერიტორია მდ. კლისურა-კელასურიდან მდ. აქეუნტა-შახემდე („აფხაზეთის საერისთავოდ“ წოდებული მხარე). წყაროების მონაცემების საფუძველზე მიაჩნიათ, რომ ბიზანტიის ხელისუფლებას VIII ს-ის 30-იან წლებში, ეგრისის მმართველად (პატრიკიოზად) დაუნიშნავთ ქართლის ერისთავი სტეფანოზი.[2] ატენის სიონის ფრესკული წარწერით სტეფანოზი „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალია“, რომელიც 739 წელს გარდაცვლილა.[3] ჯუანშერის ცნობით, ამავე პერიოდში (VIII ს-ის 30-იან წლებში) ეგრისში მოღვაწეობდა ქართლიდან არაბებისაგან დევნილი ქართლის ერისთავი სტეფანოზი თავის შვილებთან (მირთან და არჩილთან) ერთად, რომელთაც ბრძოლები გადაუხდიათ დასავლეთ საქართველოში შეჭრილ მურვან ყრუსთან. ეგრისში სტეფანოზის გარდაცვალების (739 წ.) შემდეგ ბიზანტიის კეისარი ლეონ III ისავრიელი ორ სამეფო გვირგვინს უგზავნის მირს და არჩილს, როგორც სტეფანოზის მემკვიდრეებს და გარკვეულ დირექტივებს აძლევს, აგრეთვე, „აფხაზეთის ერისთავს“ ლეონ I-ს. სტეფანოზის უფროსი ძე მირი მალე გარდაიცვალა, ანაკოფიასთან (ახალ ათონთან) არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში მიღებული ჭრილობების გამო. მირის მემკვიდრეობაც არჩილზე გადავიდა, მირს საუხუცესოდ ჰქონდა მიღებული ეგრისი, რომელიც განუყოფლად გადაეცა არჩილს.[4]

ატენის სიონის ფრესკული წარწერის და ჯუანშერის მონაცემების ურთიერთშეჯერების საფუძველზე უცილობლად მიაჩნიათ, რომ ატენის სიონის წარწერის „ქართველთა და მეგრელთა ერი-

---

1 ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, დასახ. გამოცემა, გვ. 89.

ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII სს-ში, თბ., 1979, გვ. 98-99; დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII სს-ში, დასახ. გამოცემა, გვ. 366-368.

გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977, გვ. 35-36, 44.

ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 239, 241.

სთავთერისთავთა უფალი“ სტეფანოზი და ჯუანშერთან დასახელებული სტეფანოზი ერთი და იგივე პიროვნებაა,[1] მაგრამ არა სტეფანოზი ადარნასეს ძე (როგორც ამას შეცდომით აღნიშნავს ჯუანშერი),[2] არამედ სტეფანოზი ნერსე დიდის ძე.[3]

არაბული წყაროების (ალ-ტაბარის და ალ-ბალამის) ცნობით 730-731 წწ-ში ქართლის გამგებლის („მალიქის“) ინიციატივით აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მოეწყო ხაზარების ძლიერი ლაშქრობა არაბების წინააღმდეგ. გადამწყვეტი ბრძოლა ქ. არდებილთან გაიმართა, სადაც ხაზარებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.[4] ამ ბრძოლაში დაიღუპა არაბთა გამოჩენილი სარდალი ჯარაჰ იბნ-აბდალლაჰი. ხაზარების სარდალს სასარგებლო რჩევა-დარიგებებს აძლევდა ქართლის ერისთავი („მალიქი“), რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ხაზარების გამარჯვებაში.[5] სამწუხაროდ, არაბი ავტორები არ თუ ვერ ასახელებენ ქართლის ხელისუფალის („მალიქის“) სახელს. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, ქართლის ეს „მალიქი“ უნდა იყოს ატენის ფრესკული წარწერის „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალი“ და ჯუანშერის ცნობაში დასახელებული ეგრისში მურვან ყრუს შესვლამდე მოღვაწე ქართლის ერისთავი სტეფანოზი.[6] სწორედ, სტეფანოზისთანა გამორჩეული პიროვნება აწყობდა ბიზანტიის ხელისუფლებას ამიერკავკასიაში, თავისი პოლიტიკური და სამხ-

---

[1] ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 98, 101; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 367-368.

ჯუანშერი, დასახ. გამოცემა, გვ. 228.

დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 366, 369.

ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა საქართველოში (არაბული წყაროების მიხედვით), თბ., 1991, გვ. 87, 95; М. И. Артамонов, История Хазар, Л., 1962, გვ. 213.

ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა საქართველოში, დასახ. გამოცემა, გვ. 85.

დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII სს-ში, გვ. 366-367; ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და ..., გვ. 99-100; მისივე, Раннефеодальные Грузинские государства, Очерки истории Грузии, т. II, Тб., 1988, გვ. 177; შდრ. გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული..., გვ. 35-36; ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 87.

ედრო მიზნების განსახორციელებლად. მართებულად მიაჩნიათ, რომ ბიზანტიის იმპერატორმა ლეონ III (717-741) ისავრიელმა ეგრისის მმართველობა სტეფანოზს ჩააბარა და პატრიკოზის ტიტულიც მას მიანიჭა. ამ ტიტულითაა ცნობილი ეგრისის უკანასკნელი ადგილობრივი მმართველი დინასტი. ჯუანშერის მიერ ხაზგასმით იმის აღნიშვნა, რომ სტეფანოზის მემკვიდრეებს: მირს და არჩილს გადასცა სტეფანოზის გარდაცვალების (739 წ.) შემდეგ ბიზანტიის იმპერატორმა ეგრისის ხელისუფლება, და ატენის სიონის ფრესკულ წარწერაში დადგენილი სტეფანოზის წოდებულება, ეჭვის გარეშე იძლევა იმის საფუძველს ვიფიქროთ, რომ ბიზანტიის კეისარმა ქართლის ერისთავს სტეფანოზ ნერსე დიდის ძეს ეგრისის ხელისუფლება, შესაძლოა ჯარაჰთან ბრძოლის გამართვამდეც (730 წ-დე) კი გადასცა.[1] ბიზანტიის ხელისუფლება, ქართლის ერისთავის – სტეფანოზის გახელისუფლებით საიმედო მოკავშირეს შეიძენდა არაბების წინააღმდეგ. გარდა ამისა ეგრისში სტეფანოზის გაერისთავება (თუ პატრიკიოსად დასმა) მისაღები კანდიდატურა იქნებოდა ეგრისელი მოსახლეობისათვის, რომელნიც უკმაყოფილონი იქნებოდნენ ეგრისში ადგილობრივი დინასტიური მმართველობის გაუქმებით. ამით ბიზანტიელები ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებასაც შეანელებდნენ და ეგრისთან ერთად ქართლსაც მოიქცევდნენ თავისი გავლენის სფეროში. ვფიქრობთ, ასეთი მიზნები ამოძრავებდა ბიზანტიის საიმპერიო კარს, როცა ის ეგრისის ხელისუფლებას უთავსებდა ქართლის ერისთავ სტეფანოზს.

სტეფანოზის და მირის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ერთადერთმა მამაკაცმა მემკვიდრემ, ქართლ-კახეთის და ეგრისის სახელისუფლო მემკვიდრეობა არჩილმა ჩაიბარა. მან სამეფო გვირგვინი ბიზანტიის კეისრისაგან, როგორც აღინიშნა, თავისი ძმა მირთან ერთად, ჯერ კიდევ მირის სიცოცხლეში მიიღო. ჯუანშერის ცნობით, არჩილმა ეგრისში 12 წელი დაჰყო.[2] შემდეგ არჩილი ჯერ ქართლში გადადის, ხოლო შემდეგ კახეთში მკვიდრდება და მისი სახელისუფლო მოღვაწეობა მხოლოდ კახეთ-

---

[1] ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 99-100. იხ. შენიშვნა.

[2] ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243.

ჰერეთით შემოიფარგლა. მან არა მარტო ეგრისი, არამედ ქართლიც დათმო.[1] მართალია, არჩილის მოწამებრივი აღსრულების შემდეგ, მისი უფროსი ძე იოანე დედით და ორი დით ეგრისში გადადის,[2] მაგრამ მისი იქ მოღვაწეობის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გაგვაჩნია. ასე რომ, ის პერსპექტივები, რაც ბიზანტიის საიმპერიო კარს ესახებოდა ქართლისა და ეგრისის ხელისუფლების გაერთიანებით, არჩილის კახთ-ჰერეთში დამკვიდრების შემდეგ ჩაეშალა. ბუნებრივია, ყოველივე ამის შემდეგ, ბიზანტიის ხელისუფლება შეცვლიდა თავის პოლიტიკას ეგრისისადმი დამოკიდებულებაში.

ვფიქრობთ (თუ უფრო ადრე არა, VIII ს-ის 70-იანი წლებიდან მაინც), კეისრის მთავრობამ, მასზე უმეშვეოდ დაქვემდებარებული, ეგრისი და „აფხაზეთი" პოლიტიკურად გააერთიანა, უწოდა მას „აფხაზეთი" და მისი ხელისუფლება ჩააბარა თავის მოხელეს „აფხაზეთის არქონტს" („კეისრის ერისთავს") ლეონ I-ს. იოვანე საბანისძის სანდო ცნობით, დანამდვილებით არის ცნობილი, რომ 781-782 წწ-ში მთელ დასავლეთ საქართველოს ნიკოფსიიდან ტრაპეზუნტამდე, ზღვიდან ლიხის ქედამდე „აფხაზეთი" ეწოდებოდა, ხელისუფალს „აფხაზთა მთავარი", ხოლო მკვიდრ მოსახლეობას „აფხაზი".[3] მთელი ამ სახელმწიფოს („აფხაზეთის სამთავროს") მიწა-წყალი იონთა მეფის (ბიზანტიის კეისრის) საბრძანებელია, მისი სამფლობელოა.[4] ამ ფაქტს „მეფე ქართლისა არჩილის" ავტორის ერთი ცნობაც ადასტურებს, სადაც არჩილი არაბ ამირა ჭიჭანუმ ასიმს უხსნის, რომ ის სამეფო განძი, რომელსაც ის ითხოვს მისგან დაფლული იყო ციხე-გოჯსა და ქუთაისში,[5] რომ-

---

[1] დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966, გვ. 95. ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება... გვ. 103; მ. ლორთქიფანიძე, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნა, საქართველოს ისტორია, I, დასახ. გამოცემა, გვ. 213.

მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 249.

იოვანე საბანისძე, ჰაბოს წამება, ქართული მწერლობა, I, დასახ. გამოცემა, გვ. 454.

იქვე.

ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 236.

ლებიც ახლა ბერძნების საკუთრებას წარმოადგენს („... ხოლო მამამან ჩემმან და ძმამან დასხნეს ყოველი საგანძურნი ციხესა მას, სადათ – იგი შეიქცა ყრუ ამირა და ან აქუს იგი ბერძენთა“[1]). თუ აქ მითითებულ მონაცემებს დავუმატებთ ზემოთ მოხმობილ ფაქტობრივ მასალას, გამოდის, რომ ბიზანტიამ ხანგრძლივი პოლიტიკური და სამხედრო ზეგავლენის შემდეგ ეგრისში (VIII ს-ის დასაწყისიდან), ხოლო „აფხაზეთის საერისთავოში“ გაცილებით უფრო ადრე (VI ს-ის 50-იანი წლებიდან) დაამყარა თავისი უმეშველო მფლობელობა, VIII ს-ის მეორე ნახევარში კი გააერთიანა ეს საერისთავოები თავის მოხელე „აფხაზთა არქონტის“ ხელისუფლების ქვეშ და უწოდა „აფხაზეთი“. არ გამოირიცხება ისიც, რომ დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთი“ ეწოდა იმის გამოც, რომ „აფხაზეთის დინასტის“ ხელისუფლების ქვეშ იყო ეს სახელმწიფო გაერთიანებული, რომლის ადმინისტრაციულ ცენტრსაც წარმოადგენდა „აფხაზთა საარქონტოს“ ციხე-ქალაქი ანაკოფია (ახალი ათონი), საიდანაც ალბათ, პირველ ხანებში, იმართებოდა ეს გაერთიანება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ არსებობს არანაირი საფუძველი ვიფიქროთ, რომ „აფხაზეთმა“ დაიპყრო ეგრისი, ან ეგრისი და „აფხაზეთი“ გაერთიანდა ნებაყოფლობით, დინასტიური ქორწინების ნიადაგზე. ბუნებრივი და ნებაყოფლობითი იყო მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნო-კულტურული გაერთიანება, ზოგად ქართულ ეთნო-კულტურულ სამყაროში. ამ ბუნებრივი პროცესის შედეგი იყო ერთიანი ქართული ფედალური ეროვნების ჩამოყალიბება. ეგრისის და „აფხაზეთის“ პოლიტიკური გაერთიანება კი იყო ბიზანტიის ხელისუფლების ნება.

„აფხაზეთის“ სახელისუფლო დინასტიის ვინაობა-წარმომავლობაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მეცნიერების ნაწილი „ლეონიდების დინასტიას“ აფხაზურ-აფსუურ წარმომავლობისად

[1] ლეონტი მროველი, მეფე ქართლისა არჩილი. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 247.

მიიჩნევს.[1] მეორე წყება მეცნიერებისა ბერძნულ,[2] ხოლო მესამე ნაწილი მეცნიერებისა ქართულ წარმოშობისად თვლის მათ.[3] თავიდანვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მხოლოდ იმ მოსაზრებას გააჩნია წყაროთმცოდნეობითი ბაზა, რომელსაც „აფხაზთა“ სახელისუფლო დინასტია ბერძნულ-ბიზანტიურ წარმომავლობისად მიაჩნია. როგორც არაერთხელ გვაქვს მითითებული,[4] მე-11 მე-12 სს-ის მიჯნის ბიზანტიელი ავტორი იოანე ზონარა პირდაპირ აღნიშნავს, რომ „ამიერიდან (იუსტინიანე I-დან მოყოლებული, დ. ლ.) აბაზგების არცერთი მმართველი ადგილობრივად არ ინიშნებოდა, იქ რომაელთა მეფეები გზავნიდნენ არქონტებს და უკანასკნელნიც მეფეთა კარნახით მართავდნენ (სახელმწიფო) საქმეებს“.[5] მართლაც, პროკოპი კესარიელი, როცა აფხაზ-აბაზგების 550 წლის აჯანყებაზე საუბრობს, წერს, რომ მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა ბიზანტიელებმა აბაზგები დაამარცხეს და განადგურების პირას მიიყვანეს. აბაზგების მთავარმა ოფსიტემ მცირე ამალით გაქცევა მოახერხა და თავი ჰუნებს შეაფარა. მისი ცოლ-შვილი და ვინც ცოცხალი გადარჩა, ბიზანტელებმა ტყვედ აიყვანეს.[6] ამის შემდეგ „აფხაზეთად“ წოდებულ მხარეში აღარ ჩანს ადგილობრივი სახელის მატარებელი მმართველები. სწორედ, ამ დროიდან უნდა ფიქრობდეს იოანე ზონარა „აფხაზეთ“-ში ბიზანტიიდან გამოგზავნილი არქონტების დანიშვნას. იოანე ზონარას ზემოთმოხმობილ ცნობასთან სრულ თანხმობაში მოდის ქართული წყაროების მონაცემები, რომლე-

---

[1] З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии... გვ. 76-79; Ш. Д. Инал-ипа, Вопросы... გვ. 407; Л. И. Лавров, Историко-этнографические очерки Кавказа, Л., 1978, გვ. 44 და სხვა.

П. Уварова, Христианские памятники Кавказа. «Материалы археологии Кавказа», IV, 1894, გვ. 8; Д. Гулия, История Абхазии, т. I, Тиф., 1925, გვ. 208 და სხვა.

В. В. Латишев, К истории християнства Кавказа, 1911, გვ. 10-11; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, დასახ. გამოცემა, გვ. 192.

დ. ლეთოდიანი, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის ..., გვ. 157; მისივე, აფხაზ-აბაზგების განსახლება ..., გვ. 126.

იოანე ზონარა, გეორგიკა, VI, დასახ. გამოცემა, გვ. 230.

პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 157-158, 161.

ბიც არაორაზროვნად უთითებენ ბიზანტიის (ბერძენთა) კეისრის მიერ „აფხაზეთში“ ბიზანტიიდან თავის მოხელე-არქონტის (ქართულად ერისთავის) დასმას ცვლილებით და არა მემკვიდრეობით. ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით „... მიუღო ერეკლეოს კეისარმან კუალად ეგრისის მდინარის იქითი და დასუეს ბერძენთა ერისთავი თუსი ანაკოფიას და უწოდეს აფხაზთა ერისთავად“.[1] ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ჯუანშერი „აფხაზეთის“ მმართველს „კეისრის ერისთავს“,[2] ხოლო ვახუშტი – „ბერძენთა ერისთავს“ უწოდებს.[3] აღსანიშნავია, რომ VII ს-მდე ადგილობრივი დინასტების სახელები, მკვეთრად განსხვავდება VII ს-დან ანაკოფიაში მსხდომ არქონტების, ხოლო შემდეგ „აფხაზთა მეფეების“ სახელებისაგან, რომლებიც ძირითადად ბიზანტიური დინასტების სახელების იდენტურია: ლეონ, თეოდოსი, კონსტანტი, დემეტრე და სხვა.[4] შეად. ადგილობრივი დინასტების სახელებს: ოფსიტე, სკეპარნა, ევფრატა, რისმაგა, სპადაგა და სხვა. ბოლოს და ბოლოს, საკითხის ობიექტურად წარმოჩენისათვის, უცილობლად გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ, ქართული წყაროების მონაცემებით, მდ. კლისურა-კელასურის (ზოგი ავტორის მდ. ეგრისწყლის) ჩრდილო-დასავლეთი საბერძნეთია (ბიზანტიაა), მისი სამფლობელოა,[5] რომელსაც მან „აფხაზეთი“ უწოდა.[6]

VIII ს-დან ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ წარმომავლობით „აფხაზთა მეფეები“, ისინი ეროვნული თვითშეგნებით, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით იყვნენ ქართველები, აქტიურად იღვწოდნენ ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის, მისი

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, დასახ. გამოცემა, გვ. 781, 795.

ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 235.

ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 781, 795.

ექ. თაყაიშვილი, ისტორიული მასალები, „ძველი საქართველო“, ტ. II, განყოფილება III, თბ., 1911-1913, გვ. 28-52; დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან XI ს-ის დასასრულამდე, ნაწ. I, ტფ., 1889, გვ. 273-274.

ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 24, 146, 177 და სხვა.

[6] ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 781, 795.

სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური აღმასვლისათვის. შემდგომში ჰეგემონობდნენ, ქართველთა სამეფოსთან ერთად, საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში.[1] „აფხაზთა“ პირველმა მეფემ ლეონ II-მ ერთ-ერთი მთავარი რეფორმა, რაც მან თავის მოღვაწეობისას გაატარა, იყო დასავლეთ საქართველოს („აფხაზთა სამეფოს“) ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა. ვახუშტი ბატონიშვილის მონაცემებით, ლეონ II-მ „აფხაზთა სამეფო“ რვა საერისთავოდ დაყო. ესენი იყო: გურიის, ეგრისის (ცენტრით ბედია), რაჭა-ლეჩხუმის, ვაკე-იმერეთის (ცენტრით ქუთაისი), სვანეთის, არგვეთის (ცენტრით შორაპანი). დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ვახუშტი ორ საერისთავოს ასახელებს: ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოებს. „აფხაზთა საერისთავოს“ ვახუშტი ასე შემოსაზღვრავს „... დასუა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი, ვიდრე ზღუამდე და ხაზართა მდინარემდე“.[2] ხოლო ცხუმის ადმინისტრაციულ ერთეულზე წერს: „დასუა ცხომს და მისცა ეგრის-იქითი ანაკოფია ალანითურთ“.[3]

როგორც ვახუშტი ბაგრატიონის მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, საკუთრივ „აფხაზეთის საერისთავო“ ანაკოფიის (ახალი ათონის) ჩრდილო-დასავლეთით ივარაუდება, დაახლოებით იმ საზღვრებში, რომელშიაც ბიზანტიის ხელისუფლებამ პირველად (VI ს-ის 50-იანი წლებიდან) დააფუძნა სანიგეთის ტერიტორიაზე „აფხაზთა საარქონტო“[4] (რა თქმა უნდა, შედარებით უფრო მცირე ტერიტორიაზე). ვახუშტი „აფხაზეთის საერისთავოს“ სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრად ასახელებს ანაკოფიის დასავლეთით მდებარე მცირე მთას. „... ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლეთით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა,

---

[1] მ. ლორთქიფანიძე, ეგრის-აფხაზეთი, საქართველოს ისტორია, I, დასახ. გამოცემა, გვ. 209; ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 51, 53.

ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 795.

იქვე.

დ. ლეთოდიანი, აფხაზ-აბაზგების განსახლება..., დასახ. გამოცემა, გვ. 225-227.

კავკასიიდამ ჩამოსული".[1] ე. ი. თუ ამ მონაცემებს ვერწმუნებით „აფხაზეთის" სახელი, დაახლოებით, კვლავ დაუბრუნდა ძველი არეალის საზღვრებს, ვინრო გაგებით, ხოლო ფართო გაგებით ისევ მთელი დასავლეთი საქართველოს სახელად დარჩა, ვიდრე „იმერეთის" სახელის დამკვიდრებამდე.

სწორედ „აფხაზთა მეფეების" აქტიური მოღვაწეობით (IX-X სს-ში) „აფხაზთა სამეფოს" ეკლესია საბოლოოდ გამოეყო კონსტანტინოპოლის ეკლესიას,[2] ხოლო შემდეგ გაუერთიანდა მცხეთის საპატრიარქოს. ქართული წყაროები „აფხაზთა მეფეებს", როგორც ეს სამართლიანად არის შემჩნეული ისტორიოგრაფიაში, თვლიან როგორც ქართველ ხელისუფალთ, ისე როგორც ქართლელთა, კახთა, ჰერეთის თუ სხვა ქართველ დინასტებს და არა როგორც დამპყრობლებს.[3] „აფხაზთა მეფეები" დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ახალ-ახალ საეკლესიო ცენტრებს, საეპისკოპოსო კათედრებს აარსებდნენ, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობდა ხელს ქართული ქრისტიანული კულტურისა და წიგნიერების სიღრმისეულ გაფართოებას „აფხაზთა სამეფოში". ქართული ეკლესიები წარმოადგენდნენ არა მარტო რელიგიურ-კულტურულ, არამედ განათლების ცენტრებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ ბერძნული ენის საბოლოოდ აღმოფხვრას დასავლურ ქართული სინამდვილიდან და ქართული ენის საბოლოოდ იქ დამკვიდრებას.[4] პ. ინგოროყვა „აფხაზთა მეფეების" მიერ ბერძნული ეკლესიების ნაცვლად ქართული საეპისკოპოსოების დაარსებას,

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 784.

[2] მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, გვ. 11; ვრცლად და სათანადო ლიტერატურით იხ. ზ. პაპასქირი, „აფხაზთა" საკათალიკოსოს დაწესების ქრონოლოგიისათვის, საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის... დასახ. გამოცემა, გვ. 50.

ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., დასახ. გამოცემა, გვ. 50.

ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 47-56; მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, გვ. 17-19.

უწოდებდა „დიდ რეფორმას“ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გაქართველების დასრულებას.[1]

ერთი სიტყვით, „აფხაზთა სამეფო“ წარმოადგენდა ძველი კოლხეთის და ლაზიკის, ანუ ეგრისის უშუალო სამართალმემკვიდრეს, უფრო მაღალ ხარისხში აყვანილ ზოგად ქართულ სახელმწიფოს დასავლეთ საქართველოში. იქ ქართული ქრისტიანული კულტურისა და განათლების მტკიცედ დანერგვა, ქართული ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, მოწინავე აღმოსავლურ-ქართული სოციალ-ეკონომიკური წყობის დამკვიდრება, საფუძველთა-საფუძველი გახდა ჯერ ბიზანტიიდან „აფხაზთა სამეფოს“ დამოუკიდებლობის იდეის ჩამოყალიბებისა და განხორციელებისათვის, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში. ეს იყო ის ენერგია, რომელმაც „აფხაზთა სამეფო“ აქცია ერთ-ერთ მთავარ ინიციატორად საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

3. „აფხაზეთი“ XI-XV სს-ში

საქართველოს გაერთიანების შემდეგ (XI ს-დან) „აფხაზეთი“-ს და „აფხაზი“-ს სახელის არეალი კიდევ უფრო გაფართოვდა და გაუთანაბრდა „საქართველოს“ და „ქართველის“ სახელს, მათ იდენტურ ტერმინებად იქცა.[2]

გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III ბაგრატიონი, პირველად დასავლეთ საქართველოში, „აფხაზთა სამეფოს“ სატახტო ქალაქ ქუთაისში ეკურთხა „აფხაზთა მეფედ“

---

[1] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, დასახ. გამოცემა, გვ. 244-247, 249. Абхазия и Абхазцы средневековых грузинских повествовательных источников, Груз. тексты на русский язык перевел, предисловием и примечаниями снабдил Г. А. Амичба, Тб., 1988.

(978 წელს), – ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე დედის მხრიდან „აფხაზთა მეფე“ თეოდოს უსინათლოსი, მისი დისწული. 1008 წელს მეფეთ-მეფე გურგენის, ბაგრატ III-ის მამის გარდაცვალების შემდეგ, ის ხდება „ქართველთა“ მეფე, ხოლო 1008–1010 წწ-ში კახეთისა და ჰერეთის შემოერთების შემდეგ ჰერთა და კახთა მეფის ტიტულსაც მიიღებს, ასე მთავრდება, ძირითადად, საქართველოს გაერთიანება და გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ტიტულატურაც ასე ყალიბდება: „მეფე აფხაზთა“ ქართველთა, ჰერთა და კახთა. მაშასადამე, მეფეთა ტიტულატურაში საქართველოს რეგიონების სახელები იმ რიგით დალაგდა, რა თანმიმდევრობითაც დაიჭირა მეფე ბაგრატ III-ემ ქართული ადმინისტრაციული ერთეულები და მისი ხელისუფლება. როგორც ითქვა, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III „აფხაზთა მეფედ“ ეკურთხა (978 წელს), ამიტომ მეფეთა ტიტულატურაში პირველი ადგილი „მეფე აფხაზთა“-მ დაიჭირა, შემდეგ „ქართველთა“-მ და ასე შემდეგ. ამიტომაც არის, რომ ქართულ (ქართლის ცხოვრების ავტორებთან[1] და სხვაგან) და უცხოურ წერილობით წყაროებში (ბიზანტიურ,[2] სპარსულ,[3]

---

[1] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 245; სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, იქვე, გვ. 382; დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითის, იქვე, გვ. 358; ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, იქვე, გვ. 369; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 38.

ნ. ლომოური, საქართველოს სახელწოდებანი ბიზანტიურ წყაროებში, კრებული, საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, გვ. 83-88.

[3] კ. ტაბატაძე, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XV სს-ის სპარსული წყაროების მიხედვით, დასახ. კრებული, გვ. 47–48.

არაბულ,[1] სომხურ[2] და რუსულ[3]) „აფხაზი“ ზოგადად „ქართველის“, ხოლო „აფხაზეთი“ „საქართველოს“ მნიშვნელობით გამოიყენება.[4] შესაძლოა იმიტომაც, რომ საქართველოს მიწაწყლის გაერთიანება მიმდინარეობდა „აფხაზთა“ სატახტო ქალაქ ქუთაისის ირგვლივ,[5] რომელიც საკმაოდ დიდხანს (1122 წლამდე) რჩებოდა გაერთიანებული საქართველოს სატახტო ქალაქად, ვიდრე დავით აღმაშენებელმა საქართველოს დედაქალაქად თბილისი არ გამოაცხადა.

როგორც აღნიშნავენ XI-XV სს-ში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფაში, „აფხაზეთის“ სახელი ამოვარდნილია, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ „ცხუმის საერისთავოს“ სახელი ფიგურირებდა.[6] თუმცა ამ მოსაზრებას, რომელიც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“-ში დაცული ერთი ნაკლულოვანი, – კ. კეკელიძის მიერ აღდგენილ ტექსტს ეფუძნება, მეცნიერთა ერთი ნაწილი არ იზიარებს. კ. კეკელიძემ თამარ მეფის ანონიმ ისტორიკოსთან დასავლეთ საქართველოს ერისთავებსა და საერისთავოებზე დაცული

---

[1] გ. ჯაფარიძე, ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებანი, დასახ. კრებ. გვ. 132-134; XIV-XV სს-ის არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩალეიშვილმა, თბ., 1988, გვ. 53-54; ვ. ბერაძე, მასალები XII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის იბნ-ისფანდიარის თხზულებაში, კრ. საქართველოს ისტორიის აღმოსავლური წყაროები, – წიგ. I, თბ., 1976, გვ. 10.

ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X-XII სს-ში, – მრავალთავი (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი), II, თბ., 1973, გვ. 176, 180, 187...; არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია ქართველთა, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით ე. ცაგარეიშვილის, თბ., 1974, გვ. 41-42, 46, 48, 50.

Г.Г. Паичадзе, Названия Грузии в русских письменных источниках, Тб., 1989, გვ. 11-60, იქვე სათანადო ლიტერატურა.

მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, გვ. 17.

ზ. პაპასქირი, აფხაზეთი საქართველოა, დასახ. გამოცემა, გვ. 123-124.

[6] მ. ლორთქიფანიძე, აფხაზეთი და აფხაზები, გვ. 18; З.В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии..., გვ. 177-178.

ნაკლულოვანი ცნობა ასე აღადგინა: „და ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნენ: ლიხთ იმერით: ბარამ ვარდანისძე – სვანთა ერისთავად, კახაბერი – რაჭისა და თაკუერის ერისთავად, დოთაღოდ შარვაშისძე – ცხუმის ერისთავად, ამნელისძე არგუეთის ერისთავად, და ოდიშის ერისთავად ბედიანი".[1] ეს ცნობა ასეთი შესწორებით შევიდა ს. ყაუხჩიშვილის გამოცემულ ქართლის ცხოვრებაში.[2] მეცნიერები რომლებიც არ იზიარებენ მითითებული ცნობის კ. კეკელიძისეულ რედაქციას ფიქრობენ, რომ აღსადგენ ტექსტში დასახელებული ცხუმის ერისთავი დოთაღოდ შარვაშიძე მიჩნეულ უნდა იყოს აფხაზეთის ერისთავად, ხოლო ამანელისძე, რომელსაც ტექსტში არ უჩანს საგამგეოდ საერისთავო, ცხუმის ერისთავად.[3]

„აფხაზთა მეფე" ლეონ II-ის მიერ დასავლეთ საქართველოს 8 (რვა) საერისთავოდ დაყოფის შედეგად, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე და იმერეთში ორ-ორი საერისთავო იყო თითოეულ მათგანში (ცხუმის და აფხაზეთის, ვაკე-იმერეთის ცენტრით – ქუთაისი და არგვეთის – ცენტრით შორაპანი), ხოლო გურიის, ეგრისის, სვანეთის და რაჭა-ლეჩხუმის მხარეებში თითო საერისთავო იყო დაწესებული.[4] აღსადგენ ტექსტში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ერთი საერისთავო (ცხუმის საერისთავო დოთაღოდ შარვაშიძის ხელისუფლებით) მაინც არის დაფიქსირებული, მაშინ, როცა გაცილებით დიდი მოცულობის რეგიონში, – იმერეთში, ერთი საერისთავოც არ არის დასახელებული, თავი

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 79.
ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 34.

[2] გ. ცქიტიშვილი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ერთი ადგილის წაკითხვისათვის, კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 222-227; ი. ანთელავა, საქართველოს საისტორიო წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ., 2002, გვ. 266-271; ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა... გვ. 20-21; მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003, გვ. 248; ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, გვ. 59-60.
ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 272.

რომ დავანებოთ გურიის მხარეს. ამიტომ სრულიად ბუნებრივად ჩანს მცდელობა, ამანელიძის გვარის გასწვრივ არსებული სიცარიელე ტექსტში შევსებულიყო იმერეთის რომელიმე მხარის (საერისთავოს) სახელით, თუნდაც კეკელიძისეული აღდგენით, არგვეთის საერისთავოთი. აქედან გამომდინარე მიუღებლად მიგვაჩნია დოთაღოდ შარვაშიძის ცხუმის ერისთავობიდან აფხაზეთის ერისთავად გადაადგილება ტექსტში, ხოლო ამანელისძის ცხუმის ერისთავად მიჩნევა.[1] თუნდაც მარტო იმიტომ, რომ აღსადგენ ტექსტში დოთაღოდ შარვაშიძე უკვე დასახელებულია ცხუმის ერისთავად.

თამარის ანონიმ ისტორიკოსთან, თამარის მეფობის პირველ ხანებში დასავლეთ საქართველოს საერისთავოების სიაში იმერეთის მოუხსენიებლობას ვახუშტი ბაგრატიონი იმით ხსნის, რომ იმერეთი (ორთავე საერისთავო იგულისხმება) თითქოს ამ დროს გაერთიანებულია ქართლის საერისთავოსთან, რატი სურამელის ერისთავობით. ვახუშტი წერს: „... ბარამ ვარდანისძე სუანთა; კახაბერი კახაბერისძე რაჭისა; დაღათო შარვაშიძე აფხაზთა; ამუნელისძე ცხომისა, ბედიელი ოდიშისა; ლიხთიმერ-ამერთა რატი სურამელი, ბაკურ ძაგანისძე კახეთისა; გრიგოლ ასათის ძე ჰერეთისა; ბოცო ჯაყელი სამცხისა და სპასალარი მუნებურთა სხუათა ერისთავთა“.[2] ვახუშტი ბაგრატიონი პირველი ისტორიკოსია, რომელიც მითითებულ ტექსტში დაღათო შარვაშიძეს ცხუმის ერისთავობიდან აფხაზეთის ერისთავად გადაანაცვლებს, ხოლო ამუნელისძეს ცხუმის ერისთავად მიუჩენს ადგილს. როგორც ითქვა, იმერეთის მხარეს ქართლთან ერთად ერთ საერისთავოდ წარმოგვიდგენს, თაკვერს და გურიას საერთოდ არ ახსენებს კონტექსტში. ამ შემთხვევაში, უარგუმენტოდ წარმოდგენილი ეს შესწორება, რა თქმა უნდა, ვერ ქმნის დამაჯერებელ შთაბეჭდილებას. თუკი, ლეონ II-ის დროიდან რვა საერისთავოდ დაყოფილ დასავლეთ საქართველოში, თამარის მეფობის პირველ ხანებში ხუთ საერისთავომდე (სვანეთის, რაჭა-თაკვერის, ცხუმის, ოდიშის და ამანელისძის საერისთავოთი) შემცირდა (ალბათ,

[1] ი. ანთელავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 269.
ქართლის ცხოვრება, IV, დასახ. გამოცემა, გვ. 172.

უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, გაერთიანების შედეგად გამსხვილდა) მათი რიცხვი, მაშინ, ჩვენი აზრით, ამანელისძე იყო მთელი იმერეთის ერისთავი, თაკვერი რაჭასთან გაერთიანდა, ხოლო გურიის ყოფილი საერისთავო ან ოდიშზე, ან იმერეთზე იყო მიერთებული. ქართლისა და იმერეთის ერთ საერისთავოში გაერთიანება კი არარეალურად მიგვაჩნია, როცა ამას ვამბობთ, ვითვალისწინებთ „ისტორიანი და აზმანის" ერთ ცნობას, სადაც წერია: „ვარდან დადიანი მსახურთუხუცესი... პატრონი... ლიხთიქით ნიკოფსიამდის უცილობლად ქონებისა".[1]

ვფიქრობთ, მართებული ჩანს აზრი იმის შესახებ, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ცხუმის საერისთავო ფუნქციონირებს. რაც შეეხება იმის ფიქრს, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე XI-XV სს-ში არსებობდა აფხაზური (აფსუური) რაიმე სახის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ერთგვარი ავტონომიის სახით, მით უფრო, სეპარატისტული განწყობილების მქონე ეთნო-პოლიტიკური ერთეული, როგორც ამას მიუთითებს ზოგიერთი მეცნიერი,[2] ყოვლად წარმოუდგენელია. ჩვენი აზრით, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, VI ს-ის 50-იანი წლებიდან, განსაკუთრებით VII ს-ის დასაწყისიდან მდ. კლისურა-კელასურიდან მდ. აქეუნტა-შახემდე, ჯიქების საზღვრამდე, „აფხაზეთი"-ს სახელის ქვეშ ძირითადად, ზან-სანიგების მოსახლეობა იგულისხმება[3] და არა აფხაზურ-აფსუური.

ცხუმის ერისთავის სტატუსი არაფრით არ განსხვავდებოდა დასავლეთ საქართველოს სხვა საერისთავოების სტატუსისაგან. ის დასავლეთ საქართველოს სხვა საერისთავოების მსგავსად, უშუალოდ საქართველოს მეფეს კი არ ექვემდებარებოდა, არამედ ის დამოკიდებული იყო ოდიშის ერისთავის, დადიანის ხელისუფლებაზე, რომელთაც ამავე დროს მსახურთუხუცესის თანამდებობა ეჭირათ საქართველოს სამეფო კარზე. XII ს-ის 80-იან წლებში, თამარის პირველი ისტორიკოსის („ისტორიანი და აზმანის"...)

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 49.

2 Ю. Н. Воронов, Абхазы – кто они, გვ. 23.

3 დ. ლეთოდიანი, აფხაზ-აბაზგების განსახლება..., დასახ. კრებული, გვ. 214-232.

ცნობით, ოდიშის ერისთავი „ვარდან დადიანი მსახურთუხუცესი... პატრონი ლიხთ-იქით ნიკოფსიმდის უცილობლად ქონებისა“.[1] დასავლეთ საქართველოს ყველა მხარე და ტომი უშუალოდ მას ემორჩილებოდა. ამავე დროს ისტორიკოსის ჩვენებით, საჭიროების შემთხვევაში, მას შეეძლო ყველა ისინი შემოეკრიბა თავის ირგვლივ. – „შეყარა ყოველი სვანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი, მომრთველმან სანიგთა და ქეშიგთამან აფიცა რუსისა გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყნისანი“.[2]

წყაროების ერთობლივი ჩვენებით, ქ. ცხუმი და მისი მიმდგომი მხარეები ქართველებით იყო დასახლებული. ცხუმი ქართული (სვანური) ტოპონიმია და რცხილას ნიშნავს. სოხუმი ცხომის თურქული ტრანსკრიფციაა.[3] ჯერ ცხუმის, შემდეგ (გვიან საუკუნეებში) „აფხაზეთის“ ერისთავები გვარად შარვაშიძეები იყვნენ. შარვაშიძეებს, მეცნიერთა ერთი ნაწილი შარვანშაჰთა საგვარეულო სახლის რომელიმე შტოს შთამომავლად მიიჩნევს.[4] გვიან საუკუნეების „აფხაზები“ (აფსუები) შარვაშიძეებს ქართველებად თვლიდნენ, ალბათ იმიტომ, რომ მათ ეთნო-კულტურული ქართველობა ბოლომდე შეინარჩუნეს.[5] შესაძლოა ეს გვარსახელი წარმომავლობითაც ქართული იყოს.[6] მართლაც აღსანიშნავია, რომ შარვაშიძე||შერვაშიძის მსგავს ძირიანი გვარსახელები და თვით შარვაშიძე//შერვაშიძე საკმაოდ არის გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: შარაშია (სამეგრელოში), შერვაშიძე

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 49.

იქვე.

მ. ლორთქიფანიძე, ეგრის-აფხაზეთი, საქართველოს ისტორია (სახელმძღვანელო), დასახ. გამოცემა, გვ. 211.

მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ტფ., 1895, გვ. 154; თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1965, გვ. 390. Д. Гулия, История Абхазии, Тифлис, 1925, გვ. 198, 208; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии,... გვ. 192.

ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, დასახ. გამოცემა, გვ. 616.

[6] მ. ლორთქიფანიძე, ეგრის–აფხაზეთი, საქართველოს ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 211.

(ზემო სვანეთში), შარვეშიანი||შავრეშიანი (ქვემო სვანეთში), შარვაძე (იმერეთში), შარვანაული (ხევსურეთში)[1]... მიმსგავსებული გვარები: შარაშენიძე, შარაძე და სხვა. ზოგ შემთხვევაში ადგილის სახელიც კი არის შარვაშიძეთა გვარიდან ნაწარმოები საქართველოს ზოგიერთ მხარეში, ამის შესანიშნავ მაგალითად მიგვაჩნია მესხეთში სამცხესა და ჯავახეთს შორის საზღვრად დასახელებული შარვაშეთის მთა[2].

ცხუმი იყო საქართველოს სამეფო სახლის ერთ-ერთი რეზიდენცია, უმნიშვნელოვანესი კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრი.[3] XIII-XIV სს-ში უცხოელი ავტორების გადმოცემით, ცხუმი და მისი მიმდებარე მხარეები ქართულია, ხოლო ცხუმი ტიპური ქართული ქალაქია. მთელი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია ცხუმის საერისთავოშია გაერთიანებული, ხოლო ცხუმის საერისთავო ოდიშის ხელისუფლების იურისდიქციაშია მოქცეული. XIV ს-ის არაბი ალ-მუჰიბის ჩვენებით, ოდიშის მთავარი გიორგი II (1345-1384) განაგებდა სუხუმსა და აბხაზს.[4] ამასვე ადასტურებს შიჰაბ ედ-დინ ალ-კალკაშანდის ენციკლოპედიაში დაცული ცნობაც.[5] გიორგი ბრწყინვალემ, როცა კვლავ აღადგინა საქართველოს მთლიანობა, „აფხაზეთი" ისევ ბედიელ-დადიანს გადასცა, – „ამისი მხილველნი დადიანი მამია და გურიელი და სვანთა ერისთავი და აფხაზეთისა შარვაშიძე მიერთნენ ნიჭითა დიდითა და დაულოცეს მეფობა იმერეთისა და ყოვლისა გიორგიისა. მერმე შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა მუნებურნი და დაიპყრნა ციხენი თჳსად და მისცა ცხომის საერისთაო ბედიელს, ვითარცა პირველ ცხომისა იყო",[6] აღნიშნავს ვახუშტი

---

[1] რ. თოფჩიშვილი, ეთნოისტორიული ეტიუდები, ნ. I, თბ., 2005, გვ. 232.

[2] ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 67-70.

[3] ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., I, დასახ. გამოცემა, გვ. 65.
XIV-XV სს-ის არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, დასახ. გამოცემა, გვ. 53.

[5] იქვე, გვ. 56.

[6] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 258.

ბაგრატიონი. XIV ს-ის ბოლოს ოდიშის მთავარი ვამეყ I დადიანი (1384–1396 წწ.), თავის სახელზე მონეტებს ჭრიდა ცხუმში.[1]

ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გენუელთა ფაქტორიებისათვის 1318 წელს სებასტოპოლ-ცხუმში დაინიშნა პირველი კათოლიკე ეპისკოპოსი ბერნარ მეორე. მის შემდეგ კი ეპისკოპოსად პიეტრო გერალდი იყო. ის იწოდებოდა ქვემო საქართველოს (იბერიის) ეპისკოპოსად, მისი რეზიდენცია ცხუმში იყო. ცხუმში იყო, აგრეთვე, ქართველ მართლმადიდებელთა საეპისკოპოსო კათედრა. პიეტრო გერალდის ცნობით (1330 წ.) ცხუმში ცხოვრობდნენ მხოლოდ ქართველები, მაჰმადიანები და ებრაელები, რომელთაც დაპირისპირება მოუხდათ კათოლიკებთან, სასაფლაოს გამიჯვნის თაობაზე.[2] XV ს-ის პირველ ნახევარში, ვენეციელი მოგზაურის იოსაფატო ბარბაროს ცნობით სებასტოპოლ-ცხუმი დადიანის ციხესიმაგრეა. მისივე გადმოცემით სამეგრელოს საზღვარი ჩერქეზეთამდე აღწევს.[3] ამასვე ადასტურებს ორი იტალიური რუკა, ერთი შედგენილი ბენიკოზის (1480 წ.), ხოლო მეორე ფრედუჩია მიერ (1497 წ.). ორივე რუკაზე მდ. კელასურის შესართავთან დატანებულია პუნქტი სამეგრელოს პორტი – Porto Mengrello.[4]

ასეთი ფაქტობრივი მასალის გამრავლება კიდევ უფრო შეიძლება, მაგრამ (ქართული და უცხოური) წყაროების აქ მოხმობილი და სხვა არაერთი ასეთი მონაცემი, კარგად არის ცნობილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში და სათანადოდ შესწავლილ-შეფასებულია. წყაროების მონაცემებიდან კარგად ირკვევა, რომ

---

[1] Д. Капанадзе, Грузинская нумизматика, М., 1955, გვ. 97; З. В. Анчабадзе, Из истории ..., გვ. 240.

ვ. კიკნაძე, ლათინური წყარო XIV ს. საქართველოს შესახებ, თსუ შრომები, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის... სერია, ტ. 243, თბ., 1983, გვ. 102–103; ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, თსუ შრომები, ისტორიის..., ტ. 310, თბ., 1992, გვ. 52–53.

XV ს-ის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981, გვ. 55.

Ф. Брун, Черноморье, т. II, Одесса, 1880; გ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., დასახ. გამოცემა, გვ. 49.

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, გაერთიანებული საქართველოს პერიოდში (XI-XV სს-ში), არ შეცვლილა არც ეთნოპოლიტიკური, არც სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული სურათი. როგორც ფიქრობენ, XIV-XV სს-ში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე (დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე) არ არსებობდა ოდიშის სამთავროსაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, ის უშუალოდ შედიოდა ოდიშის სამთავროში.[1] ვახუშტი ბაგრატიონის და ბერი ეგნატაშვილის მონაცემების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მეცნიერები უფრო აკონკრეტებენ სად ემიჯნებოდა უშუალოდ ოდიშის სამთავროსა და აფხაზეთის საზღვრები ერთმანეთს და რა დამოკიდებულებაში იყო აფხაზთა ერისთავი შარვაშიძე დადიანთან XV ს-ის მეორე ნახევარში. ვახუშტი აფხაზეთის საერისთავოს საზღვრებს ასე შემოხაზავს: „... ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიიდამ ჩამოსული ზღუამდე; დასავლით ზღუა და კაპპეტის მდინარე. არამედ სხუანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღუამდე; ჩრდილოთ მზღვრის მთა კავკასი, სამჴრით ზღუა შავი. სიგრძე ამისი არს ანაკოფიიდამ კაპპეტის მდინარემდე ანუ ზღუამდე; განი ზღჳდამ კავკასიის თხემამდე".[2] ხოლო ოდიშის საზღვარი აფხაზეთთან „დასავლით ზღუა შავივე და კუალად ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიიდამ ჩამოსული სამჴრით ზღუამდე".[3]

ხოლო ბერი ეგნატაშვილის ცნობით, „დადიანს ეპყრა ცხენისწაყლის ჩაღმართი, ლეჩხუმის ქვემოთი, სუანეთის მთის გარდმოღმართი, აფხაზეთის ზემოთი, და აფხაზეთი ჯიქებამდის შარვაშიძეს ეპყრა, და ესე შარვაშიძე ემორჩილებოდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა".[4] ე. ი. გამოდის, რომ აფხაზეთის ზემოთი უშუალოდ შედიოდა ოდიშის სამთავროში, ხოლო დანარჩენი აფხაზეთის (შარვაშიძის საბრძანებლის) და ოდიშის

---

[1] ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, დასახ. გამოცემა, გვ. 50.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 784.

[3] იქვე, გვ. 776.
ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 349.

საზღვარი, ზ. ანჩაბაძის აზრით, ერთმანეთს მდ. ბზიფზე ემიჯნებოდა.[1] ნაწილი მეცნიერები, ეყრდნობიან-რა ვახუშტის ჩვენებას, ოდიშისა და აფხაზეთს შორის საზღვარს ანაკოფიასთან, მდ. ფსირცხაზე დებენ.[2] მდ. ფსირცხას დასავლეთი ჯიქებამდის შარვაშიძეს ეპყრა და დადიანის ვასალი იყო, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი ოდიშის სამთავროს საკუთრებას წარმოადგენდა.[3]

4. აფხაზეთი XVI-XVIII სს-ში

მე-15 საუკუნე მეტად მძიმე აღმოჩნდა საქართველოსათვის. თემურ ლენგის დამანგრეველი ლაშქრობების შეწყვეტას მალევე მოყვა თურქმანული ტომების გამუდმებული თავდასხმები, რომელთანაც ბრძოლებს საქართველოს ორი მეფე: გიორგი VII (1407 წ.) და კონსტანტინე I (1412 წ.) შეეწირა. მომდევნო წლებში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან თურქ-ოსმალეთის ძლიერი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სეფიანთა ირანის აგრესიული სახელმწიფოები გაუმეზობლდა, რომლებიც ერთმანეთს საქართველოს დასაპყრობადაც ეცილებოდნენ. გამუდმებულ ომიანობაში ჩაბმული საქართველო გაჩანაგდა ეკონომიკურად და დაუძლურდა პოლიტიკურად. დასუსტებული ცენტრალური ხელისუფლება ვეღარ უწევდა დროულად მტრებისაგან შევიწროებულ ცალკეულ რეგიონებს სათანადო დახმარებას, ვერც თავგასულ დიდი პროვინციების მმართველებს უზღუდავდა განკერძოებით მისწრაფებებს. ქვეყანა ანარქიამ მოიცვა. მე-15 საუკუნის ბოლოს ერთიანი საქართველო სამ სამეფოდ (ქართლის,

---

[1] З. В. Анчабадзе, Из истории ..., გვ. 240; Очерки истории Абхазской АССР, I, გვ. 90.

ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 58; თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფია, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, კრებული, ტ. III, თბ., 1967, გვ. 171; ზ. პაპასქირი, ნარკვევები..., გვ. 96.

ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 57-58; ზ. პაპასქირი, ნარკვევები..., I, გვ. 95-96; შეად. თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

კახეთის და იმერეთის) და ერთ სამთავროდ (სამცხის) დაიშალა. შემდეგ ხანებში კიდევ უფრო გაღრმავდა ქვეყნის ფეოდალური დაქუცმაცებულობა. ასეთ ვითარებაში ჩავარდნილ საქართველოს აღარ შესწევდა იმის უნარი, რომ მუდმივად ეკონტროლებინა და მუდმივად ჩაკეტილი ჰქონოდა ჩრდილოკავკასიიდან გადმოსასვლელები. ამით გათამამებული ჩრდილოკავკასიელი მთიელები, პირველ ხანებში ძარცვისა და ტყვეების ხელში ჩაგდების მიზნით, წვრილ-წვრილ ლაშქრობებს აწყობდნენ საქართველოზე, ხოლო შემდეგ იწყებენ ჩამოწოლა-ჩამოსახლებას. XVII ს-ში უკვე გაჩნდა ჩრდილოკავკასიელთა დასახლებები: დასავლეთ საქართველოში (დღევანდელ აფხაზეთში) აბაზ-აფსუა-ადიღეელების,[1] კახეთში (საინგილოში) დაღესტნელთა, ხოლო შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა. XVIII ს-ის დიდებული ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, მისთვის ჩვეული ოსტატობით აღწერდა საქართველოს იმდროინდელ ტრაღიკულ მდგომარეობას. „თურქი,სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი, სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა, თვითო ქიშტი".[2]

როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, XVI ს-ის მთელ სიგრძეზე „აფხაზეთი" კვლავ ოდიშის სამთავროს იურისდიქციაშია მოქცეული.[3] ამის ნათელ დადასტურებად, მეცნიერებს მიაჩნიათ ის, რომ გაძლიერებული ოდიშის მთავარი მამია II დადიანი (1512-1533) ბიჭვინთის ახლო-მახლო სოფლებსაც-კი, როგორც თავის საკუთრებას, ისე სწირავს „აფხაზეთის საკათალიკოსოს". მამია II თავის გაცემულ სიგელში წერს: „კუალადცა გკადრეთ და მოგაჴსენეთ ჩუენ დადიანმან პატრონმან მამიამან და ძემან ჩუენმან პატრონმან ლეონ დადიანმან და ძეთა ჩუენთა დადიანმან პატრონმან გიორგი და დადიანმან პატრონმან მამია თქუენ, საშინელსა ბიჭჯნტისა ღმრთისმშობელსა.

---

[1] გ. გასვიანი, აფხაზეთი (ძველი და ახალი აფხაზები)..., გვ. 31, 45, 49, 55 და სხვა; ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 132-140. ქართული მწერლობა, VII, თბ., 1989, გვ. 374.

[2] З. В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 258; И. Г. Антелава, Очерки по истории ..., გვ. 27-28; ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 59.

მათხოჯის სასახლე და მონასტერი, ორმოცის კუამლის კაცითა და ერთის აზნაურის-შვილითა რატიანითა, წყლითა, ველითა, სანადიროთა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა; ჯიქთუბანი მთავარანგელოზის მონასტერი, თორმეტის კვამლის კაცითა; ეგურისპირს ნაჟანეო, სამოცის კუამლის კაცითა; ხოირს წმიდის გიორგის ეკლესია, ოცდახუთის კუამლის კაცითა, ნამხარს გამკერვალია; სასახლე სუბეში; სოფელი მუხური, აზნაურის-შვილებითა, ოცდაათის კუამლის კაცითა; ტყაურს მეთევზე და მენავტე შამიგია ჭუჭურია და დათია; მარმარისკარს ეგკპტია და ჩხუნბურია; აგრეთვე აფხაზეთის ბიჭვნტას გარემო სოფელი აითარნე, არუხა და რაბიწა, აითარნეს მთა ზეთის ხილოვანი".[1] მართებულად შენიშნავენ, რომ სიგელს, როგორც წესი, აახლებენ და ამტკიცებენ მისი მემკვიდრეები: ლევან I დადიანი (1539-1572), გიორგი III დადიანი (1572-1582) და მამია IV დადიანი (1582-1590). ყოველივე ეს, როგორც ითქვა, იძლევა იმის საფუძველს, რომ მთელი XVI საუკუნის განმავლობაში „აფხაზეთად" წოდებული მხარე ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში ვიგულოთ.[2]

მეცნიერების ერთი ნაწილის აზრით, XVII ს-ის დასაწყისიდან (10-იანი წლებიდან) „აფხაზთა ერისთავმა" შარვაშიძემ, ისარგებლა-რა ოდიშის გართულებული მდგომარეობით (თურქებთან გამწვავებული ურთიერთობით), გამოეყო ოდიშის სამთავროს და „აფხაზეთი" დამოუკიდებელ სამთავროდ გამოაცხადა, ადმინისტრაციული ცენტრით ლიხნი (ზუფუ).[3] მეცნიერთა გარკვეულ

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო, ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 179.

И. Г. Антелава, Очерки по истории..., გვ. 27-28; З. В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 258; ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ..., გვ. 59.

И. Г. Антелава, Очерки по истории..., გვ. 28; З. В. Анчабадзе, Из истории..., გვ. 261-262; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 288; გ. ჯამბურია, დასავლეთ საქართველო XVII ს-ის პირველ მესამედში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 297; ირ. ანთელავა, ზ. ანჩაბაძე, აფხაზთა სამთავრო, ქართული საბჭ. ენციკლოპედია, II, გვ. 31.

ნაწილს მიაჩნია, საკმაო არგუმენტაციის საფუძველზე, რომ XVII ს-ის პირველ ნახევარში, ლევან II-ის მთავრობის პერიოდში (1611-1657 წწ-ში), ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში რჩებოდა დღევანდელი აფხაზეთის მნიშვნელოვანი ნაწილი.[1]

ჯერ კიდევ 1630 წელს, იტალიელი მისიონერი, ჯოვანი ჯულიანო და ლუკას ცნობით, სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის საზღვარი გადიოდა მდ. აბსეზე,[2] მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, იგივე ბესლეთზე.[3] ოდიშის სამთავრომ ლევან II დადიანის მთავრობის დროს თავისი პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების ზენიტს მიაღწია. დასავლეთ საქართველოში გაჩაღებული შინაფეოდალურ ბრძოლებში ჰეგემონობა მოიპოვა და ანგარიშგასაწევ ძალად იქცა მეზობელი სახელმწიფოებისათვის.[4] ლევან მეორეს გამძაფრებული ბრძოლები უხდებოდა მოზღვავებული აბაზ-ადიღეური ტომების წინააღმდეგ. მან ორჯერ დალაშქრა XVII ს-ის 20-30-იან წლებში აფხაზ-აფსუები.[5] ამ ლაშქრობების შესახებ თვითონ იუწყება ილორის წმინდა გიორგის ხატზე შესრულებულ წარწერაში: „ჩუენ ცვა-ფარვითა შენითა მონდომილმან და მოსავმან შენმან ჴელმწიფემან, დადიანმან, პატრონმან ლევან, ძემან ჴელმწიფისა მანუჩარისამან... მას ჟამსა ოდეს მიუჴედით შარვა-

---

[1] Д. Л. Мусхелишвили, Исторический статус Абхазии в грузинской государственности, – Разыскания по истории Абхазии/Грузия, Тб., 1999, გვ. 133; ა. ტულუში, აფხაზეთის სამთავროს წარმოქმნის საკითხისათვის, გაზ. საქართველო, 1999, №19, 12-19 ივნისი; ნ. ჯიქია, აფხაზეთის სამთავროს წარმოქმნის საკითხისათვის, – საისტორიო ძიებანი, წელიწდეული, IV, თბ., 2001, გვ. 120-141; ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე..., გვ. 97-98. შეად. Т. Берадзе, Этнополитические процессы на территории современной Абхазии в XI-XV вв. – Разыскания по истории Абхазии/Грузия, გვ. 209.

[2] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. III, თბ., 1987, გვ. 157.

[3] ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 94-95; ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე..., გვ. 97; შეად. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და ნიგნთსაცავებში, ტ. III, გვ. 157, იხ. შენიშვნა.
ილ. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 33.

[5] И. Г. Антелава, Очерки по истории..., გვ. 95. ბ. ხორავა, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

შიძესა ზუფუს მუწუს წყალსა აქათ, ავაოჴრეთ, კიდევ მეორედ მიუჴედით ზუფუს კაპოეტის წყალს აქათ, სრულებით დავსწვით და ავაოჴრეთ და სადაცა სიმაგრე იყო ავიღეთ და გავაცუდეთ და კაპოეტის წყალზე შემოგუებნეს ზუფუარი და სიხუარი მარშანიები და გაგვემარჯუა და დავჴოცეთ, ზოგი ჴელთ დაგვრჩუა და გამარჯვებულნი მოვედით".[1] ლევან II დადიანის აფხაზეთში ლაშქრობებსა და მის შედეგებზე მიუთითებენ, როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები.

„... დადიანმან ლევან, განაწყო სპანი და მოიწყნა აფხაზნი, ვიდრე დაპყრობამდე",[2] წერს ვახუშტი ბატონიშვილი. ბერი ეგნატაშვილის გადმოცემით „... და იყო დადიანი მდიდარი ფრიად და მორჩილებდნენ სრულიად აფხაზნი და შარვაშიძენი ყმობდნენ და ულაშქრებდნენ დადიანსა".[3] არქანჯელო ლამბერტის ცნობით, სამეგრელოს მთავარმა დალაშქრა და მოარბია აფხაზეთის მოსახლეობა, ბევრი ტყვე და ნადავლი იგდო ხელთ და აიძულა ისინი ხარკი ეძლიათ მისთვის.[4] ქრისტოფორო კასტელის ცნობა კი იმით იქცევს ყურადღებას, რომ ლევან II-ემ ერთი და ორი ლაშქრობით კი არ დაიმორჩილა აფხაზები, არამედ ხშირი თავდასხმებით შეძლო ეს, მისი გადმოცემით აფხაზები განსახლებულნი იყვნენ „მკაცრ და მივუალ მთებში. ამის გამო დადიანს არ შეეძლო ცეცხლითა და მახვილით შესეოდა მთაგორიან მხარეს და ამიტომ მრავალი წლის განმავლობაში მისი მცირე რაზმები აფხაზებს ესხმოდნენ და ზიანს აყენებდნენ. რადგან ამ მთის ხალხმა ბევრი ნაკლოვანება ვეღარ დაითმინა, გადაწყვიტა მძიმე უღლის ქვეშ ყოფნა".[5] კასტელის ეს ცნობა იმის უარყო-

---

[1] კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ენიმკის მოამბე, XII, თბ., 1942, გვ. 157.

ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 828.

ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 421.

არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ა. ჭყონიასი, მეორე გამოცემა, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938, გვ. 22.

დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 51.

ფას როდი წარმოადგენს, რომ ლევან II-ემ აფხაზების და საერთოდ აბაზ-ადიღელების მოსახლეობის წინააღმდეგ მოაწყო ორი დიდი ლაშქრობა, არამედ ავსებს მითითებული სხვა წყაროების მონაცემებს და უფრო სრულ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ როგორი განუწყვეტელი ბრძოლები უხდებოდა მას აფხაზების დასამორჩილებლად და მისი მონათესავე ტომების შესაკავებლად. მიუხედავად ლევან დადიანის აქტიური მოქმედებებისა, ის XVII ს-ის 50-იანი წლებიდან იძულებული შეიქმნა, აბაზ-ადიღელების საწინააღმდეგოდ, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის ეზრუნა. მან პრევენციულ ღონისძიებებს მიმართა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ამ მიზნით მდ. კელასურის შესართავიდან ააშენა თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც კელასურის კედლის სახელითაა ცნობილი. ლევან II-მ ეს კედელი თვითონ ააშენა, თუ ძველი აღადგინა და განაახლა, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ამ შემთხვევაში, მთავარია ის, თუ რა მიზნით ააგო, თუ აღადგინა ეს კედელი,[1] ეს კი მან, როგორც ვახუშტი იტყოდა: „ანაკოფიის აღმოსავლით ზღუდამ მთამდე შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსვლელობისათვის".[2] ვახუშტი ბაგრატიონის ამ ცნობას უცხოელი ავტორებიც ადასტურებენ. ჟან შარდენის გადმოცემით სამეგრელო „აფხაზებისაგან" ჩრდილოეთის მხრიდან დაცული იყო სამოცი მილის სიგრძის კედლით.[3] არქანჯელო ლამბერტის ცნობით: სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთით „მთები გაშლილია და მტერს ადვილად შეეძლო აქედან შემოსელა და ქვეყნის აოხრება, – დიდი ხარჯით ამოუყვანიათ კედელი სიგრძით სამოცი ათასი ნაბიჯი და კედელში აქა-იქ აუშენებიათ კოშკე-

---

[1] მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი..., გვ. 23; ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 96-97; შეად. З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии..., გვ. 266; М. М. Гунба, Келасурская стена, Известия Абхазского института языка литературы и истории им. Д. Гулия, т. VI, Тб., 1977.

[2] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 782.

[3] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთის და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 107.

ბი, რომლებშიც დგანან თოფებით შეიარაღებული მცველები".[1] ა. ლამბერტს თავის წიგნში, სამეგრელოს აღწერა, დაცულ რუკაზე აღნიშნულ თავდაცვით სიმაგრეთა სისტემაზე გაკეთებული აქვს წარწერა: „კედელი აფხაზთა შემოსევების წინააღმდეგ".[2] ანალოგიური წარწერა აქვს გაკეთებული კასტელს „კოლხეთის, ანუ სამეგრელოს რუკაზე" (1654 წ.), იმ ადგილზე, სადაც კედელია ჩახატული აწერია: „აფხაზთა შემოსევების წინააღმდეგ აგებული 60 მილის სიგრძის კედელი".[3]

მიუხედავად ლევან II-ის მიერ გატარებული საგანგებო ღონისძიებებისა, მაინც ვერ მოხერხდა აფხაზ-აფსუების და მათი მონათესავე ტომების საბოლოო შეკავება. თუ XVII ს-ის 30-40-იან წლებში სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ბესლეთზე გადიოდა, XVII ს-ის 50-იან წლებში მდ. კელასურზე გადმოინაცვლა.[4] ლევან II-ის გარდაცვალების შემდეგ გამთავრებული ვამეყ III (1657-1661 წწ.) და ლევან III (1661-1681 წწ.) დადიანები პირველ ხანებში ინარჩუნებდნენ აფხაზეთის სამთავროზე გავლენას, – რეალურად და ძირითადად აფხაზეთის იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ ოდიშის სამთავროს ესაზღვრებოდა.[5]

პავლე ალეპოელი, რომელიც ოდიშში 1664-1666 წწ-ში თავის მამასთან, მაკარი ანტიოქიელთან ერთად იმყოფებოდა, აფხაზებზე წერდა: „აფხაზნი ორი სახელმწიფოა, ერთი მათგანის მცხოვრებნი, დადიანის ქვეშევრდომები, ქრისტიანებად იწოდებიან, თუმცა არ არიან მონათლულნი. ისინი ეთაყვანებიან წმინდა ხატებს და პატივს სცემენ ეკლესიებს. მოუნათლავნი კი იმიტომ არიან, რომ არ ჰყავთ მღვდელმთავარი და მღვდელმსახურნი. მეორე სახელმწიფოს მცხოვრებნი ურწმუნოები არიან, მათ მახლობლად ცხოვრობენ ალანები, აბაზები, ზიხები, ჩერქეზები... ისინი სამე-

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა ..., გვ. 166.

იქვე.

დონ ქრისტოფორო დე კასტელი, დასახ. გამოცემა, გვ. 524.

თ. ბერაძე, ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, IV, თბ., 1971, გვ. 66-77; ბ. ხორავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

ბ. ხორავა, დასახ. ნაშრ. გვ. 104.

გრელოს დაუძინებელი მტრები არიან, იტაცებენ და ატყვევებენ მეგრელებს".[1] ალეპოელის ეს ცნობა კარგად მეტყველებს იმაზე, თუ როგორი აგრესიულობით გამოირჩევიან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელი ტომები დასავლეთ-საქართველოს მოსახლეობისადმი, თუ როგორ არის უკვე აფხაზეთში ქრისტიანობა მინავლებული და წარმართობა აღორძინებული, როგორ შესუსტდა ოდიშის გავლენა აფხაზეთზე, რაც მთიელი ტომების ჩამოწოლის შედეგი უნდა ყოფილიყო. ოდიშის მთავარმა აფხაზეთის მხოლოდ ერთ ნაწილზე შეინარჩუნა გავლენა, კერძოდ, უშუალოდ ოდიშის მოსაზღვრე ნაწილზე (სოლომონ შარვაშიძის სამფლობელოზე).[2]

ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ, შინა ფეოდალურ და ოსმალებთან ბრძოლებში ჩაბმული ოდიშის სამთავრო საგრძნობლად დასუსტდა, როგორც ეკონომიკურად, ისე სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობით, მნიშვნელოვნად შეთხელდა ადგილობრივი მოსახლეობა. ოდიშში შექმნილმა ვითარებამ ხელფეხი გაუხსნა აბაზ-ადიღელებს, მათ კიდევ უფრო მეტად გააძლიერეს თავდასხმები დასავლეთ საქართველოს პროვინციებზე. დაშლილ-დაქუცმაცებულ საქართველოში ერთადერთი შემაკავებელი ძალა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური მთიელი ტომების ჩამოწოლა-ჩამოსახლების საპირისპიროდ ოდიშის სამთავრო იყო. აფხაზ-აფსუები და სხვა მათი მონათესავე ტომები უფრო მოიწევდნენ დღევანდელი აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მიწა-წყალზე. მათი თავდასხმების შედეგად საბოლოოდ მოიშალა ლევან II-ის მიერ ოდიშის ჩრდილო-დასავლეთით, საგანგებოდ აგებული თავდაცვითი ზღუდეები. თითქოს 1672 წლისათვის, ოფიციალურად მდ. კლისურა ითვლებოდა აფხაზ-(აფსუების) და ოდიშს შორის საზღვრად, მაგრამ სინამდვილეში უკვე მოშლილი იყო კლისურის ზღუდე. ჟან შარდენი, რომელიც ამ დროს თეათინელ მისიონერ იოზეფ მარია ძამბთან ერთად იმყოფებოდა სამეგრელოში,

---

[1] მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა, თბ., 1979, გვ. 35.

ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 104.

წერდა: „ძველად იგი (სამეგრელო) აფხაზებისაგან ჩრდილოეთის მხრიდან დაცული იყო სამოცი მილის სიგრძის კედლით, მაგრამ ეს კედელი დიდი ხანია, რაც დაინგრა, დღეს მისი მცველი და მფარველი არის ტყე".[1] შარდენისვე გადმოცემით ამ დროისათვის უკვე ოდიშის სამთავროს აფხაზეთისაგან მდ. კოდორი ჰყოფს „... ძველი ისტორიკოსების მიხედვით, ცნობილი მდინარეები, რომლებიც დღეს კოდორისა და რიონის სახელწოდებით არიან ცნობილი, პირველი გამოყოფს მას აფხაზეთისაგან, მეორე კი იმერეთისაგან".[2]

მე-17 ს-ის 60-იანი წლებიდან აფხაზ-აფსუები არა მარტო მათ მოსაზღვრე ოდიშის ზღვისპირა რაიონებს არბევდნენ, არამედ დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებზეც ანხორციელებდნენ თავდასხმებს ძარცვა-რბევის მიზნით. გიორგი III გურიელის გურიაში მთავრობისას (1664-1684 წწ-ში) არაერთხელ დასხმიან თავს აფხაზები გურიას, მაგრამ ვახუშტის გადმოცემით „... ამან მოსრა მეკობრედ მოსრულნი აფხაზნი გურიას მრავალგზის".[3] იტალიელი მისიონერი იოზეფ მარია ძამპი, XVII ს-ის 70-იან წლებში, ვიდრე იტალიაში ჩავიდოდა, რომში გაგზავნილი წერილით იტყობინებოდა, რომ სამეგრელო განადგურების პირასაა მისული, მუდამ შიშში არიან აფხაზების თავდასხმებისაგან, მათი შიშით ხალხთან ერთად პატრებიც გახიზნული არიან ტყეში, 1679 წელს კი რომში ჩასული ძამპი წერდა: „ჩვენი მოციქულებრივი მოღვაწეობა დღითი-დღე მომეტებულს ნაყოფს გამოიღებდა, რომ ამ მთავრის მტრები და სამეგრელოს მოსაზღვრე ხალხი, როგორიც არიან ალანები, ჩერქეზები, ჯიქები, აფხაზები და სხვა, ამ ქვეყანას მუდამ არ იკლებდნენ და ერს და პატრებს არ აწუხებდნენ".[4] ამავე დროისათვის ასეთივე სურათს იძლევა იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა ჯერ 1658-1659, ხოლო შემდეგ 1681 წლებში. ის წერდა: „ბრმა

---

[1] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის..., გვ. 107.

იქვე.

ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 840.

მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 204-205, 207.

ბაგრატისაგან (იმერეთის მეფე ბაგრატ IV) შეურაცხყოფილი დადიანი ისეთი უძლური იყო, რომ აბაზგებმა გაანადგურეს მისი სამფლობელო, აიკლეს ეკლესიები და მონასტრები: მოქვი, ხოფი, ქიაჩი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე და ფაზისამდე".[1] XVII ს-ის 60-70-იან წლებში აფხაზების გამუდმებულ ლაშქრობებს ოდიშზე ხელმძღვანელობდა აფხაზების მთავარი საუსტან (ბაგრატ) შარვაშიძე.[2]

XVII ს-ის 70-იანი წლების მიწურულს, აფხაზების პერმანენტული შემოსევების შედეგად, სამეგრელო კარგავს თავისი ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, მდ. კელასურიდან მდ. ეგრისწყალ-ღალიძგამდე, „... გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღვსწერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ჴმელითა და სტყუევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, დაეშენებოდნენ თჳთ აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი",[3] – წერს ვახუშტი ბაგრატიონი. როგორც ვახუშტი იუწყება, არა მარტო ძარცვავდნენ და ატყეევებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას აფხაზები, არამედ სათავისოდ იჭერდნენ მათ მიწა-წყალს, სახლდებოდნენ და მკვიდრდებოდნენ იქ. მართებულად შენიშნავენ, რომ, როცა XVII ს-ის 60-იან წლებში მაკარი ანტიოქიელი იმყოფებოდა ოდიშში, მოქვისა და დრანდის საეპისკოპოსო ცენტრები მოქმედნი იყვნენ,[4] მაგრამ 70-იან წლებში აფხაზების შემოსევების შედეგად მათი ფუნქციონირება შეწყდა.

ლევან III დადიანის გარდაცვალების (1681 წ.) შემდეგ კიდევ უფრო გაუარესდა სამეგრელოს პოლიტიკური მდგომარეობა. ოდიშის სამთავროს ტახტის დასაუფლებლად ერთმანეთს ეცილებოდნენ ჯერ კაცია ლიპარტიანი-ჩიქოვანი, ხოლო 1681 წლი-

---

[1] Путешествие патриарха Досифея с религиозным и политическим состоянием Грузии до XVII века, М. Селезнев, Руководство к познанию Кавказа, кн. I, СПб, 1847, გვ. 46; ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 111.

[2] იქვე.
ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 845.
ბ. ხორავა, დასახ. ნაშრ. გვ. 112.

დან მისი შვილი გიორგი, გურიის მთავარი გიორგი III და სორეხ საუსტანის ძე შარვაშიძე. სორეხ საუსტანის ძის პრეტენზიას დადიანობაზე შესაძლოა საფუძველს უმაგრებდა სადადიანოს სახლთან მისი დედის მხრიდან ნათესაობა.[1] გიორგი III გურიელმა, იმ მიზნით, რომ თავისი საწადელისათვის მიეღწია, სასიკვდილოდ გაიმეტა თავის სამთავროს კარზე ტყვედ მყოფი ოდიშის მთავრის კანონიერი მემკვიდრე მანუჩარ ლევან III-ის ძე. 1681 წლის შემოდგომაზე ოდიშში ლაშქრით შეიჭრა სორეხ შარვაშიძე და თავი მის მთავრად გამოაცხადა. მის პრეტენზიას ოდიშის დიდებულების მნიშვნელოვანმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა. 1683 წელს გიორგი ლიპარტიანმა მოახერხა ლევან III-ის უკანონო შვილის ლევანის გამთავრება ოდიშში, რომელიც ამ დროს ახალციხის საფაშოში იმყოფებოდა.[2] ლევან III-ის ძის ლევან IV-ის ხელისუფლება ნომინალურად მაინც გავრცელდა სამეგრელოზე, გარდა, მდ. ენგურის ჩრდილო-დასავლეთისა, რომელიც სორეხ შერვაშიძეს ეპყრა.[3] მდ. ეგრისწყალ-ღალიძგასა და მდ. ენგურს შორის ტერიტორია სორეხ შარვაშიძეს ეჭირა, მაგრამ ის აფხაზეთად არ იწოდებოდა, რადგან სორეხი თავის თავს სამეგრელოს მთავარს უწოდებდა, ხოლო ეს ტერიტორია სამეგრელოს ნაწილს წარმოადგენდა, გარდა ამისა, სორეხი აფხაზთა მთავარს ზეგნაყ შარვაშიძეს არ ემორჩილებოდა.[4] სორეხის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული ტერიტორია შეიერთა აფხაზეთმა, ხოლო როცა ზეგნაყ შარვაშიძე გარდაიცვალა, მისმა სამმა ვაჟიშვილმა, როსტომმა, ჯიქეშიამ და ყვაპუმ მდ. ენგურსა და მდ. ბზიფს შორის მდებარე ტერიტორია გადაინაწილეს.[5] როსტომს წილად ხვდა აფ-

---

[1] ბ. ხორავა, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

იქვე, გვ. 144.

იქვე, გვ. 115; შეად. გ. ჯამბურია, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს-ის 80-90-იან წწ-ში, დასახ. გამოცემა, გვ. 354.

ბ. ხორავა, დასახ. ნაშრ., გვ. 116.

З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии..., გვ. 270-271; И. Г. Антелава, Очерки по истории Абхазии..., გვ. 37; მისივე, Политическая жизнь в Абхазии в XVI-XVIII вв. გვ. 122. ი. ანთელავა, ზ. ანჩაბაძე, აფხაზეთის სამთავრო, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, II, გვ. 31; ბ. ხორავა, დასახ. ნაშრომი. გვ. 116.

ხაზთა მთავრის ტიტული და მდ. ბზიფსა და მდ. კოდორს შორის მდებარე მიწა-წყალი, ჯიქეშიას მდ. კოდორსა და მდ. ღალიძგას შუა ტერიტორია, რომელსაც აბჟუა ეწოდა, ყვაპუმ კი მიიღო ტერიტორია მდ. ღალიძგიდან მდ. ენგურამდე, რომელსაც შემდეგ სამურზაყანო უწოდეს, მისი მემკვიდრე მურზაყან შარვაშიძის სა-პატივცემულოდ.[1] ყვაპუს როსტომ აფხაზთა მთავრის სამფლობე-ლოდან, მისი ნებართვით, მერმინდელ სამურზაყანოში აფხაზთა თავადაზნაურობის ნაწილი გადმოუსახლებია, თუმცა მოსახლეო-ბის ძირითად ნაწილს შემდეგშიც ქართველობა შეადგენდა.[2]

1702 წელს გიორგი ლიპარტიან-დადიანს გიორგი აბაშიძი-სათვის, თავისი სიმამრისათვის, იმერეთის ფაქტობრივ მმართ-ველისათვის დახმარება უთხოვნია აფხაზთა მთავრის წინააღ-მდეგ „... რამეთუ მიეღოთ აფხაზთა ეგრისის მდინარემდე და აოჴრებდნენ ოდიშს კვლვითა და ტყუეობითა. უსმინა აბაშიძემ, შემოიკრიბნა სპანი იმერთა, წარვიდა და შთავიდა აფხაზეთს. ვერ წინააღუდგა შარვაშიძე, მოსტყუევნეს აფხაზეთი, აღიღო ალაფი დიდი, დააზავა ლიპარტიანი და შარვაშიძე, გამოუხუნა ქვეყანა მიღებული და მძევალნი, და მერე წამოვიდა და მოვ-იდა იმერეთსავე“.[3] როგორც ვახუშტის ამ მონაცემის საფუძ-ველზე ფიქრობენ, აფხაზეთის მთავარს გათვისებული ჰქონდა მდ. ეგრისწყალ-ღალიძგის ჩრდილო-დასავლეთი. მართალია, ხან-დახან ღალიძგასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიასაც (სამურზაყანოს) იპყრობდა, მაგრამ ვერ გაითავისა ის,[4] მხოლოდ დროებით ახერხებდა სამურზაყანოს თავის იურისდიქციაში მო-ქცევას. როგორც აღინიშნა, XVII ს-ის 90-იან წლებში დაკარგული, ღალიძგა ენგურს შორის მდებარე ტერიტორია, 1702 წლიდან

---

[1] И. Г. Антелава, Политическая жизнь в Абхазии в XVI-XVIII вв., დასახ. გა-მოცემა, გვ. 122; თ. ჭიჭინაძე, საქართველოს ისტორიის მასალა, ჟურნ. „კვალი“, 1897, №20, გვ. 394; ვ. ზუხბაია, ს. ზანთარია, გალის რაიონის ბუნება, ეკონომიკა, ისტორიული ნარკვევი, სოხუმი, 1988, გვ. 72-73; ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის..., გვ. 122.

[2] ბ. ხორავა, დასახ. ნაშრ., გვ. 117.
ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 863.
ბ. ხორავა, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

კვლავ დადიანის ხელისუფლების ქვეშ მოექცა, შარვაშიძეთა გვარის გვერდითი შტოს წარმომადგენლის გამგებლობით.[1] 1704 წელს რუხში ყვაპუ შარვაშიძე გარდაიცვალა, ღალიძგასა და ენგურს შორის მდებარე მიწა-წყლის მმართველობა მისმა მემკვიდრემ მურზაყანმა ჩაიბარა. მურზაყანს თავის საქმიანობა-მოღვაწეობით ხალხის სიყვარული დაუმსახურებია და მის საპატივცემულოდ ამ მხარისათვის მოსახლეობას XVIII ს-ის 30-40-იან წლებში სამურზაყანო უწოდებია.[2] სამურზაყანოს მეორენაირად „ზემო აფხაზეთ"-საც უწოდებდნენ XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში, ალბათ იმიტომ, რომ ამ რეგიონში აფხაზთა სამთავრო დინასტიის გვერდითი შტოს წარმომადგენლობა დამკვიდრდა მმართველობაში.[3] მართალია, XVIII ს-ის 90-იანი წლების მიწურულს,[4] აფხაზეთის მთავარს ქელეშბეის სამურზაყანო ისევ დაუპყრია, მაგრამ დროებით, – XIX ს-ის დასაწყისიდან ეს მხარე კვლავ ოდიშის შემადგენლობაშია მოქცეული. 1805 წელს ლევან V დადიანის რუსეთის ერთგულებისადმი დადებულ ფიცს შეუერთდნენ სამურზაყანოს მფლობელები,[5] მანუჩარ და ლევან შარვაშიძეები, როგორც სამეგრელოს სამთავროზე დამოკიდებული სამფლობელოების პატრონები.

სამურზაყანოს მფლობელი ძმები შარვაშიძეების ფიცის სრული ტექსტის ასლი დაცულია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების IV ტომში, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, აფხაზის თავადნი, სამურზაყანოს მფლობელნი, შემოვედით ყმად ჩვენი ქვეყნით და თავად-აზნაურებით მის

---

[1] ბ. ხორავა, დასახ. ნაშრ., გვ. 121-123.

იქვე, გვ. 122, იხ. იქვე სათანადო ლიტერატურა.

იქვე, გვ. 132; ი. ანთელავა, ზ. ანჩაბაძე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, II, გვ. 31-32.

ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 172, შეად. И. Г. Антелава, Политическая жизнь Абхазии в XVI-XVIII вв. გვ. 122; З. Анчабадзе, Г. Дзидзария, Дружба, извечная, нерушимая (Очерки из истории грузино-абхазских отношений), Сухуми, 1972, გვ. 42-43.

ზ. ცინცაძე, სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX ს-ის პირველ ნახევარში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VII, თბ., 1989, გვ. 96-97.

იმპერატორობის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალესისა რუსთა ხელმწიფისა, ვფიცავთ ყოვლად ძლიერ ღმერთს და წმინდა სახარებას, რომ ვიყვნეთ ერთგულნი მონა და ყმანი სამიწდღეოდ და მის დიდებულობის ურჩობაში და ღალატობაში არასდროს არ შევიდეთ და აგრეთვე თუ სხვათაგან ღალატი ანუ ურჩობა შევიტყვეთ, დიახ, სწრაფად შევატყობინოთ საცა მართებული იყოს და როგორც ზემო სწერია ის არ აღვასრულოთ, ღვთისაგან და წმინდა სახარებისაგან შეჩვენებული ვიყვნეთ, და აგრეთვე ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფისაგან განრისხებულნი ვიყვნეთ. როგორც რომ ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფის ყმა ვიმყოფებით, აგრეთვე სამეგრელოს თვითმპყრობელი ლევან დადიანის, რადგანაც ჩვენ ჩვენის ქვეყნით ვყოფილვართ სამეგრელოს თვითმპყრობელის თავადი დადიანისა".[1]

გამოდის, რომ სამურზაყანო აფხაზთა მთავრების მიერ ორჯერ იყო ოკუპირებული: პირველად XVII ს-ის ბოლოს (80-90-იან წლებში), ვიდრე 1702 წლამდე, მეორედ XVIII ს-ის 90-იანი წლების მიწურულს 1805 წლამდე; 1805 წელს სამურზაყანოს მფლობელები ძმები ლევან და მანუჩარ შარვაშიძეები ერთგულებას და ქვეშევრდომობას აღუთქვამენ ლევან V დადიანს, და როგორც ითქვა, უერთდებიან მის მიერ რუსეთის ერთგულებისადმი დადებულ ფიცს. მე-17 ს-ის დასასრულიდან (ე. ი. მდ. ღალიძგასა და მდ. ენგურს შორის მიწა-წყლის პირველი დაპყრობიდან) 1832 წლამდე, სამურზაყანოს მფლობელები იყვნენ შარვაშიძეთა უმცროსი შტოს წარმომადგენლები, რომლებიც უმეტესად ოდიშის მთავრის ხელისუფლებაზე იყვნენ დამოკიდებულნი. სამურზაყანოს ოდიშის სამთავროსადმი კუთვნილების საკითხი იმდენად ცხადი რეალობა იყო, რომ ამის უგულვებელყოფა რუსეთის მაღალჩინოსან მოხელეებსაც კი არ უცდიათ, პირიქით, საჭიროების შემთხვევაში არ ერიდებოდნენ ამის ხმამაღლა გაცხადებასაც. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მთავარმართებელ ბარონ როზენის 1834 წელს აფხაზეთის მთავარ მიხეილ შარვაშიძისადმი მიწერილი წერილი. მიხეილ შარვაშიძემ 1834 წელს თვითნებურად დაიკავა სოფ. ილორი და აიძულა იქაური მოსახლეობა ერთგულების ფიცი

[1] Акты Кавказской Археографической Комиссии, т. IV, Тифлис, 1881, გვ. 527.

მიეცა მისთვის. როცა ეს შეიტყო მთავარმართებელმა როზენმა, აფხაზთა მთავარს მისწერა: „ასეთი მოქმედება ემსახურება აფხაზეთში უწესრიგობის გამრავლებას და არ შემიძლია გაკვირვება არ გამოვთქვა სხვის სამფლობელოში თქვენი ასეთი თვითნებობის გამო. ხელისუფლებისათვის ცნობილია, რომ ცოცხალი საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის არის მდინარე ღალიძგა და რამდენადაც სოფელი ილორი მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე, ის არ შეიძლება ეკუთვნოდეს აფხაზეთს. ამიტომ მე ვალდებული ვარ გთხოვოთ გამოუცხადოთ წერილობით ყველა ილორელს, რომ მათ მიერ მიცემული ფიცი თქვენდამი ერთგულებაზე უსაფუძვლოა და ისინი ეკუთვნიან არა თქვენ უმაღლესობას, არამედ სამეგრელოს მფლობელს".[1] ბარონ როზენი სამურზაყანოს სამეგრელოსადმი კუთვნილებას არაერთხელ აღნიშნავს სხვაგანაც.[2]

ოდიშის მთავრები სამურზაყანოს სამეგრელოს განუყოფელ მხარედ მიიჩნევდნენ არა მარტო იმიტომ, რომ ის სამეგრელოს ისტორიულ-ორგანული ნაწილი იყო მუდამ, არამედ იმიტომ, რომ მიუხედავად აფხაზთა მიერ მისი ორგზის დაპყრობისა, მასზე გავლენას უმეტესად მაინც სამეგრელო ინარჩუნებდა, მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მუდამ ქართველობა იყო, იქაური მოსახლეობა აფხაზეთის სხვა მხარეებისაგან განსხვავებით ქრისტიანულ სარწმუნოებას ინარჩუნებდა. აფხაზეთის მთავრების (შარვაშიძეების) პრეტენზიები სამურზაყანოს მიერთებაზე, ალბათ, იმით უფრო იყო გაპირობებული, რომ ამ მხარის მფლობელები აფხაზეთის მთავართა საგვარეულოს გვერდითი შტოს წარმომადგენლები იყვნენ მისი დაპყრობიდან (XVII ს-ის მიწურულიდან) 1832 წ-მდე, აფხაზეთის თავად-აზნაურობას იზიდავდა ამ მხარის მდიდარი მიწა-წყალი, გარდა ამისა, სამურზაყანოს აფხაზური წარმომავლობის თავად-აზნაურობა ხშირად დაუმორჩილებლობას უცხადებდა ოდიშის მთავრებს.

---

[1] Акты Кавказской Археографической Комисии, т. IV, გვ. 449.

იქვე, გვ. 453, №338, №339; ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 181.

აფხაზეთის უკანასკნელმა მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ 1839 წელს თხოვნით მიმართა რუსეთის ხელისუფლებას, დადიანისათვის ჩამოერთმია სამურზაყანო და გადაეცა ის აფხაზეთისათვის, რაზედაც მან უარი მიიღო. რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთისა და ოდიშის მთავრებს შორის სამურზაყანოსათვის გამართული მუდმივი ცილობა და ქიშპი საბაბად გამოიყენეს და 1840 წელს სამურზაყანო ჩამოართვეს ოდიშის მთავარს, გადასცეს სახაზინო უწყებას და მისგან რუსული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული – სამურზაყანოს საბოქაულო შექმნეს.[1]

* * *

ასე ეტაპობრივად და ძირითადად ექსპანსიის გზით ჩამოწვა და ჩამოსახლდა გვიან შუასაუკუნეებში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (უმეტესად აფსუა-აბაზ-ადიღელები) დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით, ისტორიული აფხაზეთის მიწა-წყალზე. ტერმინი „ისტორიული აფხაზეთი“ შემთხვევით არ გამოგვიყენებია აქ. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ ბიზანტიის ხელისუფლებამ გარკვეული მიზნით, ჯერ (VI ს-ის 50-იანი წლებიდან) ბიჭვინთის ჩრდილო-დასავლეთს, ხოლო VII ს-ის დასაწყისიდან მდ. კლისურა-კელასურიდან (ზოგი ავტორის ცნობით მდ. ეგრისწყალ-ღალიძგიდან) ვიდრე მდ. აქეუნტა-შახემდე, ჯიქების საზღვრამდე, დაიპყრა-რა ეს რეგიონი, უწოდა „აფხაზეთი“, მოსახლეობას-კი (ძირითადად სანიგების ტომს) „აფხაზი“. ამ დროიდან მოყოლებული აღნიშნულ ტერიტორიას ისტორიულ გეოგრაფიულ სახელად დაუმკვიდრდა სახელი „აფხაზეთი“, ხოლო იქაურ მოსახლეობას „აფხაზი“. ასე გადაიქცა „აფხაზი“ ეთნონიმიდან პოლიტონიმად. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ იმავე მიზეზით VIII ს-ის მეორე ნახევრიდან მთელ დასავლეთ საქართველოს ეწოდა „აფხაზეთი“, მოსახლეობას კი, რომლის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველობა შეადგენდა „აფხაზი“ შეესახელა. XI ს-ში „აფხაზეთი“

[1] ზ. ციხცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 97-98.

საქართველოს, ხოლო „აფხაზი“ ქართველის იდენტური გახდა და ასე გავრცელდა ეს ტერმინები ჯერ საქართველოსა და ბიზანტიაში, შემდეგ კი სხვა ქვეყნებში.[1]

VIII ს-ის მეორე ნახევრიდან დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამთავროს ჩრდილო-დასავლეთმა მდ. აქეუნტა-შახესთან ჯიქებთან დადებულმა საზღვარმა, ნიკოფსიამდე გადაინია და ეს ასე დარჩა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, მეტ-ნაკლები სახეცვლილებით. გამოდის, თითქოს, დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრიობამ დაიბრუნა თავისი ეთნოსის კუთვნილი ისტორიული სამოსახლო, რომელიც ჯიქებს ჰქონდათ მანამდე დაპყრობილი. ჯიქები შავიზღვისპირეთში მოსულ ტომად ითვლება, ეს კარგად იცის ბიზანტიურმა და ქართულმა წყაროებმა. ფლავიუს არიანეს V საუკუნის კომენტატორი – ანონიმი ავტორი წერს: „ძველი აქაიიდან“ ვიდრე „ძველ ლაზიკემდე“ და შემდეგ ვიდრე აქეუნტის მდინარემდე წინათ ცხოვრობდნენ ტომები, რომელთაც ეწოდებოდათ ჰენიოხები, კორაქსები და კილიკები, მელანქლენები, მაქელონები, კოლხები და ლაზები. ამჟამად კი ცხოვრობენ ჯიქები“.[2] თუმცა ანაქრონიზმი ახასიათებს ჯუანშერის ცნობას, მაგრამ იმანაც კარგად იცის, რომ ჯიქები მოსული ტომია შავიზღვისპირეთში. ჯუანშერის გადმოცემით, ვახტანგ გორგასალი თავისი ლაშქრით „განვიდეს პაჭანიკეთს, რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ, და ჯიქეთი მუნვე იყო. შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი დასავლით-კერძი, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისა“.[3] წერილობითი წყაროებიდან, ჯიქებს (ზიგებს), პირველად, მხოლოდ სტრაბონი იხსენიებს შავიზღვისპირა მცხოვრებ ტომთა შორის.[4]

---

[1] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. კრ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, დასახ. გამოცემა.

ანონიმი V ს-ის, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 11.

ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 156-157.

თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, დასახ. გამოცემა, XI, 2, გვ. 111, 118, 119.

ახ. წ. II ს-ის ავტორი ფლავიუს არიანე, ჯიქების სამხრეთ-აღმოსავლეთ მეზობლად სანიგებს ასახელებს.[1] ასევე აღნიშნავს V ს-ის ანონიმი თავისი დროისათვის. მისი გადმოცემით „აქეუნტის (შახეს – დ. ლ.) წყლიდან აბასკის (ფსოუს – დ. ლ.) წყლამდე ცხოვრობენ სანიგები".[2] VI ს-ში, ამავე საუკუნის ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობით, ჯიქებს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მდ. აქეუნტა-შახესთან აბაზგ-აფხაზები ემეზობლებიან.[3] ე. ი. გამოდის, რომ სანიგების სახელი აბაზგ-აფხაზებმა, ხოლო სანიგეთის სახელი აფხაზეთმა დაფარა. ეს კი, ჩვენი აზრით, ბიზანტიის ხელისუფლების ნებით უნდა განხორციელებულიყო.[4]

VIII ს-ის 70-იანი წლებიდან, თუ უფრო ადრე არა, როგორც უკვე ითქვა, დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის") სამთავროს სახელმწიფო საზღვარმა ნიკოფსიამდე (ვახუშტის გადმოცემით, აფხაზთა პირველი მეფე ლეონ II-ის დროს აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთმა საზღვარმა მდ. ხაზარეთამდე) გადაინია და ასე მოექცა ტერიტორია მდ. აქეუნტა-შახედან ნიკოფსიის ჩათვლით ქართულ სახელმწიფოებრიობაში, რომელიც მეტ-ნაკლები ცვლილებით XV საუკუნემდე გაგრძელდა. ამას კარგად ადასტურებს ქართული და უცხოური წყაროები.[5] ბუნებრივია, რომ გაერთიანებული საქართველო შეინარჩუნებდა თავის სახელმწიფო საზღვარს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. XI ს-ის ქართველი საეკლესიო მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი, როცა ანტიოქიის პატრიარქს უსაბუთებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სამართლიანობას, ეუბნება: „ერთი წმიდა ათორმეტთა მოციქულთანი, სიმონს ვიტყვი კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა

---

[1] ფლავიუს არიანე... დასახ. გამოცემა, გვ. 51-52.

ანონიმი V საუკუნის, დასახ. გამოცემა, გვ. 10.

პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 100, 135.

დ. ლეთოდიანი, აბაზგ-აფხაზების განსახლება... დასახ. გამოცემა, გვ. 225 და სხვაგან.

იოვანე საბანისძე, ქართული მწერლობა, I, დასახ. გამოცემა, გვ. 454; ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, გეორგიკა, IV, ნაკვ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 58, 59; კონსტანტინე პორფიროგენეტი, გეორგიკა, IV, ნაკვ. 2, დასახ. გამოცემა, გვ. 233; შეად. ვახუშტი ბაგრატიონს, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 796.

დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების".[1] დავით აღმაშენებელი თავის ანდერძში აღნიშნავდა, რომ ის დემეტრე უფლისწულს სამემკვიდრეოდ უტოვებდა მისი ღვაწლით მოგებულ მამულს „ნიკოფსიითგან დარუბანდისა ზღუადმდე და ოვსეთიდან სოერად და არეგაწადმდე".[2] თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"-ს ავტორის გადმოცემით, თამარის მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი იყო „ლიხთ-აქით პატრონი ორბეთის და კაენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსამდის უცილობლად ქონებისა".[3] როცა თამარ მეფემ გადაწყვიტა რუქნადინის წინააღმდეგ ბრძოლა „მაშინ მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსით დარუბანდამდის, და შეკრბეს ჯავახეთს".[4] უამთააღმწერელი წერდა: „ვითარ აღესრულა მეფე (ლაშა გიორგი – დ. ლ.) შეკრბეს ყოველნი წარჩინებულნი მის სამეფოსანი, იმერნი და ამერნი, კათალიკოსნი ორნივე და ეპისკოპოსნი, ნიკოფსით ვიდრე დარუბანდამდე ყოველნი მორჩილებასა ქუეშე მათსა მყოფნი და მეფე ყვეს რუსუდან – დასუეს საყდართა სამეფოთა და მიულოცეს მეფობა წესისამებრ".[5] ...მოვიდა დავით რუსუდანის ძის ძე ვახტანგ ქართლს „შემოკრბეს კათალიკოსი და ეპისკოპოსნი და მთავარნი, და დაადგეს გჳრგჳნი მეფობისა თავსა მისსა, და დასუეს ტახტსა სამეფოსა, და აღასრულეს წესი კურთხევისა. და დაიპყრა ყოველი საქართველო ნიკოფსით დარუბანდამდე, თჳნიერ ჯაყელი-ციხიხჯვარელისა ბექასი".[6] ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით: გიორგი ბრწყინვალემ „... ვინათგან დაიმორჩილნა და დაიმონნა ყოველი გიორგია ნებასა შინა თჳსსა და კავკასნიცა მორჩილებასა მისსა იყვნენ ნიკოფსიიდამ დარუბანდამდე; კუალად რანი, მოვაკანი და შარ-

---

[1] ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა, ძველი ჰაგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, II, დასახ. გამოცემა, გვ. 153, 154.
ანდერძი დავით აღმაშენებლისა, ქართული სამართლის ძეგლები, II, დასახ. გამოცემა, გვ. 19.
ქართლის ცხოვრება, II, დასახ. გამოცემა, გვ. 49.
იქვე, გვ. 94.

[5] უამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 168.
იქვე, გვ. 293.

ვანი მოხარკედ აქუნდა და არღარავინ იყო წინააღმდეგი და ურჩ მისი“...[1] „ხოლო შემდგომად მეფის გიორგისა დაჯდა ძე მისი დავით მეფედ. შემოკრბენ კათალიკოზ-ეპისკოპოსნი და დიდებულნი ნიკოფსით, სპერით, დარუბანდამდე და აკურთხეს მეფედ“.[2]

ასე რომ, მითითებული წყაროების საფუძველზე, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ VIII ს-ის მეორე ნახევრიდან XV ს-მდე, საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეთნო-კულტურული საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით უწყვეტად შემოისაზღვრებოდა ნიკოფსიის ჩათვლით. ფიქრობენ, რომ ნიკოფსი უნდა ყოფილიყო დღევანდელი ტუაფსეს ჩრდილოეთით 20 კილომეტრის მანძილზე მდ. ნეგოფსუხოს შესართავთან, ზღვისპირა კონცხთან.[3] ეს საზღვარი მიაჩნდათ VIII-X საუკუნეებისათვის რეალურად.[4] ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ისტორიული ცნობების მიხედვით, უკვე XI საუკუნეში ეს მოსამზღვრე ხაზი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძალიან ჩრდილოეთით მდებარეობდა, სახელდობრ, იმ ადგილას, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი იწყებოდა. მოსამზღვრე ხაზად მდ. ყუბანის შესართავი და კავკასიის ქედის წვერი ითვლებოდა“.[5] მიაჩნიათ-რა რომ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი XV ს-მდე მდ. ყუბანის შესართავამდე გადიოდა, ფიქრობენ, რომ ნიკოფსია „... მდინარე ყუბანის შავი

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, IV, დასახ. გამოცემა, გვ. 259.

იქვე, 259-260.

З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 110-111; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 141-142; მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა საქართველოს ისტორიის ნარკვევებში, II, გვ. 418-419; მისივე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 186; ზ. პაპასქირი, თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, დასახ. გამოცემა, გვ. 59.

იქვე.

ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII, თბ., 1998, გვ. 460.

ზღვის შესართავის მახლობლად მდებარეობდა და არა ტუაფსეს ახლოს".[1]

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საქართველოს დაშლა-დაქუცმაცებისა და საერთოდ, მისი საშინაო და საგარეო მდგომარეობის გაუარესებისა, გვიანი პერიოდის XVI-XIX სს-ის წყაროებიც კი (ევროპული რუკები და პორტულანები. სხვადასხვა ენაზე შესრულებული ნაშრომები) საქართველოს (ძირითადად სამეგრელოსა და აფხაზეთის დასახელებით) ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს უმეტესად მიუთითებენ მდ. შახეს და მდ. ყუბანის შესართავებს შორის.

XVI ს-ში ევროპელი კარტოგრაფების მიერ შედგენილ საკმაო რაოდენობის რუკებზე საქართველოს („ეგრისის ქუეყნისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა") ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მინიშნებულია დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის უფრო ჩრდილო-დასავლეთით. აღნიშნული დროის კარტოგრაფები, სამეგრელოს (რომელშიაც, რა თქმა უნდა, აფხაზეთიც იგულისხმება) ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს ძირითადად მდ. ყუბანის შესართავის გასწვრივ აღნიშნავენ.[2]

XVII-XIX სს-ის რუკებზეც სამეგრელოს (ანუ აფხაზეთის) ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მითითებულია მდ. ყუბანის შესართავთან და მის ახლო-მახლო სივრცეში.[3] რუსეთის იმპერიაში 1725 წელს შედგენილ საქართველოს რუკაზე აფხაზეთის სახელია აღნიშნული, რომლის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდინარე ყუბანის შესართავამდე აღწევს,[4] ხოლო 1703 წელს იქვე შედგე-

---

1 ზ. რატიანი, წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ., 1995, გვ. 58-60.

Гогия Б., Абхазия – историческая провинция Грузии, Париж-Тбилиси, 2005, გვ. 30, 32, 34, 38; Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия – историческая область Грузии, Тб., 1997, გვ. 226, 230, 836.

Гогия Б., Абхазия – историческая провинция Грузии, დასახ. გამოცემა, გვ. 40, 43, 63, 66, 92, 240.

Гогия Б., დასახ. ნაშრ., გვ. 66.

ნილ რუკაზე სამეგრელოს სახელია დატანილი და მისი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი კაფამდე მიდის.[1]

XVI ს-ის დასაწყისში, ავსტრიელი დიპლომატი ს. ჰერბერშტაინი, რომელიც აღნიშნულ დროში ორჯერ იმყოფებოდა რუსეთის იმპერიაში, წერდა: „ყუბანს იქით არის სამეგრელო". ყუბანის ქვემო წელზე ცხოვრობენ „აფგაზები", ხოლო მთებში ჩერქეზები.[2] თითქოს ამ ცნობის შინაარსია გადატანილი იტალიელი კარტოგრაფის ჯაკომო გასტილდის 1561 წელს შედგენილ რუკაზე. აღნიშნულ რუკაზე სამეგრელოს რეგიონის შემდეგ, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდ. ყუბანის შუა წელზე მითითებულია **Abcvaz reg. (Abcvaz||Abchas** „აფხაზი") ამავე მდინარის მარცხენა შენაკადზე დატანილია ქალაქი **Acua,** რომლის სახელი იგივეა, რაც ქალაქ სოხუმის ამჟამინდელი აფხაზური (აფსუური) სახელწოდება აყვა. (ქალაქ სოხუმს ამავე რუკაზე **Sanatopoli,** იგივე სებასტოპოლი ეწოდება).[3] ე. ი. სამეგრელოსა და ჩერქეზეთის რეგიონებს შორის, აბაზურ ტომებზე გავრცელებულია „აფხაზეთი"-ს სახელი. ნიშანდობლივია, რომ XVI ს-ის პირველი მეოთხედისათვის თურქული წყარო ოდიშ-სამეგრელოს საზღვრების შემდეგ იხსენიებს არა აფხაზეთს (მხოლობით რიცხვში), არამედ აფხაზების ქვეყნებს, რომლებშიაც ჯიქეთსაც უნდა გულისხმობდეს, ჩვეულებრივ. ის აღნიშნავდა, რომ გურიიდან სოხუმამდე დადიანის ქვეყანაა. იგი (სოხუმი) ძველ დროში ნავსადგური ყოფილა. მასთან ეშვება იალბუზის მთის კალთა. იმის იქით არის აფხაზეთის ქვეყნები. მთებს უკან მდებარეობს ჩერქეზეთის ქვეყანა და ლეკისტანი დარუბანდამდე.[4] როგორც, ფიქრობენ, აქ ნახსენებ „იალბუზის მთის კალთაში" უნდა იგულისხმებოდეს „ანაკოფიის

---

[1] Гогия Б., დასახ. ნაშრ., გვ. 75.

[2] С. Герберштеин, Записки о Московии, М., 1988, გვ. 181; Гогия Б., დასახ. ნაშრ., გვ. 30.

[3] თ. გვანცელაძე, 1561 წლის უცნობი იტალიური რუკა და აფხაზთა ისტორიული სამშობლოს ლოკალიზაცია, ჟურნ. „არტანუჯი", 6, თბ., 1997, გვ 28-31.

თურქული წყაროები XVII ს. I ნახევრის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1983. გვ. 57.

მცირე მთა",[1] რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი ანაკოფიის (ახალი ათონის) დასავლეთით უთითებს.[2]

XVII ს-ის მოღვაწე პავლე ალეპოელი, მაკარი ანტიოქიელის შვილი, რომელიც მამასთან ერთად 1664-1666 წწ-ში იმყოფებოდა სამეგრელოში წერდა: „აფხაზნი (აფხაზეთი) ორი სახელმწიფოა: ერთი მათგანის მცხოვრებნი, დადიანის ქვეშევრდომები, ქრისტიანებად იწოდებიან, თუმცა არ არიან მონათლულნი. ისინი ეთაყვანებიან წმინდა ხატებს და პატივს სცემენ ეკლესიებს. მოუნათლავნი კი იმიტომ არიან, რომ არ ჰყავთ მღვდელმთავარნი და მღვდელმსახურნი. მეორე სახელმწიფოს მცხოვრებნი ურწმუნოები არიან. მათ მახლობლად ცხოვრობენ ალანები, აბაზები, ზიხები, ჩერქეზები... ისინი სამეგრელოს დაუძინებელი მტრები არიან, იტაცებენ და ატყვევებენ მეგრელებს".[3]

ყირიმის სახანოს კარზე მყოფი საფრანგეთის კონსული ქსავერი გლავანი, რომელსაც 1724 წელს უმოგზაურია ჩერქეზეთში წერდა, რომ „მთების იქით სამეგრელოა... მათ შემდეგ აჩიკ-ბაშები ცხოვრობენ... შემდეგ კადაკები სახლობენ. მათ შემდეგ 24 დამოუკიდებელი აბაზა ბეგი ცხოვრობს. მათი სამფლობელო დიდი ზღვიდან (შავი ზღვა) გელენჯიკ-ლიმანამდეა განფენილი, რაც ჩერქეზეთის მიწაზეა. გელენჯიკ-ლიმანი აბაზასა და ჩერქეზეთს შორისაა და კაფას ყურიდან 50 მილითაა დაშორებული".[4]

ამ მხრივ უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია, რუსეთის აკადემიის ნამდვილი წევრის გიულდენშტედტის ნაშრომში დაცული ცნობა. გიულდენშტედტი, რომელმაც საქართველოში XVIII ს-ის მეორე ნახევარში იმოგზაურა, გვაუწყებს, რომ აფხაზეთი (აბაზა) სამ ნაწილად იყოფა: ჩრდილო-დასავლეთი აფხაზეთი (ადიღეური ტომებით: უბიხები, შაფსუღები და სხვა ხალხებით დასახლე-

---

[1] ბ. ხორავა, დასახ. ნაშრ., გვ. 60; Т. Бердзе, Этнологические процессы на территории современной Абхазии в XI-XV вв. – Разыскания по истории Абхазии/Грузия, გვ. 206.

ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 783, 784.

ნ. ასათიანი, მასალები, დასახ. გამოცემა, გვ. 75.

С. Главани, Описание Черкесии, СМОМИК, вып. 17, Тифлис, 1898, გვ. 17; Дж. Гамахария, Гогия Б., Абхазия – историческая область..., გვ. 27.

ბული მხარე), ჩრდილო-აღმოსავლეთი აფხაზეთი, ეგრეთწოდებული „მცირე აფხაზეთი“ და სამხრეთ-აღმოსავლეთი აფხაზეთი, – „ძველი აფხაზეთი“. ამ მხარეში ბატონობენ თურქები ფაშას მეთაურობით, რომელიც ზის შავ ზღვაზე მდებარე ციხე სოკუნკალაში და რომელსაც ჩვეულებრივ აფხაზეთის თავადური გვარიდან ირჩევენ.[1]

როგორც მართებულად აღნიშნავენ, ვახუშტი ბაგრატიონს, მიუხედავად იმისა, რომ მის დროს საქართველო დაშლილ-დაქუცმაცებულია, ჯიქეთი შეყვანილი ყავს საქართველოს კუთვნილ ქვეყანათა სიაში.[2] ბატონიშვილი თავისი დროისათვის წერდა: „ხოლო ამ აფხაზეთის იქით, კაპპეტის წყლის დასავლეთს, ბაგრატიონთ ჟამს აქეთ აქომამდე უწოდებენ ჯიქეთს, არამედ გორგასლის ცხოვრება უწოდებს ჯიქეთს ამ ჯიქეთის ჩრდილოთ კერძოს, კავკასიის მთის იქითს კერძს ზღუამდე. და ამ აწინდელს ჯიქეთს მსღვრის: აღმოსავლით კაპპეტის წყალი, დასავლით შავი ზღუა; სამჴრით იგივე ზღუა; ჩრდილოთ კავკასი. და არს ადგილი ესე ყოვლითურთ აფხაზეთისა; მოსავლით და ცხოელით, წესით და ქცევითაცა, არამედ კაცნი უმეტეს მჴეცთა მგზავსნი. ყოფილან პირველად ქრისტიანენი, არამედ აწ უცნობელნი მისნი. გარნა იუწყე აფხაზთა და ჯიქთა სამოსელნი და იარაღნი და საჭურველნი, ვითარცა ჩერქეთსანი, რომელთა ზნეთა ჟამად იმერნიცა ჴმარობენ“.[3] სხვა ადგილას ვახუშტი აღნიშნავდა, რომ „... საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიიდამ ჩამოსული ზღუამდე, დასავლით ზღუა და კაპპეტის მდინარე. არამედ სხუანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღუამდე“.[4]

---

[1] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1964, გვ. 51, 53.

მ. ციცაძე, საქართველო-ადიღეს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1986, გვ. 45.

ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 786, 787.

იქვე, გვ. 784.

მაშასადამე, ვახუშტის ცნობით, შარვაშიძეთა სამფლობელო აფხაზეთი ვრცელდება მდ. ბზიფამდე, მდ. ბზიფის ჩრდილო-დასავლეთი ბოსფორამდე ბატონიშვილს ჯიქეთისად, ხოლო ჯიქეთი საქართველოს, ანუ აფხაზეთის ნაწილად მიაჩნდა. ეს შეიძლება იმით აიხსნას, როგორც ფიქრობენ,[1] რომ ჯერ კიდევ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი საქართველოს ოფიციალურ წრეებში, იურიდიულად საქართველოს კუთვნილ სამფლობელოდ არის მიჩნეული. თუმცა, როგორც ზემოთ ვუთითებდით, საქმეში ჩახედული გვიანსაუკუნეების წყაროების უმეტესობა (მაგალითისათვის გიულდენშტედტს დავასახელებთ), ისე ფიქრობს, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი. მართალია, მითითებულ წყაროებში არ არის ახსნილი, თუ რატომ მერყეობდა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. შახესა და მდ. ყუბანის შესართავებს შორის, მაგრამ მათი წარმოდგენით, ეს საზღვარი მდ. შახეს სამხრეთ-აღმოსავლეთით კი არა, მის ჩრდილო-დასავლეთით ვრცელდება მდ. ყუბანის შესართავამდე, ზოგი ავტორის ცნობით, მდ. შახემდე, ან გელენჯიკამდე, ზოგის ცნობით, მდ. ყუბანამდე და ასე შემდეგ. ეს არის ფაქტი, რომელიც გარკვეულ მონაცემებს უნდა ეყრდნობოდეს. ამ მხრივ ნიშანდობლივად მიგვაჩნია თბილისში განწესებული ფრანგი კონსულის ჟაკ ფრანსუა გამბას ცნობა, რომელმაც იმიერ და ამიერ კავკასიაში 1820-1824 წწ-ში იმოგზაურა, ის წერს: „აფხაზეთის საზღვართან, გელენჯიკიდან დაახლოებით სამოც ვერსზე, ფშადის ყურეა... ფშადიდან დაახლოებით ოცდაათ ვერსზე, სუბაშის ყურემდე (მდ. შახეს შესართავთან – დ. ლ.), ჩერქეზეთისა და აფხაზეთის საზღვრები ზუსტად ისეა გადაჭიმული, როგორც ეს რუკების უმრავლესობაზეა აღნიშნული. არ ვიცი ეს საზღვრები რაიმე პოლიტიკური აქტით ან შემოსევების შედეგად არის დადგენილი, თუ იგი ბუნებრივად გამოყოფს ერთმანეთისაგან ორ ხალხს, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ ენის, ზნე-ჩვეულებებისა და ხასიათის მხრივ და, რომლებიც აშკარად სხვადასხვა წარმოშობისანი არიან".[2]

---

[1] მ. ცინცაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 45.

[2] ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1987, გვ. 76-77.

გვიან შუა საუკუნეების საქართველოს (მისი ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პროვინცია აფხაზეთის) ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის შესახებ, კიდევ შეიძლებოდა საკმაო მასალების მოხმობა-მოძიება, მაგრამ მითითებულიც საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ნათლად გამოჩენილიყო გვიანი საუკუნეების ავტორების შეხედულება აღნიშნულ საკითხზე. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მართებული ჩანს აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს (ეგრისის, ანუ აფხაზეთის, იმერეთის, ან ოდიშ-სამეგრელოს) ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი დაწყებული არქაული დროიდან XIX ს-ის ჩათვლით, მეტ-ნაკლები სახეცვლილებით, გადიოდა მდ. ყუბანის სიახლოვეს, ვრცელდებოდა თუ არა იქამდე საქართველოს სახელმწიფოებრიობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მხარე XVI-XIX სს-ში ხშირად ვერ ეტნეოდა საქართველოს (აფხაზეთის) პოლიტიკურ სივრცეში, „ხსენებულ ტერიტორიაზე საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს სასაზღვრო ხაზის არსებობა ისტორიულად დადასტურებული სინამდვილეა“.[1] მართლაც, მარტო პავლე ალეპოელის და გიულდენშტედტის ცნობები იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ გვერწმუნა გვიან შუა საუკუნეებშიაც „აფხაზეთი“-ს, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინის გავრცელების არეალი სცილდებოდა დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს და დროთა ვითარების შესაბამისად ფიგურირებდა მდ. შახესა და მდ. ყუბანის შესართავებს შორის.

აფხაზეთის პოლიტიკური ერთეული (შარვაშიძეთა სამფლობელო) XVII ს-ის ბოლოს გამოეყო სამეგრელო-ოდიშის სამთავროს და დამოუკიდებელ სამთავროდ იქცა. კიდევ ერთი დამოუკიდებელი ფეოდალური ერთეული შეემატა დაშლილ-დაქუცმაცებულ საქართველოს. ამ დროისათვის (XVII ს-ის დასასრულისა და XVIII ს-ის დასაწყისისათვის) შარვაშიძეთა სამფლობელო აფხაზეთის გავრცელების არეალი ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით უკვე საკმაოდ შეზღუდული იყო. ივ. ჯავახიშვილი, იმერთა მეფე

---

[1] ნ. ჯაველიძე, ეგრისის („ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა“) საზღვრისპირეთის ისტორიიდან, სამეცნიერო კრებული „ისტორიანი“ მიძღვნილი როინ მეტრეველის 70 წლისთავისადმი, თბ., 2009, გვ. 108.

ალექსანდრეს მიერ 1732 წლის ბრძანებით შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკის, 1743 წელს მოსკოვში სრულიად საქართველოს გადახატული რუკის და ვახუშტი ბატონიშვილთან დაცული მონაცემების საფუძველზე ფიქრობდა, რომ შარვაშიძეთა აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ბზიფზე (კაპაპოეტის წყალზე) გადიოდა[1]. ბზიფის იქით ჯიქეთი მდებარეობდა, ხოლო მდ. ბზიფი აფხაზეთის ტერიტორიაზე მიედინებოდა. თუმცა, აფხზეთის თვითმხილველი გერმანელი მეცნიერი, ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი ედ. აიხვალდი, რომელმაც 1825-1826 წწ-ში იმოგზაურა საქართველოში, და როგორც ითქვა, ამავე დროის მოღვაწე ჟაკ ფრანსუა გამბა სხვანაირი წარმოდგენისანი იყვნენ შარვაშიძეთა სამფლობელოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის შესახებ. ედ. აიხვალდის ცნობით, მდინარე „განგრიში აფხაზეთს ჩრდილოეთით გამოჰყოფს ჩერქეზეთიდან და გაგრის ციხის ნანგრევებთან ზღვაში ჩაედინება“.[2] როგორც ვუთითებდით, გამბას გადმოცემით კი აფხაზეთის და ჩერქეზეთის საზღვარი საუბაშის ყურესთან, – მდ. შახეს შესართავთან გადის.[3] ხოლო ამავე დროისათვის ს. ბრონევსკის ცნობით, აფხაზეთი, ანუ აბაზა სამეგრელოდან ჩერქეზეთამდე ვრცელდება და მათ ერთმანეთისაგან გელენჯიკის ყურე (სუჯუკ-კალე) გამოჰყოფს.[4]

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ XVII-XIX სს-ში აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, მდ. ბზიფიდან მდ. ყუბანის შესართავამდე მნიშვნელოვანწილად დასახლებული იყო აბაზურ-ადიღეური მოდგმის სხვადასხვა დასახელების ტომით, როგორც ითქვა, და აღნიშნულ პერიოდში ეს რეგიონი ხშირად არ შემოდიოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობაში, ეს სივრცე მაინც

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები (ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით), ტფ., 1919, გვ. 108.

ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 220, 222.

ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, I, დასახ. გამოცემა, გვ. 71, 72.

С. Броневский. Новейшие географические и исторические изыскания о Кавказе, ч. I, М., 1823, გვ. 318, 319.

ისტორიულ-გეოგრაფიულად აფხაზეთად აღიქმებოდა და ასეც იწოდებოდა გვიანსაუკუნეების წყაროებში. თუმცა ძალიან ძნელია იმისი თქმა, თუ რომელ პუნქტამდე აღწევდა აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი კონკრეტულად, გვიანსაუკუნეების წყაროების სხვადასხვა მინიშნების გამო, მაგრამ ამავე წყაროების მონაცემების საფუძველზე იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ ეს სასაზღვრო ხაზი უმეტესად ფიგურირებდა მდ. შახესა და მდ. ყუბანის შესართავებს შორის. მითითებული წყაროების ცოდნა აღნიშნულ საკითხზე, ისტორიულ ტრადიციას და ადგილზე მოპოვებულ ინფორმაციას უნდა ეყრდნობოდეს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ მათი წარმოდგენისათვის ხელი შეეწყო ისეთი გარემოების შექმნას, როცა გვიანსაუკუნეებშიაც ჯერ სამეგრელოს სამთავროს, შემდეგ კი აფხაზეთის შარვაშიძეთა სამთავრო სახლს, დროის რომელიმე მონაკვეთში მოეხერხებიათ პოლიტიკური ზეგავლენის მოპოვება აღნიშნულ სივრცეზე, რომელზედაც ისტორიულად ექნებოდათ მათ სამართლიანი პრეტენზიები. მაგ., ედ. აიხვალდი XIX ს-ის დასაწყისისათვის წერდა, რომ აფხაზთა მთავარმა ქელეშ-ბეი შარვაშიძემ „... მოახერხა მთელი სამთავროს თავის ხელქვეით გაერთიანება და სულთანის ყურადღების დამსახურება. მან ძალით დაიმორჩილა ჯანეტები, რომლებიც ცხოვრობდნენ შავი ზღვის პირას გაგრის მონასტრიდან სოფელ მამაიმდე... ამდენად სანაპიროს მთელი მცხოვრებლები შიშში ჰყავდა გელენჯიკის სანაპიროდან ბათუმამდე".[1]

ზემოთ მითითებული პავლე ალეპოელის და გიულდენშტედტის ცნობები იძლევიან იმის საფუძველს (სხვა დასახელებულ ცნობებთან შეჯერებით) ვიფიქროთ, რომ გვიან შუა საუკუნეებშიაც (XVI-XIX სს-ში): 1. აფხაზეთი ეწოდება ტერიტორიას, ძირითადად მდ. კლისურა-კელასურიდან დაწყებული ჩერქეზეთამდე (მდ. შახედან მდ. ყუბანის შესართავამდე, მათ შორის მდებარე რომელიმე პუნქტამდე, დროთა ვითარების შესაბამისად); 2. აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი სხვადასხვა დასახელების აბაზურ-ადიღეური ტომები ამიტომ იწოდებიან აფხაზებად; 3. აფხაზების ერთი ნაწილი (სამხრეთ-აღმოსავლეთ აფხაზეთში მცხოვრებნი)

[1] ედ. აიხვალდი საქართველოს შესახებ, დასახ. გამოცემა, გვ. 224.

დადიანის ქვეშევრდომები და ქრისტიანები არიან, თუმცა ვერ იცავენ ზედმიწევნით ქრისტიანულ წესებს; მეორე წყება აფხაზებისა ურწმუნოები არიან და ჩრდილო-დასავლეთით ჩერქეზებისა და სხვა მთიელი კავკასიელების მეზობლად ცხოვრობენ, რომლებიც სამეგრელოს დაუძინებელი მტრები არიან.[1]

გიულდენშტედტი უფრო აკონკრეტებს არსებულ ვითარებას. მისი გადმოცემით, აფხაზეთი სამ ნაწილად იყოფა: 1. ჩრდილო-დასავლეთი აფხაზეთი, სხვადასხვა დასახელების აბაზურ-ადიღეური ტომებით დასახლებული; 2. ჩრდილო-აღმოსავლეთ აფხაზები, ე. წ. „მცირე აფხაზეთი", საძ-ჯიქებით დასახლებული.[2] 3. სამხრეთ-აღმოსავლეთი აფხაზეთი, ანუ „ძველი აფხაზეთი". ამ მხარეში, მისი ცნობით, ფაშას ხელისუფლებაა, რომელიც ცხუმ-სოხუმში ზის და ადგილობრივი თავადური (შარვაშიძის) გვარიდან ინიშნება თურქების მიერ.[3] პავლე ალეპოელის და გიულდენშტედტის ცნობებზე საგანგებოდ იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ აღნიშნული ავტორები მათ მიერ აღწერილი ადგილების და ხალხების თვითმხილველნი და სათანადო ცოდნით აღჭურვილნი არიან.

ასე რომ, „აფხაზი" კონკრეტულად რომელიმე ერთი ეთნიკური ერთეულის სახელს, – ეთნონიმს კი არ წარმოადგენს, არამედ ის არის გვიან შუა საუკუნეებშიც ზოგადი სახელი, პოლიტონიმი. აქედან გამომდინარე „აფხაზეთი" ერთი რომელიმე ეთნიკური ერთეულის კუთვნილ საცხოვრისს კი არ წარმოადგენს გვიან შუა საუკუნეებში (XVII-XIX), არამედ ის არის ისტორიული და გეოგრაფიული ტერმინი, რომელსაც თავისი ისტორია გააჩნია VI ს-ის 50-იან. – VII ს-ის დასაწყისიდან. სხვა საკითხია, რომ რუსეთის იმპერიის საქართველოში გაბატონების შემდეგ და შედეგად, „აფხაზეთი"-ს და „აფხაზი"-ს სახელი მდინარეების ფსოუსა

---

[1] ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, დასახ. გამოცემა, გვ. 75.

შ. ინალ-იფა, აფხაზები, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, II, დასახ. გამოცემა, გვ. 29.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, დასახ. გამოცემა, გვ. 51, 53.

და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიას და მასზედ მცხოვრებ ხალხს შეუნარჩუნდათ მხოლოდ.

რაც შეეხება გიულდენშტედტის „მოგზაურობაში“, – აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის „ძველი აფხაზეთი“-ს სახელით მოხსენიებას, – ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ აფხაზეთის სხვა ნაწილებთან შედარებით აქ ძირითადად შემორჩენილი იყო ადგილობრივი (ძველი) მოსახლეობა თავისი საკუთარი ხელისუფლებით, ძირძველი ფეოდალური საგვარეულო შარვაშიძეთა სახლით. მართლაც, თუ უფრო ადრე არა, XII ს-დან თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“) პირდაპირი ცნობით, ცხუმ-აფხაზეთის ერისთავად დასახელებულია ოთაღო შარვაშიძე.[1] აქედან მოყოლებული 1864 წლამდე, ვიდრე რუსეთის იმპერიულმა მთავრობამ არ გააუქმა აფხაზეთში მთავრის ხელისუფლება, მანამდე შარვაშიძეთა საგვარეულო სახლი უწყვეტად ფლობდა აფხაზეთის სახელისუფლო ბერკეტებს. მათი სახელისუფლო სტატუსი, ისე როგორც მათი სამფლობელო ტერიტორიის (აფხაზეთის) არეალი, ხან მცირდებოდა, ხან ფართოვდებოდა, მაგრამ მათი საგვარეულო სახლი მუდამ განუყოფელი იყო აფხაზეთის სახელთან. როგორც აღვნიშნეთ, შარვაშიძის||შერვაშიძეს მსგავს ძირიანი გვარსახელები და თვით შარვაშიძე||შერვაშიძე სხვადასხვა ფორმით საკმაოდ არის გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. 1783 წელს შედგენილ ქართლ-კახეთის თავადების და აზნაურების ნუსხაში, რომელსაც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II აწერდა ხელს, შარვაშიძე ქართლის თავადთა რიცხვშია დასახელებული.[2] გვიან შუა საუკუნეების ზოგი ევროპული წყარო შარვაშიძის გვარს მეგრული ფორმით, შარაშიას სახითაც აღნიშნავს.[3] შეიძლება ვიფიქროთ, რომ შარვაშიძე არა მარტო ფორმით იყო ქართული გვარსახელი, არამედ წარმომავლობითაც ქართული იყო. თუმცა ამ შემთხვევაში, როგორც აღნიშნავენ, არსებითია

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, დასახ. გამოცემა, გვ. 33-34.
ქართული სამართლის ძეგლები, II, დასახ. გამოცემა, გვ. 85-86.
დონ ქრისტოფორო დე კასტელი, დასახ. გამოცემა, გვ. 192; ძამპი, იხ. ჟან შარდენის მოგზაურობა, დასახ. გამოცემა, გვ. 178.

ის, რომ შარვაშიძეთა ფეოდალური სახლი მისი გამოჩენიდან მუდამ ქართული ფეოდალური ელიტის უცვლელი წევრი იყო. შარვაშიძენი და მასზე დაქვემდებარებული აფსუა-აფხაზური სათავადოების სახლის კარიც-კი ქართული იყო; ქრისტიანობით, ზოგად ქართული განათლებითა და კულტურით, ზრდილობა-მენტალიტეტით, სალიტერატურო, თუ საკანცელარიო ქართული ენით. ყველაფერი ეს ერთი ფრაზით გამოხატა თავის დროზე ალექსანდრე შარვაშიძემ, „Я не абхазский, а грузинский князь".[1]

გვიან შუა საუკუნეებში, შინა ფეოდალურ ბრძოლებში ჩაბმული შარვაშიძეთა სახლი, თავისი მიზანდასახულობით, ქცევა-მოქმედებით, ისეთივე ქართველი ფეოდალი იყო, როგორებიც იყვნენ გურიელები, ჭილაძეები, დადიანები და სხვები. საშერვაშიძეო აფხაზეთი ისეთივე ფეოდალური ერთეული იყო, – გარდა იმისა, რომ ის მონაპირე სამთავროს წარმოადგენდა, – როგორებიც იყვნენ საგურიელო, სადადიანო, სადადეშქელიანო და სხვა. მიუხედავად დასავლეთ საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებულობისა, რომელსაც გააჩნდა თავისი საშინაო და საგარეო ხასიათის მიზეზები, იქ არსებული ყველა ფეოდალური ერთეული იმერეთის მეფის ვასალები იყვნენ, ფორმალურად მაინც.[2] როგორც ითქვა, XVII ს-ის მეორე ნახევრამდე, შარვაშიძეთა საგვარეულო სახლი სამეგრელოს მთავარს დადიანს ემორჩილებოდა „... და იყო დადიანი (ლევან II – 1611-1657 წწ. – დ. ლ.) მდიდარ ფრიად და მორჩილებდენ სრულად აფხაზნი და შარვაშიძენი ყმობდენ და ულაშქრებდენ დადიანსა".[3] მაგრამ ამავე ლევან II-ის დროსვე შარვაშიძეები იბრძვიან მისი ვასალობიდან თავის დასაღწევად. უკვე „... ესე შარვაშიძე მორჩილებდა არა ყოველსა ბრძანებასა დადიანისასა".[4] შარვაშიძენი დადიანისაგან და-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, დასახ. გამოცემა, გვ. 611, 616.

ი. ანთელავა, ზ. ანჩაბაძე, აფხაზეთის სამთავრო, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II, დასახ. გამოცემა, გვ. 31-32.

[2] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტ. II. დასახ. გამოცემა, გვ. 421.

იქვე, გვ. 349.

მოუკიდებლობისა და თავისი სამფლობელო ტერიტორიების გაფართოებისათვის ბრძოლაში ინტენსიურად იყენებდნენ აფსუა-აბაზების და ადიღელების სამხედრო ძალებს,[1] რაც ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი გახდა ისედაც მოძალებული მთიელი ტომების ჩამოწოლა-ჩამოსახლებისათვის, ისტორიული აფხაზეთის და სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთ მიწა-წყალზე. სამწუხაროდ, იმერეთის მეფე-მთავრები თავიანთი ძალაუფლებისა და ტერიტორიების გაფართოებისათვის ბრძოლაში, ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებდნენ არა მარტო შინაურ და აბაზ-ადიღელების ძალებს, არამედ დამპყრობელ თურქ-ოსმალებსაც. შარვაშიძეთა სახლის აღნიშნული მოქმედება იმ ვითარების ფონზე, რაც მაშინდელ დასავლეთ საქართველოში სუფევდა, ლოგიკური ჩანდა. მაგრამ ასეთ მოქმედებას სხვა მითითებულ ფაქტორებთან ერთად დამანგრეველი შედეგები მოყვა მთელი დასავლეთ საქართველოსათვის და უფრო მეტად აფხაზეთისა და სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილისათვის. ასეთი დაპირისპირების დროს საკმაო ნაწილი მოსახლეობისა ამოწყდა და ტყვედ გაიყიდა, ნაწილი იძულებული გახდა სიცოცხლისა და თავიანთი მონაგარის შენარჩუნებისათვის აფსუობისაკენ ექნათ პირი.

* * *

გვიან შუა საუკუნეებში, პირველი დაპირისპირება საქართველოს (სამეგრელოს სამთავროს) ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური ტომებიდან მოუხდა ჯიქებთან. „ჯიქების“ სახელს ქართული და უცხოური წყაროები იყენებენ, როგორც საკუთრივ საძ-ჯიქების, ასევე ზოგადად აბაზ-ადიღელების აღსანიშნავად.[2] პირველი წერილობითი წყარო (რამდენადაც ჩვენთვის ცნობი-

---

[1] ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, I, დასახ. გამოცემა, გვ. 89, 109.

[2] ვ. გუჩუა, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის XVI საუკუნეში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, დასახ. გამოცემა, გვ. 87-88; მ. ცინცაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 21-22 და სხვა.

ლია), რომელიც ჯიქებისა და სამეგრელოს მთავრის ვამეყ დადიანის (1384-1396 წწ.) დაპირისპირებას გადმოსცემს, არის ხობის მონასტერში შემორჩენილი ასომთავრული წარწერა, რომელიც ჯიქეთში ვამეყ დადიანის ლაშქრობის მიზეზსაც აღნიშნავს. ვამეყ დადიანი „... მიუხდა ჯიქეთს ურწმუნოებისა და ორგულობისათჳს, რათამცა მოემსახურა და სძლო და შეურაცხ და უჴმარ იქმნა მათი სიმაგრენი. გაგარი და უღაღნი, ყოველნივე ძალით მოირჭმუნა, მრავალთა ჯიქეთს პატრონთაგან მიუვალნი მოარბივნა, რაოდენნი მოეწყო, მათი მძევალნი წამოასხნა და სხუანი აოტნა".[1]

მას შემდეგ, რაც თურქებმა ფეხი მოიკიდეს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, მათი წაქეზებითა და მხარდაჭერით, კიდევ უფრო გაძლიერდა ჯიქებისა და მათი მონათესავე ტომების თავდასხმები საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო ტერიტორიებზე. როგორც ცნობილია XV ს-ის 60-იანი წლებიდან თურქ-ოსმალები საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან (1461 წელს ტრაპიზონის აღების შემდეგ) გაუმეზობლდნენ, ხოლო ჩრდილო-დასავლეთიდან ამ საუკუნის 70-იანი წლებიდან, როცა 1475 წელს ყირიმი, შემდეგ კი ანაპა დაიპყრეს და საკმაოდ მტკიცედ მოიკიდეს ფეხი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. აქედან მოყოლებული, თურქ-ოსმალები ყოველნაირად ცდილობდნენ იმიერკავკასიაში მუსლიმანობის და თურქული ენის გავრცელებას, მის საბოლოო დაპყრობას. XVI ს-დან საძჯიქები თურქების დახმარებით კიდევ უფრო გააქტიურდნენ და ინტენსიურად იწყეს ბრძოლა აფხაზეთის ტერიტორიების დასაპყრობად. ჯიქები ხშირად ესხმოდნენ თავს „აფხაზეთის", ოდიშის და გურიის სანაპირო სოფლებს, ძარცვავდნენ და ატყვევებდნენ მოსახლეობას, რომლებსაც ოსმალებზე ყიდდნენ.[2] ჯიქების თავ-

---

[1] ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო, ტ. 3. ტფ., 1913-1917, გვ. 133.

ვ. გუჩუა, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV-XVI სს-ის მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, დასახ. გამოცემა გვ. 87; მისივე, ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს-ის პირველ ნახევარში, იქვე, გვ. 103; მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. თბ., 1971, გვ. 138; მისივე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.) თბ., 1990, გვ. 151-153; ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, I, 1969, გვ. 133.

დასხმების შედეგები მეტად მძიმე იყო დასავლეთ საქართველოს სანაპირო მოსახლეობისათვის. იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის (1510-1565) ხელშეწყობით 1533 წლის იანვარში, სამეგრელოს მთავარმა მამია III დადიანმა (1512-1533) და გურიის მთავარმა მამია I გურიელმა (1512-1534) მოაწყვეს ლაშქრობა ჯიქეთის წინააღმდეგ. პირველ დღეს გამართულ ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ სამეგრელოს ლაშქარში განხეთქილებამ იჩინა თავი, მებრძოლების ნაწილმა დატოვა დადიანი და მეორე დღეს ქართველთა ლაშქარი დამარცხდა ბრძოლაში. ახალი ქართლის ცხოვრება შემდეგნაირად აღწერს ამ ბრძოლებს: „დადიანი მამია და გურიელი მამია წარვიდეს ჯიქეთს საბრძოლოდ ზღვით ნავებითა, და შეიბნეს თუესა იანვარსა ოცდაათსა. პირველსა დღესა ამათ გაემარჯუა; მეორესა დღესა, პარასკევსა, განრისხდა ღმერთი ოდიშართა თავს, უღალატეს და გამოექცნეს, დადიანი და გურიელი და გურიელის ლაშქარი დაუტეხეს; მოეტევნეს ჯიქნი და შეიბნეს: მრავალი დაჴოცეს დადიანმან, გურიელმან და გურიელის ლაშქართა. მოკლეს გურიელის შვილი გიორგი და მისნი აზნაურშვილნი. დაღალულნი ომისაგან შეჩუენებულმან ცანდია ინალდიფითა განიდევნა, დადიანი გააშიშულეს, სრულიად შიშველი დაჭრეს გურიელი და სამნი მისნი ძმანი და ეპისკოპოსნი, და მისნი ლაშქარნი ტყუე ყვეს. წარვიდა მალაქია კათალიკოზი და გამოიჴსნნა ცოცხალნი, და მკუდარნი ფასით იყიდნა“.[1]

მითითებული წყაროების მონაცემებიდან კარგად ირკვევა, რომ საძ-ჯიქები აბაზურ-ადიღეური ტომებიდან პირველია, რომელიც ზოგიერთ აბაზურ ტომებთან ერთად გზას იკაფავდა ისტორიული კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ზღვისპირა ტერიტორიის ასათვისებლად. პირველად, როგორც აღინიშნა, მდ. აქეუნტა-შახემდე გავრცელდა მათი საცხოვრისი (V ს-ის ანონიმი), და ასე მოექცა ის ჯერ „აფხაზთა სამეფოს“ საზღვრებში, ხოლო შემდეგ გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრიობაში.

[1] ქართლის ცხოვრება, ტ, II, დასახ. გამოცემა, გვ. 497.

გვიან შუასაუკუნეებშიც კი, დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველოს პერიოდში, ეტაპობრივად მოიწევდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და XVIII ს-ის მეორე ნახევარში უკვე მისი სამფლობელო ტერიტორია მდ. ბზიფამდე (ვახუშტი ბატონიშვილი), ზოგიერთი ავტორის ცნობით კი გაგრის ციხის ნანგრევამდე აღწევს (ედ. აიხვალდი).

აფსუა-აფხაზების წინაპრები და მათი უახლოესი მონათესავე აბაზების მნიშვნელოვანი ნაწილი სამხრეთისაკენ, კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ზეკარებით მოიწევდნენ, ერთი მხრივ ბზიფის და გუმისთის აფხაზეთის მხრიდან, მარუხის გადმოსასვლელით, ხოლო მეორე მხრივ კოდორის სათავეებისაკენ ქლუხორის უღელტეხილით, რომელიც კოდორისა და მდ. ყუბანის სათავეებს აკავშირებს ერთმანეთთან.[1] დღევანდელი აფხაზების უდიდესი ნაწილი, აბაზურ ტომებთან ერთად, ჯერ კიდევ კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებზე ცხოვრობდნენ. ყუბანისპირეთიდან მათი ინტენსიური მოძალება სამხრეთისაკენ XVII ს-ის 40-იანი წლებიდან უნდა დაწყებულიყო და დამთავრებულიყო XVIII ს-ის ბოლოს.[2] იტალიელი ჯაკომო გასტილდის 1561 წელს შედგენილ რუკაზე, დღევანდელი სოხუმის სახელად აღნიშნული აქვს **Sanatopoli** (ბერძნულ-ლათინური წყაროების სებასტოპოლი), რომელიც სამეგრელოს რეგიონში აქვს მითითებული. ჯაკომო გასტილდის რუკაზე დღევანდელი სოხუმის აფსუურ-აფხაზური სახელი აყვა (**Acua** – იტალიურად იკითხება, როგორც აკვა) მდინარე ყუბანის შენაკადზე დასახლებულ პუნქტს ეწოდებოდა. აფსუური სახელი აყვა (დამყაყებული წყალი) მას შემდეგ უნდა შერქმეოდა სოხუმს, როდესაც იქ დასახლდნენ აფსუები. ეს კი XVII ს-ის ბოლოდან უნდა განხორციელებულიყო. იმერთა მეფე ალექსანდრე V-ის მიერ 1737 წელს შედგენილ დასავლეთ საქართველოს

---

[1] მ. ციცაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 16-17; თ. გვანცელაძე, დასახ. ავტორეფერატი, გვ. 43.

თ. გვანცელაძე, 1561 წლის უცნობი იტალიური რუკა და აფხაზთა ისტორიული ლოკალიზაცია, ჟურნალი არტანუჯი, №6, გვ. 28-31; მისივე, დასახ. ავტორეფერატი, გვ. 43.

რუკაზე, უკვე ცხუმ-სოხუმის ნაცვლად აყუ-ჯიხაა მითითებული.[1] ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს აფსუა-აფხაზების გვიან ჩამოსულობაზე ისტორიული აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღვისპირეთში.

მართალია, გვიან შუა საუკუნეებშიც, როგორც უკვე ითქვა, ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა დასახელების აბაზურ-ადიღეური ტომები და იქ მოსახლე მკვიდრი ქართველური მოსახლეობა „აფხაზებად“, ხოლო მათი საცხოვრისი „აფხაზეთად“ იწოდებოდა, მაგრამ თვით დღევანდელი აფხაზები თავიანთ თავს „აფსუა“-ს, ხოლო აფხაზეთს „აფსნი“-ს ეძახიან. გამონაკლისია კიდევ თურქული ენა, რომელშიც უფრო ფართო მოცულობის ტერმინი „აბაზა“, „აფხაზთა“ სახელწოდებად გამოიყენება XVI ს-ის მეორე ნახევრიდან.[2] ქათიბ ჩელების „ჯიჰან ნუმა“-ს ჩანართში, რომლის ავტორი აბუ ბექრია (XVIII ს-ის 80-იანი წლები), ნათქვამია: „აბხაზი ტომის სახელია, რომელსაც ჩვენ დროში ისლამის ქვეყნებში აბაზას უწოდებენ“.[3] ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, რომელსაც ნ. ბერძენიშვილმა არც თუ ისე ფუძემდებლური ნაშრომი უწოდა.[4] სხვა საკითხია, რამდენად ობიექტურია ევლია ჩელების ცნობები,[5] მაგრამ ნიშანდობლივია ის, რომ როგორც სხვაენოვანი წყაროები „აფხაზი“-ს სახელში გულისხმო-

---

[1] თ. გვანცელაძე, ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის, ჟურნ. არტანუჯი, №10, თბ., 2000, გვ. 55-57; მისივე, 1561 წლის უცნობი იტალიური რუკა..., გვ. 31; მისივე, აფხაზეთთან დაკავშირებული ჩანართები ჯუანშერის მატიანის ტექსტში, გვ. 95.

ც. აბულაძე, საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით წყაროებში, კრ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, გვ. 274-275.

გ. ალასანია, ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოს შესახებ, დასახ. გამოცემა, გვ. 133.

ნ. ბერძენიშვილი, ტ. VIII, მეორე გამოცემა, გვ. 606.

იხ. გ. ანჩაბაძე, ევლია ჩელების ცნობები აფხაზური და აბაზური ტომების შესახებ, საისტორიო კრებული, ტ. VI, თბ., 1976, გვ. 74.

ბენ სხვა არაერთი დასახელების ტომს, ასევე მას „აბაზა"-ს სახელის ქვეშ დაწყებული დღევანდელი, აფხაზეთით, ციხესიმაგრე ანაპას ნავსადგურით დამთავრებული, ჩამოთვლილი ჰყავს 25-მდე დასახელების სხვადასხვა ტომი.[1]

უნდა აღინიშნოს ერთი ვითარებაც, დღევანდელი აფხაზების თვითსახელწოდება „აფსუა" და აფხაზეთის სახელი „აფსნი" ვერ დამკვიდრდა ისტორიულ აფხაზეთში, მაშინ, როცა იმიერკავკასიაში, მდ. ყუბანის აუზში (აფსუა-აფხაზების პირვანდელ სამშობლოში) „აფსუა" სახელი აბაზების რამდენიმე აულს შერჩა.[2] სხვა საკითხია, რომ მკვლევრები ამ საკითხს სხვადასხვა მიზეზით ხსნიან. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ აღნიშნული ფაქტი პირიქითა კავკასიაში დასტურდება მხოლოდ და არცერთ შემთხვევაში ისტორიულ აფხაზეთში. როგორც ფიქრობენ, თვითსახელწოდება „აფსუა" ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს ეთნონიმ „აბაზა"-ს, რაც სრულიად ბუნებრივია ისტორიულ-გენეტიკური თვალსაზრისით.[3] ხოლო აბაზური და აფხაზური (აფსუური) ენები ერთი ენობრივი ერთეულის ორი დიალექტია მხოლოდ.[4] „აფხაზი" და თვითსახელწოდება „აფსუა" სხვადასხვა შინაარსის ტერმინებია.[5] „აფსუა" ეთნონიმია, ხოლო „აფხაზი", როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, VI ს-ის 50-იანი

---

[1] ევლია ჩელები, „მოგზაურობის წიგნი" თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, თბ., 1971, გვ. 100-105; ნაკვ. II, თბ., 1973, გვ. 69-70, 103, 107.

С. Басария, Абхазский аул в Мало-Карачаевском округе, Сухум. 1929, გვ. 12; Ш. Д. Инал-Ипа, Абхазы, Сухуми, 1965, გვ. 47; მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, მაცნე, ისტორიის..., თბ., 1992, გვ. 65, 110 (იხ. სქოლიო). Волкова Н. Г., Лавров Л. И. Современные этнические процессы. Культура и быт народов Северного Кавказа, М., 1968, გვ. 232-233.

თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა..., დასახ. გამოცემა, გვ. 586.

ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, გვ. 14.

მ. ლორთქიფანიძე, ეგრის-აფხაზეთი, საქართველოს ისტორია (სახელმძღვანელო), დასახ. გამოცემა, გვ. 206.

წლებიდან, უფრო მტკიცედ და ვრცლად VII ს-ის დასაწყისიდან (ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, მდ. კლისურა-კელასურიდან მდ. აქეუნტა-შახემდე) დამკვიდრდა არა როგორც ეთნონიმი, არამედ როგორც ზოგადი ტერმინი – პოლიტონიმი, ხოლო აღნიშნულ სივრცეში „აფხაზეთი“ გავრცელდა, როგორც გეოგრაფიული და ადმინისტრაციული რეგიონის სახელი, რომლის გავრცელების არეალი ხან მცირდებოდა და ხანაც ფართოვდებოდა. მაგრამ ტერმინებმა ბოლომდე შეინარჩუნეს თავისი შინაარსი. „აფხაზი“, გარდა საკუთრივ აფხაზური ენისა, ყველა ენაში აღნიშნავს აფხაზეთის მკვიდრ მოსახლე ხალხს[1], მიუხედავად მათი წარმომავლობისა.

რაც შეეხება გვიანი შუა საუკუნეების (XVI-XIX სს-ის) აფხაზ (აფსუა) ხალხის მიმართებას ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების აფხაზ-აბაზგებთან, – ამის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელზედაც ნაწილობრივ იყო უკვე საუბარი. აღნიშნულ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად ნ. ბერძენიშვილის აზრია გაზიარებული[2]. მართალია ნ. ბერძენიშვილი თავისი ნაშრომის (საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1990, გვ. 616) ერთ გვერდზე წერდა: „ერთ-ერთი ხელისშემწყობი პირობათაგანი იმისა, რომ მთიელმა აფხაზებმა შედარებით ადვილად შეითვისეს მათი დამხვდური თანამოძმენი, იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობა, ხალხის ფართო მასა ინარჩუნებდა თავის საკუთარ ენას“ და სხვა. ე. ი. ნ. ბერძენიშვილი აღიარებდა მომხდური მთიელი აფხაზ-აფსუების და დამხდური აფხაზეთის მოსახლეობის ერთი ნაწილის ერთმანეთთან ნათესაობას. მაგრამ ნ. ბერძენიშვილი, როცა არქანჯელო ლამბერტის ცნობებს იხილავდა მისთვის ჩვეული სიღრმითა და ენთუზიაზმით, თითქოს გაოცებითაც აღნიშნავდა: „... რომ აფხაზები აგრე გვანან კავკასიის მთიელ ხალხებს ყოფაში, სარწმუნოებით, რომ ისინი ციხეე-

---

[1] თ. გვანცელაძე, კვლავ ეთნონიმ „აფხაზი“-სა... დასახ. გამოცემა, გვ. 571.

[2] ე. ხოშტარია-ბროსე, აფხაზეთის ისტორიის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2000, გვ. 30.

ბსა და ქალაქებში არ ცხოვრობენ, რომ როგორც ჩანს, მეხორბლეობა სულ არ აქვთ, ან მეტად მცირე, რომ ისინი მეგრელებს არ ჰგვანან ყოფა-ცხოვრებით, – ყველაფერი ეს იმის მოწმობაა, რომ XVII საუკუნის აფხაზები მართლაც კავკასიანებია, საკმაოდ გვიან ჩამოსულნი ბარში. მათ ჯერ კიდევ ვერ აუთვისებიათ ბარი და მთიულურ ცხოვრებას განაგრძობენ. რა თქმა უნდა, ესენი არ არიან აბორიგენები. მათ ვერ შეუთვისებიათ ქრისტიანობა, ისევე, როგორც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური მეურნეობა (ამ ყოვლად „უხვსა და ნოყიერ ქვეყანაში").[1] ყველაფრიდან ჩანს, რომ აფხაზები XVII საუკუნეში თავისთავადი ხალხია, კავკასიელთა მონათესავეა, პრიმიტიული ყოფით და წარმართული რელიგიით, ისინი არ არიან VIII-XVI სს-ის განვითარებული ფეოდალური და ქრისტიანული აფხაზეთის მემკვიდრეები.[2] ნ. ბერძენიშვილს სრულიად შეუძლებლად მიაჩნია, რომ აფხაზეთში ფეოდალური ინტენსიური მეურნეობა ექსტენსიური მთის მეურნეობით შეცვლილიყო, განვითარებული 1000 წლოვანი ყოფა-კულტურა, ქრისტიანობა, განვითარებული სოციალ-ეკონომიკური წყობა, შეცვლილიყო წარმართობით, პირველყოფილი მეურნეობით, საერთო ჩამორჩენილობით, რომ არა აფხაზეთის დასახლება მთური მოსახლეობით.[3]

ნ. ბერძენიშვილის ამ მოსაზრებას ვიზიარებთ, მით უფრო, როცა, ჩვენი აზრით, 550 წელს ბიზანტიელების მიერ აფხაზ-აბაზგების აჯანყების ჩახშობის შემდეგ და შედეგად აღარც არსებობდა აფხაზ-აბაზგების ტომობრივი გაერთიანება. ამდენად აფხაზეთის ტერიტორიაზე გვიან საუკუნეებში (XVII-XVIII სს-ში) ჩამოსახლებული აფსუა-აფხაზები, – თუნდაც ძველი აფხაზ-აბაზგები აბაზურ-ადიღეური ჩამომავლობისად მიგვეჩნია, – მაინც ვერ ჩაითვლებოდნენ მათ უშუალო მემკვიდრეებად, აღნიშნული მიზეზების გამო. 10-11 საუკუნის მანძილზე (550 წლიდან),

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, დასახ. გამოცემა, გვ. 614.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 614-615.

„აფხაზეთი“-ს სახელით წოდებულ რეგიონში აბაზგ-აფხაზური ეთნო-ერთეული აღარც არსებობდა.

ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე მთიდან ექსპანსიის გზით მოსული აფსუა-აბაზების მოძალება, აიძულებდა ადგილობრივ ქართველურ მოსახლეობას თავისი სიცოცხლისა და მონაგარის გადარჩენისათვის ეზრუნა, ერთ-ერთ გზას გააფხაზება-გააფსუებაში ხედავდნენ. გარდა ამისა, ფეოდალური უღლის ქვეშ მყოფი ადგილობრივი ქართველური მოსახლეობა ადვილად ურიგდებოდა მთიდან ჩამოსულთ, რომელთაც პრიმიტიულ ყოფასთან ერთად სოციალური თავისუფლებაც მოჰქონდათ. მეზობელი რეგიონებიდანაც გადადიოდა ქართველობა და აფხაზდებოდნენ, მხოლოდ იმიტომ რომ, სოციალური თავისუფლება მოეპოვებინათ.[1] ამიტომ არის, რომ დღევანდელ აფხაზურ გვარეულობაში უდიდესი უმრავლესობა, რომლებიც გაფორმებულია -ია, -ვა, უა, -ძე, შვილი სუფიქსებით, ქართული წარმოშობისაა.[2] მეცნიერების ნაწილი იმასაც ფიქრობს, რომ აფხაზურ გვარეულობებში 70%-ზე მეტი ქართული წარმომავლობის გვარსახელია.[3] ამ ბოლო დროს, ფართო მოცულობის საბუთიანობის საფუძველზე, გამოვლენილი და შესწავლილია ქართული წარმოშობის „აფხაზური“ გვარეულობები.[4]

ბუნებრივია, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, აფსუა-აბაზ-ადიღელების ინტენსიურ ჩამოსახლებას შედეგად მოჰყვა ღრმა ცვლილებები: როგორც ეთნო-კულტურულ, ისე სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, რელიგიურ თუ სხვა რიგის სფეროებში. ჩამოყალიბდა თანამედროვე აფხაზური (აფსუა)

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ტ. VIII, 1990, გვ. 615-616.

ბ. ხორავა, ეთნიკური პროცესებისათვის გვიანი შუასაუკუნეების აფხაზეთში (აფხაზური გვარ-სახელები), საისტორიო კრებული, არტანუჯი, 10, თბ., 2000, გვ. 46.

თ. მიბჩუანი, აფხაზური სეპარატიზმის სისხლის ნაკვალევზე, თბ., 1994, გვ. 82-88; ა. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა, ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995, გვ. 52.

გ. გასვიანი, აფხაზეთი, ძველი და ახალი აფხაზეთი, თბ., 1998, გვ. 153-185, 235-245.

ეთნოსი. ფრიად საყურადღებოა, რომ დღევანდელი აფხაზები (აფსუები), ეკუთვნიან ქართულ ანთროპოლოგიურ ტიპს (წინააზიური რასის შავი ზღვისპირულ ანთროპოლოგიურ ნაირსახეობების შემადგენლობას). განსხვავებით მათი ენობრივად უახლესი მონათესავე აბაზ-ადიღელების ჯგუფებისა, რომელნიც ანთროპოლოგიურად ერთიანდებიან პონტური რასის ადიღეური ნაირსახეობების ტიპში.[1] ასე რომ, როგორც მართებულად აღნიშნავენ, ჩამოსული მთიელების (აფსუა-აბაზ-ადიღელების) და ადგილობრივი ქართული მოსახლეობის შერევა-შერწყმის შედეგად გაიმარჯვა ადგილობრივმა ფიზიკურმა ტიპმა, ხოლო მოსულების ენამ[2].

---

[1] М. Абдушелишвили, Антропология древного и современного населения Грузии, Тб. 1964; И. П. Ладрия, К изучению дематоглифики населения Западного Кавказа, СЭ, М., 1975, №4, გვ. 59–72. 121–130.

[2] ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, გვ. 5. იხ. აგრეთვე, შ. დ. ინალ-იფა, აფხაზები, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, დასახ. გამოცემა, გვ. 30.

დასკვნა[1]

1. მიუხედავად აფხაზ-აბაზგების და აფშილ-აფსილების აბაზურ-ადიღეური, თუ ქართველური ნარმომავლობისა, ისინი ახ. წ. I-II საუკუნეებიდან დანამდვილებით ცხოვრობდნენ ისტორიული კოლხეთის, – დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორაზე. აფშილ-აფსილები მდ. ეგრისწყალღალიძგასა და მდ. კლისურა-კელასურს შორის. სებასტოპოლ-ცხუმიდან მდ. აქეუნტა-შახემდე, ჯიქების საზღვრამდე სანიგები იყვნენ განსახლებული, ხოლო დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ მთიანეთში აფხაზ-აბასკები ცხოვრობდნენ[2], ჩვენი აზრით, თავიანთი თანამოსახელე მდინარის, აბასკოს-ფსოუს აუზის მთიანეთში, საკუთარი სატომო ერთხელისუფლების ქვეშ. ეს რეალობაა და პირდაპირ დასტურდება მეტად სანდო წყაროთი[3]. აფხაზ-აბაზგების განსახლების შესახებ სხვაგან გვაქვს ვრცლად საუბარი[4], და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მაგრამ კვლავ დაბეჯითებით მივუთითებთ პროკოპი კესარიელის ცნობებზე, რომლებიც სრულიად ნათლად და არაორაზროვნად განსაზღვრავენ აფხაზ-აბაზგების ადგილ-საცხოვრისს მთიანეთში. „... პირისპირ კავკასიის მთა მთავრდება, აქ ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, მათ შორის ალანებიც და აბაზგებიც, რომლებიც ქრისტიანები არიან და ძველიდანვე რომაელთა მეგობრები, აგრეთვე ზიქნიც და მათ შემდეგ ჰუნებიც"[5]. მეორეგან პროკოპის უფრო მეტი სიცხადე შეაქვს აბაზგების საცხოვრი-

---

[1] ნაშრომის დასკვნით ნაწილში კვლევის მხოლოდ ძირითად შედეგებზეა საუბარი.

ფლავიუს არიანე, დასახ. გამოცემა, იხ. შესავალი, გვ. 6.

ფლავიუს არიანე, დასახ. გამოცემა. გვ. 43.

იხ. დ. ლეთოდიანი, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგების პოლიტიკური ..., დასახ. გამოცემა, გვ. 132-164. მისივე, აფხაზ-აბაზგების განსახლება, მათი სახელის და ტოპონიმ „აფხაზეთის" გავრცელება საქართველოში, დასახ. კრებული, გვ. 214-220.

პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 100.

სის შესახებ, – კავკასიონის მთის გასწვრივ ცხოვრობენ ბრუქები, აბაზგებს და ალანებს შუა, ხოლო ევქისინის პონტოს ნაპირას ზიქები არიან დამკვიდრებული"[1]. პროკოპი აქ მოხმობილ ორივე ცნობაში, აფხაზ-აბაზგების მოსახლეობას, კავკასიონის მთის გასწვრივ და ჩრდილო-კავკასიურ ტომებთან: ბრუქებთან და ალან-ოსებთან მეზობლობაში აღნიშნავს. ვფიქრობთ, ეს ცნობები მეტ განმარტებას არ საჭიროებს, რაც შეეხება აფხაზ-აბაზგების და ჯიქების ზღვისპირა მეზობლობას, ამაზე ქვემოთ შევაჩერებთ ყურადღებას.

როგორც მართებულად ფიქრობენ, აფშილ-აფსილები და აფხაზ-აბასკები ისტორიულ კოლხეთის ტერიტორიაზე იმ დროიდან ცხოვრობდნენ, რა დროიდანაც ჩნდება მათი სახელები წერილობით წყაროებში[2]. მართლაც, თავი რომ დავანებოთ ძვ. წ. I საუკუნეზე ადრინდელ წყაროებს, რომლებთანაც ოდნავი მინიშნებაც კი არ არის აფშილ-აფსილების და აფხაზ-აბაზგების სახელის ცოდნაზე, საკმაოდ ავტორიტეტული და სანდო ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი (ძვ. წ. 64/63 – ახ. წ. 23/24 წწ.), რომელსაც ხელთ აქვს წინა საუკუნეების სანდო წყაროები (არტემიდრე ეფესელის, მითრიდატე ევპატორის ისტორიკოსების და სხვთა ნაშრომები) და თვითონაც გააჩნია პრეტენზია, თავისი დროისათვის სრულად ჩამოთვალოს სახელობით, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ტომები, – ის ამას ასეც აკეთებს, – ვერ ასახელებს აფსილებსა და აბაზგებს. ის მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ სანაპიროზე სახელობით ჩამოთვლილ ტომების გარდა, კავკასიონთან ცხოვრობენ სხვა პატარა ტომები[3].

მხოლოდ ახ. წ. I ს-ის მწერალი პლინიუსი ახსენებს პირველად აფსილების სახელს ლაზებსა და სანიგებს შორის (მდ. კლისურა-კელასურსა და მდ. ეგრისწყალ-ლაღიძგას შუა)[4].

---

[1] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 135.

მ. ინაძე, ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საკითხისათვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე", გვ. 161-162.

თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1957, გვ. 120-121.

Плиний Секунд. Вестник Древней Истории, 1949, №2, გვ. 290-291.

2. III ს-დან დასავლეთ საქართველოში წინაურდება ეგრისის (ლაზიკის სამეფო), რომელიც IV ს-ის დასასრულიდან V ს-ის პირველ ნახევარში აერთიანებს მთელ დასავლეთ საქართველოს, ტრაპეზუნტიდან ნიკოფსიამდე და კავკასიონამდე, ზღვიდან ლიხის ქედამდე[1]. გაძლიერებული ეგრისის (ლაზიკის) სამეფო IV ს-ის დასასრულს ჯერ იერთებს აფშილეთს, შემდეგ სანიგეთის ნაწილს სებასტოპოლ-ცხუმიდან ბიჭვინთის ჩათვლით, შემდეგ აბაზგებს და, მთელ დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიას, თავისი მოსახლეობით. აფშილეთის და სანიგების დაპყრობილ ტერიტორიას უშუალოდ უმორჩილებს სამეფო ხელისუფლებას. VI ს-ის 50-იან წლებში, ეგრისის მეფის მიერ აღზევებულ წარჩინებულ ტერდეტს, რომელსაც მაგისტროსის თანამდებობა უჭირავს ეგრისში[2], ემორჩილება აფშილები და, ჩვენი აზრით, სანიგეთის პროვინციაც სებასტოპოლ-ცხუმიდან ბიჭვინთის ჩათვლით. ე. ი. სანიგების და აფშილების პროვინციები უმეშველოდ ყავს შეერთებული ეგრისის სამეფოს[3]. ბიჭვინთის დასავლეთით მცხოვრები სანიგები, ეგრისის სამეფოს ესქსპანსიისაგან შევიწროებულნი, კარგავენ ზღვის სანაპირო ტერიტორიას ბიჭვინთის დასავლეთიდან, ვიდრე მდ. აბასკოს-ფსოუმდე (დღევანდელ გაგრის რაიონს). მხოლოდ მდ. აბასკოს-ფსოუდან მდ. აქეუნტა-შახემდე, ჯიქების საზღვრებამდე ინარჩუნებენ სანიგები თავიანთ ეთნოპოლიტიკურ ავტონომიას[4]. ვის უნდა დაეჭირა პოლიტიკურად დაკარგული, თუ სანიგების ეთნოსისაგან დაცლილი მათი ადგილ-საცხოვრისი? ვფიქრობთ, ეს სანაპირო ზოლი (დღევანდელი გაგრის რაიონი) 240 სტადიონ მანძილზე, ბიჭვინთის დასავლეთი, ვიდრე მდ. აბასკოს-ფსოუმდე, დაეჭირა აბაზგებს[5], არა უგვიანეს V ს-ის პირველი ნახევრისა და თა-

---

[1] ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, II, დასახ. გამოცემა, გვ. 318-319; გ. მელიქიშვილი, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ახ. წ. პირველ საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., გვ. 556, 558; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, I, გვ. 85-101; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 70-74 და სხვა.

პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 162-163.

ვრცლად იხ. დ. ლეთოდიანი, აფხაზეთის, აფშილეთისა და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან, გვ. 120-140 და სხვა.

ანონიმი V საუკუნის, გეორგიკა, II, გვ. 10-11.

დ. ლეთოდიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 134-140.

ვისი ადმინისტრაციული ცენტრიც გაგრაში გადმოეტანა. გაგრა-ტრაქეა ხომ ადგილობრივი მოსახლეობისაგან (აბაზგებისგან) აშენებული ციხე-სიმაგრეა[1]. რა თქმა უნდა, აბაზგები თავიანთ საბინადრო ადგილებს მთაშიც ინარჩუნებენ, როგორც პროკოპი იტყოდა თავისი დროისათვის (VI ს.), ისინი მოსახლობდნენ ზღვიდან კავკასიონის მთამდე[2]. არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ პროკოპი კესარიელი გვიანანტიკურ და ადრე შუა საუკუნეების მწერლებს შორის პირველი და ერთადერთი მწერალია, რომელიც პირველად და პირდაპირ მიუთითებს აბაზგების ზღვის სანაპიროზე მოსახლობას, მათ მეზობლობას ჯიქებთან და იმასაც, რომ აფხაზეთის სამთავრო ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნაწილისაგან შედგება.

მაშასადამე, აფხაზ-აბაზგები სწორედ V ს-ის პირველი ნახევრიდან ითვისებენ შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიას და სამხრეთიდან უმეზობლდებიან სანიგების ეთნო-პოლიტიკურ ერთეულს, რომელსაც შენაჩუნებული აქვს თავისი საცხოვრისი. V ს-ის ანონიმის გადმოცემით: „აქეუნტის წყლიდან ვიდრე აბასკის წყლამდე ცხოვრობენ სანიგები", რომლის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ჯიქებამდე ვრცელდება[3]. რადგან ეს დანამდვილებით ასეა, მაშინ პროკოპი კესარიელი თავისი დროისათვის (VI ს-ის პირველი ნახევრისათვის) ზემოთ მითითებულ ცნობებში რატომ მიიჩნევს ასე დაბეჯითებით სანაპიროზე აფხაზ-აბაზგების ჯიქებთან მეზობლობას, ან რატომ ასევე დაბეჯითებით აღნიშნავს, ყველა წყაროსაგან განსხვავებით, – ვინც კი აფხაზ-აბაზგების სახელს იცნობს, რომ აფხაზ-აბაზგებს ორი თვისტომი მთავარი ყავს, რომ ფაქტობრივად ის ორი ადმინისტრაციული ერთეულისაგან შედგება? – „... ზღვის პირას აბაზგები მოსახლობენ, რომელთა საბინადრო ადგილები კავკასიონის მთებამდე გრძელდება, აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი, ამათგან ერთი დაწესებული იყო დასავლეთის ნაწილში, ხოლო მეორე აღმოსავლეთისაში"[4], – წერს პროკოპი კესარიელი.

---

[1] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 158-159.

[2] იქვე, გვ. 133.

[3] ანონიმი V საუკუნისა, გეორგიკა, II, გვ. 10-11.

[4] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა. გვ. 133.

რადგან პროკოპი კესარიელის მონაცემებით, აფზახეთში გაერთიანებულია ორი სატომო ერთეული, ერთი დასავლეთის, ხოლო მეორე აღმოსავლეთის ნაწილის სახით და სანაპიროზე მდ. აქეუნტა – შახესთან ემიჯნება ჯიქებს, ხოლო ჩვენ კი, V ს-ის ანონიმის ცნობით, დანამდვილებით ვიცით, რომ ჯიქებს, სანაპიროზე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სანიგების ეთნო-პოლიტიკური ერთეული ემეზობლება, ამიტომ ვფიქრობთ, რომ, პროკოპისაგან აფხაზეთის დასავლეთ ნაწილში მითითებული ტომი არის სანიგების ეთნო-პოლიტიკური ერთეული. ეს საკითხი საკმაოდ არგუმენტირებულად და ვრცლად სხვაგან გვაქვს ახსნილი,[1] და სიტყვას უფრო მეტად აღარ გავაგრძელებთ, მაგრამ ზოგი რამ აქაც უნდა გავიმეოროთ. როცა აფხაზ-აბაზგები ბიზანტიელებს აუჯანყდნენ 550 წელს, პირველი პროტესტი, რაც მათ ბიზანტიელების საპირისპიროდ გამოხატეს, იყო აფხაზეთის ორ სამთავროდ გაყოფა, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად. დასავლეთის ადმინისტრაციული ერთეულის მთავრად სკეპარნა, ხოლო აღმოსავლეთის ნაწილის მთავრად ოფსიტე აირჩიეს[2]. საკითხის არსში ჩასაწვდომად მთავარი ის არის, რომ აჯანყების დროს, ბიზანტიელების დიდი ძალების წინააღმდეგ შებრძოლება მარტო აფხაზ-აბაზგების (აღმოსავლეთ ნაწილს) მოუხდათ. ამ დროს დასავლეთი ნაწილის (სანიგეთის) მთავარი სკეპარნა, ირანის შაჰმა ხოსრო-ანუშირვანმა თავისთან მიიწვია და იქ გაემგზავრა[3]. ყველაფერი ადვილი გასაგებია, აფხაზ-აბაზგების, ორივე ადმინისტრაციული ერთეული, რომ ერთი ტომისანი ყოფილიყვნენ, ძლიერი მტრის წინააღმდეგ შებრძოლებისას ორად როგორ გაითიშებოდნენ, ან თუნდაც სანიგების და აფხაზ-აბაზგების პოლიტიკური გაერთიანება თავის დროზე ნებაყოფილებით რომ შექმნილიყო, სანიგები აბაზგებთან უფრო შემჭიდროვდებოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, ვიდრე გამოეყოფოდნენ მათ ცალკე, მაგრამ აქ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე.

3. ბიზანტიის ხელისუფლებამ VI ს-ის 20-30-იანი წლებიდან, ეგრისის სამეფოში დაამძიმა თავისი დიდმპყრობელური პოლიტიკა, შემოიყვანა ჯარები და ჩააყენა ეგრისის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ციხე-

---

[1] დ. ლეთოდიანი, აფხაზეთის, აფშილეთისა და სანიგეთის პოლიტიკური..., გვ. 140-155 და სხვა. მისივე, აფხაზ-აბაზგების განსახლება..., დასახ. კრებული, გვ. 224-228.

[2] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 157.

[3] იქვე, გვ. 158.

სიმაგრეებში, პეტრა-ციხისძირი აქცია თავის საყრდენ ციხე-ქალაქად და იქ დასვა თავისი სახელმწიფო მოხელე – სტრატეგოსი, რომელიც უხეშად ერეოდა ეგრისის ხელისუფლების საშინაო თუ საგარეო საქმიანობაში[1]. გარდა ამისა ბიზანტიელები აშკარად დაუპირისპირდნენ ეგრისის სამეფოს, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე – ეგრისისაგან დამოუკიდებლად და მისგან გვერდის ავლით დაიწყეს სხვადასხვა ღონისძიებების გატარება აბაზგიასა და სანიგეთში (პროკოპით, აფხაზეთის ორივე ნაწილში), თუმცა ეს ეთნო-პოლიტიკური ერთეულები „ძველიდანვე" ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ[2], (V ს-ის პირველი ნახევრიდან მაინც). იუსტინიანე კეისარმა თავისი მიზნების განსახორციელებლად (ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თავისი უმეშვეო მმართველობის შესაქმნელად) საიმედო საყრდენ ძალად, მაშინ, აფხაზეთი მიიჩნია[3], და პირველ ხანებში, მისი მოსახლეობის ინტერესებიც გაითვალისწინა. იქ იმპერატორმა დასახული მიზნის მისაღწევად საგანგებოდ მიავლინა კონსტანტინოპოლში, სამეფო კარზე გაზრდილი აფხაზი ევნუქი ევფრატა. ევფრატას ენერგიული მოქმედებით და აფხაზთა ფართო წრეების მხარდაჭერით, ბიზანტიის ხელისუფლებამ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა აფხაზ-აბაზგიაში და სანიგეთში (მდ. აბასკოსიდან – მდ. აქეუნტა-შახემდე)[4]: აიკრძალა აფხაზი ბავშვების დასაჭურისება და ტყვედ გაყიდვა, აფხაზეთში გავრცელდა და განმტკიცდა ქრისტიანული სარწმუნოება, იუსტინიანე I-მა მათ ღვთისმშობლის სახელობაზე ტრაქეა-გაგრაში ეკლესიაც აუშენა, დაუწესა მღვდელმსახურება, კეისრის დახმარებით და მითითებით, ევფრატას აქტიური მოქმედებით, აბაზგიასა და სანიგეთში, – თითქოს მოსახლების სურვილისამებრ – გაუქმდა ადგილობრივი მმართველობა („მალე ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა და გადაწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ"[5]), შეიქმნა აბაზგებისა და სანიგების ადმინისტრაციულ-პოლიტიკური გაერთიანება „აფხაზეთ"-ის სახელითა და ევფრატას ხელისუფლებით, დაიწყო აქ საიმპერიო

---

[1] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 73-75.
იქვე, გვ. 133.
იქვე, გვ. 133-135.
იქვე, გვ. 134-135.
იქვე, გვ. 135.

კარის უმეშვეო მმართველობის დამყარება[1]. ბიზანტიის ხელისუფლებას ეს პოლიტიკა 535-542 წწ-ში უნდა გაეტარებინა[2].

ბიზანტიისაგან შევიწროებული გუბაზ II იძულებული გახდა აჯანყებულიყო და ბიზანტიელების წინააღმდეგ ირანელთა დამხმარე სამხედრო ძალები შემოეყვანა. ირანელთა ჯარები თვით ირანის შაჰის ხოსრო-ანუშირვან I-ის მეთაურობით შემოვიდა. ასე დაიწყო 542 წელს ეგრისში ეგრეთწოდებული „დიდომიანობა“, რომელიც 20 წელს გაგრძელდა. ბიზანტიელთა ჯარები განდევნილი იქნა ეგრისიდან. ბუნებრივია, ბიზანტიის ხელისუფლებამ შეწყვიტა ყველა სახის საქმიანობა ეგრისის სამეფოში. ირანელთა ჯარების ეგრისში ყოფნა უარესი სასჯელი აღმოჩნდა ეგრისელებისათვის, ირანის შაჰს გუბაზ მეფის მოკვლა და ეგრისელების გასახლებაც განუზრახავს. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ირანის ხელისუფლების ავი ზრახვები ეგრისისადმი, გუბაზ მეფემ პირი ბიზანტიისაკენ იბრუნა. 549 წელს იუსტინიანე კეისარს შერიგება და ირანელების წინააღმდეგ სამხედრო დახმარება სთხოვა. იუსტინიანემ გუბაზის თხოვნა სიამოვნებით დააკმაყოფილა და საკმაო რაოდენობის ჯარი შემოიყვანა ეგრისში[3], არა იმდენად ეგრისის დასახმარებლად, რამდენადაც თავისი სახელმწიფო ინტერესების დასაცავად. კონტანტინოპოლის ხელისუფლებას „დიდ ომიანობის“ დაწყების შემდეგ კიდევ უფრო გაუღრმავდა უნდობლობის გრძნობა ეგრისისადმი, მას უკვე იმ ერთადერთი ვალდებულების შესრულებასაც კი აღარ ანდობდა, რაც მას ბიზანტიასთან დამოკიდებულებაში ჰქონდა, – ჩაეკეტა კავკასიაზე გადმოსასვლელი კარები, რათა ჩრდილოელი მომთაბარე ტომების შემოსევებისაგან დაეცვა და უზრუნველეყო, როგორც თავისი, ისე ბიზანტიის სახელმწიფო საზღვრების უშიშროება. VI ს-ის 40-იანი წლებიდან

---

[1] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 133-135.
დ. ლეთოდიანი, აფხაზეთის, აფშილეთისა და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება..., გვ. 97-99.
სწორედ ამ გასასვლელებით და იქიდან მომთაბარე ტომების გადმოყვანით აინტერესებდნენ ხოსრო ანუშირვან I-ს ლაზი ელჩები, რომლებიც ბიზანტიის წინააღმდეგ სამხედრო დახმარების სათხოვნელად იყვნენ მასთან მისული, – „თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი. თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის წინააღმდეგ საფარს წარმოადგენს“. პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 81.

ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ბიზანტიის ხელისუფლებისაგან გატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები, აშკარად იმაზე მიუთითებს, რომ ბიზანტიამ თვითონ მოინდომა კავკასიონზე გადმოსასვლელების დაუფლება და მათი მტკიცე კონტროლის ქვეშ მოქცევა. მას სჭირდებოდა ეს არა მარტო სახელმწიფო საზღვრების უშიშროების დასაცავად, არამედ ჩრდილოეთთან და ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთის ქვეყნებთან კავშირ-ურთიერთობის დასამყარებლად და ირანზე გამავალი სატრანზიტო გზების გვერდის ასაქცევად.[1]

4. 549 წლის შემდეგ, როცა ისევ დაუბრუნდნენ ბიზანტიელები დასავლეთ საქართველოს, თავიანთი მიზნებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო გააძლიერეს VI ს-ის 20-30-იან წლებში დაწყებული პოლიტიკური ზეგავლენა, მათ კვლავ მიაპყრეს ყურადღება ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, კერძოდ აფხაზეთს და სანიგეთს. აშკარად დაიწყეს იქ უმეშვეო მმართველობის დამყარება და ამ სატომო ერთეულების თავიანთ პროვინციებად გადაქცევა: „როდესაც მათ თავიანთი მეფეები მოსპეს, როგორც ეს ჩემ მიერ ახლახან იყო მოთხრობილი, – წერს პროკოპი კესარიელი, – რომაელთა ჯარისკაცები, კეისრის მიერ წარგზავნილები, მათ ქვეყანაში იდგნენ ხოლმე ძალიან ხშირად და მათ უნდოდათ ეს ქვეყანა დაემორჩილებინათ რომაელთა ძალაუფლებისათვის, და მათ ახალ-ახალ რაღაც წესებს უმყარებდნენ. ამ ძალადობის გამო აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ. იმის შიშით, რომ ამიერიდან რომელთა მონებად არ გამხდარიყვნენ, მათ კვლავ დაიყენეს თავისთვის მთავრები, აღმოსავლეთის ნაწილისათვის ოფსიტე სახელად, ხოლო დასავლეთისათვის სკეპარნა"[2]. როგორც უკვე ითქვა, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, თავისი პოლიტიკური და რელიგიური ხასიათის რეფორმების გატარებისას, პირველ ხანებში, ბიზანტიელები ეყრდნობოდნენ აფხაზ-აბაზგებს და მათი ფართო წრეების ინტერესებსაც ითვალისწინებდნენ.

549 წლის შემდეგ ბიზანტიელებმა გაამკაცრეს თავიანთი მოქმედებანი აბაზგიაში. ბიზანტიელების „... ძალადობის გამო აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ. იმის შიშით, რომ ამიერი-

---

[1] Ш.Диль, Юстыниян и византийская цивилизация в VI века, С. Петербург, 1908; გვ. 544; გ. გოზალაშვილი, ლაზიკის საგარეო ურთიერთობა მეექვსე საუკუნეში, თბ., 1973, გვ. 11-12.

[2] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 157.

დან რომაელთა მონებად არ გამხდარიყვნენ"[1], 550 წელს აუჯანყდნენ ბიზანტიელებს და, როგორც ითქვა, პირველი პროტესტი იმით გამოხატეს, რომ „აბაზგიის" („აფხაზეთის") სამთავრო ორ ნაწილად გაყვეს. ეს კი იმაზე მიუთითებს, როგორც აღვნიშნეთ, რომ „აფხაზეთში" (მის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში) ორი სხვადასხვა ტომი: აბაზგები და სანიგები ყოფილან გაერთიანებული და იმდენად ძალით შეუქმნიათ ბიზანტიელებს ეს გაერთიანება, რომ ისეთ კრიტიკულ მომენტშიც კი, როცა სამთავრო დიდი და ძლიერი მტრის მოლოდინში იყო, კვლავ ორად გაიყო: აღმოსავლეთ ნაწილად – ოფსიტეს მთავრობით (აფხაზეთად) და დასავლეთ ნაწილად – სკეპარნას მთავრობით (სანიგეთად). ეს მაშინ, როცა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი აბაზგიის მთავარი ოფისტე დახმარებას ირანელთა სარდალ ნაბედეს თხოვს. ამ დროს დასავლეთ ნაწილის, ანუ სანიგეთის მთავარი სკეპარნა ხოსრო ანუშირვანის მიწვევით ირანში მიემგზავრება. ნაბედეს, რომელიც ლაზიკის და ბიზანტიელებისაგან განდგომილ აბაზგიაში იდგა ჯარით, სხვა არაფერი მოუქმედია, გარდა იმისა, რომ 60 ბავშვი აიყვანა მძევლად აბაზგ წარჩინებულთა ოჯახებიდან და ირანში გაბრუნდა[2]. მარტოდ დარჩენილმა იფსიტემ, „შეკრიბა ყველა აბაზგი და გადაწყვიტა შეხვედროდა მტერს"[3].

იუსტინიანე კეისარმა, როცა კი არსებული ვითარება გაიგო, უბრძანა არმენიელთა სტრატეგოსად ახლად დანიშნულ ბესას, დიდძალი ჯარი გაეგზავნა აბაზგების დასასჯელად. ბესამ გამორჩეული ლაშქარი დაძრა აბაზგიის წინააღმდეგ, ულიგაგესა და იოანე თომას ძის სარდლობით[4]. უმეკავშირეოდ დარჩენილმა აბაზგებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს ბიზანტიელებს. გადამწყვეტი და საბოლოო ბრძოლები გაიმართა აბაზგების ადმინისტრაციულ ცენტრში, უმტკიცეს და ღირსშესანიშნავი სიდიდის ციხე-ქალაქ გაგრა-ტრაქეაში, რომელიც აბაზგებს ძველადვე აუშენებიათ[5]. ციხე-ქალაქი ბიზანტიელებმა ალყაში მოაქციეს. მიუხედავად აბაზგების თავგანწირული წინააღმდეგობისა, უთანასწორო ბრძოლაში აბაზგები დამარცხდნენ. დამარცხებულ

---

[1] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 157.

იქვე, 155-156.

იქვე, გვ. 158.

იქვე, გვ. 157-158.

[5] იქვე, გვ. 158-159.

აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდნენ ბიზანტიელები. აბაზგები, ან გაულიტეს, ან ტყვედ აიყვანეს, „...ოფსიტემ, აბაზგთა მთავარმა, რამდენიმე კაცით მოახერხა გაქცევა და გაემართა, მეზობელ ჰუნებში და კავკასიის მთებში, ხოლო დანარჩენი ან ფერფლად იქცნენ გადამწვარ სახლებთან ერთად, ან მტრის ხელში ჩავარდნენ"[1]. იმპერიის ოფიციალური პირი და ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი დაუფარავად გადმოსცემს აბაზგებისადმი ბიზანტიელების მიერ ჩადენილ დაუნდობელ სისატიკეს. ის წერს: აბაზგებს „ის, რაც წინათ ეგონათ რომ საზარელი იყო, გასცვალეს მომავალზე, მაგრამ ცხადია უფრო საზარელზე"[2].

ბიზანტიელებმა აბაზგების აჯანყების ჩახშობა მათი განადგურებით დაასრულეს. „რომაელებმა დაატყვევეს მთავართა ცოლები მთელი მათი შთამომავლობითურთ, ციხის გალავანი კი მიწასთან გაასწორეს და მთელი მიწაწყალი უდაბნოდ აქციეს, ასე დაბოლოვდა აბაზგების განდგომა"[3]. თუ პროკოპის ზემოთ მითითებულ მონაცემებს ვერწმუნებით (ან სხვა რა არგუმენტი გაგვაჩნია მის საპირისპიროდ), გამოდის, რომ აფხაზებიდან მხოლოდ ისინი გადარჩენილან, ვისაც ოფსიტესთან ერთად მოუხერხებიათ ჰუნებში და კავკასიის მთებში გაქცევა, დანარჩენი ან დაღუპულან ბრძოლებში, ან ტყვედ აუყვანიათ ბიზანტიელებს, ხოლო აბაზგების მთელი მიწაწყალი უდაბნოდ უქცევიათ. პროკოპის ამ ცნობებს მხოლოდ ვარაუდი შეიძლება დავუპირისპიროთ და ვიფიქროთ, რომ რამდენიმე ათეული და ასეული აბაზგი მაინც გადარჩებოდა, მაგრამ, ეს ხომ ტომის გადარჩენას აღარ ნიშნავდა. აბაზგთა ტომი ბიზანტიელებმა გაანადგურეს და მთელ მიწა-წყალს ბიჭვინთის დასავლეთიდან ვიდრე ჯიქებამდე (მდ. აქეუნტა-შახემდე), რომელსაც ჯერ კიდევ 550 წლის აჯანყებამდე „აფხაზეთი" უწოდეს, მტკიცედ დაეპატრონენ და თავის საკუთარ პროვინციად აქციეს. „აფხაზეთი"-ს სახელით შექმნილი პროვინცია თავის უმეშვეო მმართველობაში მოაქცია იუსტინიანე კეისარმა და იქ მმართველად კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილი მოხელე (არქონტი) დაინიშნა, რომელიც მხოლოდ საიმპერიო კარიდან გაცემულ ბრძანებებს ემორჩილებოდა.

---

[1] პროკოპი კესარიელი გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 161.

[2] იქვე, გვ. 157.

[3] იქვე, გვ. 161.

XI ს-ის დამლევისა და XII ს-ის პირველი ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე ზონარას ცნობით, აბაზგიაში 550 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ „... აბაზგების არც ერთი მმართველი ადგილობრივად არ ინიშნებოდა, იქ რომაელთა მეფეები გზავნიდნენ არქონტებს და უკანასკნელნი მეფეთა კარნახით მართავდნენ [სახელმწიფო] საქმეებს. თუკი [რომელიმე] გაგზავნილთაგანი უსამართლოდ მოიქცეოდა და ხალხს ტირანულად მოეპყრობოდა, [მაშინ აბაზგები] შეშინდებოდნენ, არ დამორჩილდებოდნენ და გადაუდგებოდნენ რომაელებს“[1].

5. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩანს, რომ 550 წლიდან აბაზგთა ტომი, როგორც ეთნოპოლიტიკური ერთეული ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე აღარ არსებობს. ის ბიზანტიელებისაგან მოისრა, თუ ვინმე ცოცხალი გადარჩა ისიც ბიზანტიელებისაგან დევნილ-შევიწროვებული დაითრგუნა და შიშის ქვეშ მოექცა. მაგრამ სახელი „აფხაზი“ („აბაზგი“) და „აფხაზეთი“ („აბაზგია“) ბიზანტიელებმა კი არ გააუქმეს, არამედ შეინარჩუნეს და ბიჭვინთის დასავლეთიდან, ვიდრე ჯიქებამდე, ძირითადად სანიგებით დასახლებულ ტერიტორიაზე, გაავრცელეს და დაამკვიდრეს, როგორც პოლიტონიმი. ალბათ, იმიტომ რომ აბაზგები განადგურებული იყვნენ უკვე. 550 წელს განხორციელებული აქტით. ბიზანტიელებმა საბოლოოდ ჩამოიცილეს აბაზგთა მეამბოხე ტომი, პოლიტიკური არენიდან სანიგთა სახელი, ხოლო საკმაოდ დაასუსტეს ურჩი და დაუმორჩილებელი ეგრისის სამეფო, რომელსაც ჩამოაჭრა ტერიტორია ბიჭვინთიდან ჯიქებამდე და უმეშვეოდ მიუერთა იმპერიას, საკუთარი პროვინციის სახით. ასე რომ, V ს-ის ანონიმის ცნობით, მდ. აბასკოს-ფსოუდან მდ. აქეუნტა-შახემდე, ჯიქებამდე მცხოვრებ სანიგების საცხოვრისს[2], VI ს-ის 50-იანი წლებიდან დაუმკვიდრდა სახელი „აბაზგია“ („აფხაზეთი“) და ამიერიდან ამ სახელით იხსენიებოდა ეს მხარე ჯიქების მეზობლად. პროკოპი კესარიელი, რომელიც თავის თხზულებას „პოლემიკას“ 545-550 და 553 წლებში წერდა[3], როცა უკვე იუსტინიანე კეისარს აღნიშნული პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებები ჩატარებული ჰქონდა, – პირდაპირ მიუთითებდა „აბაზგებისა“ და

---

[1] იოანე ზონარა, გეორგიკა, VI, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1966, გვ. 230.

ანონიმი V საუკუნისა, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 10.

ს. ყაუხჩიშვილი, იხ. გეორგიკა, II, გვ. 29.

